საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ფილოსოფიის ინსტიტუტი

რ. გაფრინდაშვილი

ქართული ტრადიციების კვალდაკვალ

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1981

9(С 41)
635 (2 Г)
9 02.7 (47 922)
ბ 245

ტრადიციების შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება სხვა ამოცანებს შორის ერთ-ერთ მთავარ ყურადღებას მიაპყრობს ხალხური ტრადიციების ფუნქციონირებისა და ისტორიული დინამიზმის შესწავლას, ადათებისა და ჩვეულებების გამოვლენის ფორმებისა და შინაარსის ანალიზს, მათს შეფასებასა და განზოგადებას.

ამ მიზანს ემსახურება ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ როზა გაფრინდაშვილის ნარკვევი „ქართული ტრადიციების კვალდაკვალ", რომელშიც აღწერილია მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის და თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა თანამშრომლების ერთი ჯგუფის მიერ მოწყობილი ექსპედიციის მუშაობის შედეგები.

რედაქტორი გ. ბ ა ნ ძ ე ლ ა ძ ე

ბ $\frac{16505}{М\ 607\ (06) — 81}$ 196 — 81 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1981

რედაქტორისაგან

საქართველო ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი ულამაზეს კუთხედ არის ცნობილი. მის შედარებით მცირე ტერიტორიაზე იშვიათი ჰარმონიათაა შეხამებული ბებერი კავკასიონის მარადყინულოვანი მწვერვალები და ზურმუხტოვანი შავი ზღვის უკიდეგანო სანაპირო, მაღალმთიანი ტყეების მდიდარი მასივები და წყალუხვი, ზვიადი მდინარეები; მთისა და ბარის მრავალფეროვანი ლანდშაფტი იდუმალი ხელოვანის შთაგონებითაა მოქარგული ცივი, ანკარა წყაროებით, აქაფებული ჩანჩქერებითა და მთებში მომწყვდეული უძირო ტბებით. ეს ბუნებრივი სილამაზე ფლორისა და ფაუნის ისეთი ამოუწურავი მრავალფეროვანებითაა შემკული, რომ მთელი საქართველო ერთიან უნიკალურ ნაკრძალად წარმოგვიდგება.

დიახ, ულამაზესია ეს კუთხე იმით, რაც ბუნებას მოუცია. მაგრამ ახლა ის ვიკითხოთ, რაც ამ მადლიან მიწაზე ადამიანს შეუქმნია: ხავერდოვანი ჩაის პლანტაციები და აყვავებული ბაღ-ვენახები, წარსული დიდების მოწმე ციხე-ტაძრები და აწმყო ძლიერების მაჩვენებელი სოფელ-ქალაქები, მრეწველობის გიგანტები და ენერგეტიკის გოლიათები, მთისა და ბარის კურორტების კალეიდოსკოპი. ვინ ჩამოთვლის, ქართული მიწისა და მზის, ჰაერისა და წყლის მთელს ბარაქას...

მაგრამ ეს კიდევ არაა ყველაფერი. საქართველოს ნამდვილ სიმდიდრესა და სილამაზეს შეადგენს მისი ბინადარი გამრჯე ქართველი კაცი თავისი შემოქმედებითი უნარებითა და ხასიათით, თავისი ტრადიციებითა და სულიერი კულტურით.

საქართველო — ეს, პირველ რიგში, ქართველი ხალხია და მისი სიმდიდრე — ქართული კულტურის სიმდიდრეა.

ქართველი ხალხის სულიერი კულტურის საგანძურში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ეროვნულ ტრადიციებს, ადათებსა და წესჩვეულებებს, რომელთა შორის გამოირჩევა სტუმართმოყვარეობა და მშობლების პატივისცემა, ქალისადმი თაყვანისცემა და მოხუცისადმი მოკრძალება, თანაგრძნობა და ერთსულოვნება შრომაში, ჭირსა და ლხინში.

ეროვნული ტრადიციები ჩვენი სულიერი კულტურის საგანძურად მიგვაჩნია და როგორც ყოველ საგანძურს — მასაც მოვლა და პატრონობა უნდა. უყურადღებოდ მიტოვებულ ტრადიციას დროთა განმავლობაში ხავსი ეკიდება, იგი სახეს იცვლის და ზოგჯერ ზიანი მეტი მოაქვს, ვიდრე სიკეთე. საჭირო ხდება ბრძოლა ტრადიციათა მავნე დამახინჯებების წინააღმდეგ. სწორედ ამან განაპირობა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სპეციალური დადგენილების მიღება დამახინჯებულ ტრადიციათა აღმოფხვრისათვის ბრძოლის გადაჭრით გაუმჯობესების თაობაზე.

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ. ეს იყო ჩვენი რესპუბლიკისათვის მეტად მნიშვნელოვანი, დროული და აუცილებელი ღონისძიება, რომლის ძალა და ეფექტიანობა მით უფრო გამოჩნდება, რაც უფრო მეტი დრო გავა.

დადგენილების მიღებიდან გასული დროის განმავლობაში ბევრი რამ დაიწერა ამ დოკუმენტის მნიშვნელობის შესახებ. სიტყვაც ბევრი ითქვა და საქმეც მრავალი გაკეთდა. მთელმა რიგმა ადგილობრივმა და რესპუბლიკურმა ორგანიზაციებმა სწორი დასკვნები გააკეთეს ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან და იმთავითვე შეუდგნენ ამ საშვილიშვილო საქმის მოგვარებისათვის ზრუნვას. საფუძველი ჩაეყარა ახალ ტრადიციებს, სასოფლო, რაიონულ და საქალაქო კულტურულ ღონისძიებებს; შემდგომ დაიხვეწა, ფორმითა და შინაარსით გამდიდრდა ისეთი დღესასწაულები, როგორიცაა შოთაობა, ვაჟაობა, ილიაობა, აკაკიობა, იაკობობა, ვანოობა, ტბელობა, საკაძობა, საბაობა, გურამიშვილობა, სოლომონობა, გარეჯობა, ალავერდობა, მცხეთობა და სხვა. საფუძველი ჩაეყარა „თბილისი-ქალაქობის“ დღესასწაულის შესანიშნავ ტრადიციას. მასობრივი ხასიათი მიეცა შინმოუსვლელთა ძეგლებისა და მემორიალების მშენებლობა-მოწყობას, ომში დაღუპულთა ოჯახებისადმი ზრუნვისა და ყურადღების გამოჩენას და სხვა. ყოველივე ეს აუცილებელი გასაკეთებელი იყო და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ საქმის მოგვარებაში.

რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში ახალი ტრადიციების დამკვიდრებასა და მავნე ჩვეულების წინააღმდეგ ბრძოლას ბევრად შეუწყო ხელი ამ რაიონებში ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების საერთო გამოცოცხლებამ, რაც რესპუბლიკის ახალი პარტიული ხელმძღვანელობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამსახურებაა. ცნობილია, რომ საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დადგენილებები მიიღეს საქართველოს მაღალმთიანი რაიონების სოციალურ-

კულტურული განვითარების დაჩქარების მიზნით. ეს დადგენილებები ეხება აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქვემო და ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ფშავისა და ხევის, მთათუშეთისა და სხვა რეგიონების ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას. ამ დადგენილებათა რეალიზაციის პირველი შედეგებია საავტომობილო გზის გაყვანა ომალოში, გზის გაფართოვება და რეკონსტრუქცია ზემო სვანეთში, სამრეწველო-კულტურული ობიექტებისა და საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა ონში, ლენტეხში, ყაზბეგში, შატილში და სხვაგან.

სპეციალური კვლევის საგანია, თუ როგორი გავლენა მოახდინა ყოველივე ამ ცვლილებებმა მაღალმთიანი რაიონების მშრომელთა კულტურულ ცხოვრებაზე, მათს ყოფაცხოვრებაზე, ადათებსა და ტრადიციებზე, რაც უახლოეს მომავალში უნდა განხორციელდეს.

წინამდებარე ნარკვევში ასახულია ის ვითარება, რომელიც იყო რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში ზემოაღნიშნული დადგენილებების მიღებამდე და ნაწილობრივ გათვალისწინებულია უკანასკნელ წლებში მომხდარი ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ცვლილებებიც.

ამ ნარკვევს არა აქვს მხატვრული ნაწარმოების პრეტენზია, მაგრამ მით უფრო მისასალმებელია, რომ ავტორი იძლევა ნანახისა და განცდილის აღწერისა და ეთნოგრაფიული მასალის მხატვრული გადმოცემის საინტერესო ცდას.

ვიმედოვნებთ, რომ ეს წიგნი ბევრ ახალგაზრდას და მეგობრულ კოლექტივს აღუძრავს სურვილს, იმოგზაუროს საკუთარი სამშობლოს მთა-ბარში, ადგილზე გაეცნოს თავისი ხალხის ჭირ-ვარამს, მიღწევებსა და წარმატებებს, შეისწავლოს მისი საყოფაცხოვრებო კულტურა და ამის საფუძველზე შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყოს ყოველივე ახლისა და პროგრესულის დამკვიდრებას, მავნესა და დრომოჭმულის აღმოფხვრას.

ეს წიგნი სარგებლობას მოუტანს არა მარტო ქართული ტრადიციების შემდგომი შესწავლის, დაცვისა და განვითარების კეთილშობილურ საქმეს, არამედ, საერთოდ, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და ჯანსაღი მორალური პრინციპების ცხოვრებაში დამკვიდრების ამოცანას.

გელა ბანძელაძე
6.X.80.

წინათქმა

ქართული ტრადიციების შესწავლის მიზნით ექსპედიციის მოწყობის იდეა მაშინ ჩაისახა, როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა თავის სოციალისტურ ვალდებულებებში გაითვალისწინა ქართული ტრადიციების ეთიკური ასპექტების კვლევა. ეს იყო 1971 წელს.

დიდხანს ვერ მოვაბით თავი ამ საქმეს. ობიექტური სიძნელეების გარდა, ხშირად თავს იჩენდა სუბიექტური ხელისშემშლელი ფაქტორებიც. ის კი ნამდვილად მახსოვს, რომ ექსპედიციის დაჩქარებაში გარკვეული როლი ითამაშა კედელზე გაკრულმა გობელენმა.

გობელენზე გამოხატულია პატარა მინდორი ტყის შუაგულში. მინდორს რუ ჩამოუდის, ხოლო სიღრმიდან დამფრთხალი ირემი იცქირება. ტყის ეს მომხიბლავი სურათი ისეთ ცოცხალ ფერებშია გამოხატული, რომ შეუძლებელია არ გაცთუნოს. გობელენიდან თითქოს სუფთა ნიავიც უბერავს, გესმის ჩიტების ჟღურტულიც, რუს ცელქი ჩხრიალიც და გეჩვენება, რომ სადღაც, აქვე კარვები გაუშლიათ თავნება მოგზაურებს, კოცონი დაუნთიათ და ვახშმისათვის სამზადისს შესდგომიან.

ტყისა და მზის ფერებით ამოქარგული ეს გობელენი ზოგჯერ უფრო მომხიბვლელ სურათებსაც წარმოგადგენინებთ და თუ ამ მაცთუნებელ წარმოდგენებს დაემატება ცხელი და დახუთული ზაფხული... თქვენს ფანტაზიას საზღვრები ეკარგება, ოცნებით გადადიხართ ზღაპრულ სამყაროში და მოგზაურობის ისეთი ძლიერი სურვილი იჩენს თავს, რომ მოსვენებას გიკარგავთ.

სწორედ ამ ფაქტორებმა, მშობლიური ბუნების სიყვარულმა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ზნე-ჩვეულებათა შესწავლის ინტერესმა გადაგვაწყვეტინა ზაფხულის შვებულება საქმიან მოგზაურობაში გაგვეტარებინა.

დასახული მიზნისათვის ასეთი გეგმა შევადგინეთ: ჯერ ფშავ-ხევსურეთს ვეწვეოდით. იქედან ოსეთის გავლით რაჭა-ლეჩხუმში გადავიდოდით, შემდეგ ქვემო და ზემო სვანეთში. აქედან სამეგრელოს გავლით ზღვის სანაპიროს დავუყვებოდით და აჭარაში ჩავიდოდით. აჭარიდან კი სამხრეთ საქართველოს ვეწვეოდით. გვინ-

დოდა, საკუთარი თვალით გვენახა ლიტერატურაში ზღაპრულად წარმოდგენილი ბუნება და ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრება; გაშოკეცადა დაბრკოლებათა გადალახვის სიხარული და ბუსებაში თავისუფალი მოგზაურობის სიამე.

როგორც მოსალოდნელი იყო, შთაბეჭდილებები იმდენი დაგროვდა, რომ გვიძნელდება სხვებსაც არ გავუზიაროთ, სხვებიც არ წავაქეზოთ... ადამიანური „სისუსტეა" ესეც: როცა რაიმეთი აღფრთოვანებული ხარ, გინდა სხვებიც დააინტერესო და ისინიც აღაფრთოვანო. ამით თვითონაც მეტ სიამოვნებას გრძნობ; როცა სვანეთის მთებში ჩაკარგულები, ან ზეკარის უღელტეხილზე ჭიუხებს შორის დაფანტულები ახალ-ხალ სილამაზეს ვხედავდით, მოუთმენლად ვუხმობდით ერთმანეთს — გვინდოდა, ყველას ენახა ესა თუ ის მშვენიერება. სხვების აღტაცება ჩვენს სიხარულსაც აორკეცებდა.

...თუმცა, სჯობია ამ მოგზაურობით დაინტერესებულ პირებს ჩვენი დღიური გადავუშალოთ. დაე, მათაც ჩვენთან ერთად იმოგზაურონ!

6 ივლისი. თბილისი-ჩარგალი-თრუსოს ხეობა:

როგორც იქნა, წასვლის დღე გათენდა.

მთელი თვე ვემზადებოდით ამ დღისათვის.

ჩვენი წინასწარი საზრუნავი იყო მანქანის შოვნა, ღამის გასათევი და სამზარეულო მოწყობილობის მომარაგება; კინო და ფოტო აპარატურის, სურსათის; აფთიაქისა და საჩუქრების შეძენა ბავშვებისათვის...

ზუსტად დილის 8 საათზე ვარაზის ხევზე დაეშვა სამოგზაუროდ გამზადებული ჩვენი ავტობუსი და მისი ათკაციანი ინტერნაციონალური კოლექტივი.

ახლად გარეცხილი მანქანა ბრწყინავს ამომავალი მზის სხივებზე. ფანჯრებზე ფრიალებენ ქათქათა და ჰაეროვანი, თეთრი ფარდები; გამვლელები ინტერესით გვიცქერიან სიხარულისაგან გაბრწყინვებული სახეებისა და გემოვნებით შერჩეული მსუბუქი, სპორტული ტანსაცმელის გამო. აშკარად ეტყობათ, რომ შემოგვნატრიან.

მზე ჯერ მთლიანად არც ამოსულა, მაგრამ უკვე ცხელა. რაღა იქნება შუადღისას? თანაგრძნობით ვუცქერით ქალაქში დარჩენილებს და წინ იმედიანი თვალებით ვიცქირებით...

აი, თბილისსაც გავცდით... ღია ფანჯრებიდან შემოჭრილი სუფთა და გრილი ჰაერი გვავიწყებს თბილისურ დახუთულ ზაფხულს და მგზავრობისწინა მღელვარებისაგან გამოწვეულ უძილო ღამეებს;

...ჩვენი მანქანის თეთრი ფარდები მსუბუქად ცეკვავენ ქარისა და მანქანის თანაბარი ხმაურის რიტმზე.

ავტობუსში ათნი ვართ: გელა ბანძელაძე — ამ წამოწყების ინიციატორი, ექსპედიციის ფაქტიური ხელმძღვანელი; მიხეილ ჩანახჩიდი — ჩვენი მძღოლი, შემდეგში ცეცხლფარეშისა და სხვა მრავალი მოვალეობის შემსრულებელი; თალესი შონია — ექსპედიციის კინო, ფოტო და ფონომოწყობილობის გამგე, შეთავსებით კარვების გაშლა-აკეცვისა და ყოველგვარი ტექნიკური საქმის ხელმძღვანელი; მაგული კობაიძე — მთავარი ცეცხლფარეშისა და მზარეულის დამხმარე, ექსპედიციის კულტურულ ღონისძიებათა ხელმძღვანელი და ყოველგვარ „ეშმაკობათა“ ინიციატორი; ლუბა დანილენკო — მზარეული, თალესის თანაშემწე ფოტო-დარგში; ნელი ავსტრიჩენკო — ექსპედიციის ჰიგიენურ ღონისძიებათა ხელმძღვანელი; მარიტა ლაშქარაძე — მაგულის თანაშემწე კულტურულ ღონისძიებებში და შეთავსებით ყველა სხვა საქმის შემსრულებელი; დათო დავითაია — ყველაზე უდარდელი კაცი, თითოეული ჩვენთაგანის დამხმარე: მზია იათაშვილი — ექსპედიციის „ზარალი“ წევრი და მე — ექსპედიციის ფორმალური ხელმძღვანელი და სხვა „შავი“ საქმის მონაწილე.

..ამბობენ, ადამიანი მოგზაურობაში გამოიცდებაო. ვინ იცის, როგორ გავუძლებთ ამ გამოცდას, ვინ როგორ სახეს ვუჩვენებთ... ადამიანი მართლაც განსაცდელში გამოიცნობა; მოგზაურობა კი განსაცდელის გარეშე წარმოუდგენელია. მე წინასწარ ვშიშობ ჩვენი კოლექტივის გამო. ვაი თუ ვინმე დამარცხდეს ამ გამოცდაში, ვაი თუ ვინმეზე გაგვიტყდეს გული, დღეს რომ ასე გვიყვარს და მოგვწონს ერთმანეთი!...

I

ჩვენმა ავტობუსმა ჟინვალთან გადაუხვია.

ამჯერად ფშავში შეჩერება გეგმაში არა გვაქვს, რადგან რამდენჯერმე ვყოფილვართ აქ; ჩვენთვის ნაცნობი და საყვარელია ვაჟასეული ფშაური ქოხის* ყოველი კუთხე-კუნჭული, ჩარგლის თი-

* სამწუხაროდ ეს ისტორიული რელიქვია დღეს აღარ არსებობს. იგი დაანგრიეს და მის ნაცვლად ახალი, უფრო ფართო და ძვირადღირებული სახლი-მუზეუმი ააგეს ეროვნული კულტურის საგანძურისადმი დათვური სამსახურის გაწევის უკეთესი მაგალითი წარმოუდგენელია. უკვდავი ვაჟას ქოხი ისევე უნდა შემოენახათ შთამომავლობისათვის, როგორც გორშია შემონახული ი. ბ. სტალინის სახლი. პრესაში უკვე გამოითქვა პირველი გულისტკივილი ამ დიდად სამწუხარო ფაქტის გამო, რომლის სრული გაცნობიერება და ეროვნული შეფასება-განკითხვა ჯერ წინაა. (რედ.).

თქმის ყოველი ქვა... არაგვისპირა ჭალებშიც რამდენჯერ დაგვისვენია! მხოლოდ მცირე ხნით ვჩერდებით სოფელ ჩარგლის გადასახვევთან „ვაჟას წყაროსთან“...

ბატონი გელა, როგორც წყაროების დიდი მოტრფიალე, თითონ ავსებს სურას და გვიმასპინძლდება. გზაში თითქმის ყველა წყალი გავსინჯეთ და აღარ გვწყურია, მაგრამ მაინც ვსვამთ ზოგნი ვაჟას და ზოგნიც ბატონი გელას ხათრით.

...დღეს კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი; ამიტომ, აქვე აჩქარებულად ვსადილობთ და ვაგრძელებთ გზას. ამბობენ, ბარისახოს იქით ავტობუსი ველარ წავაო. თუ იქ საბარგო მანქანის შოვნა დაგვჭირდა, ალბათ დავბრკოლდებით. თურმე ვერც საბარგო მანქანა მიდის შატილამდე. ფეხით სასიარულოც ბევრი გვქონია...

მალე ბარისახოსაც მივაღწიეთ.

აქ ადრეც ვყოფილვართ. მაგონდება: ჩარგალში ერთ-ერთი ექსკურსიის შემდეგ ბარისახოში გასეირნება მოვისურვეთ; მივდიოდით და გზას დასასრული არ უჩანდა. ჩვენი ვარაუდით კი ერთი საათის წინ უნდა ავსულიყავით. ვიღაც ცხენოსანს ვკითხეთ... მან გაიცინა და გვითხრა — უკვე დიდი მანძილით გამოსცდით ბარისახოსო.

...თურმე, მთავარ გზაზე რომ საქონლის ბაზარი და მოგრძო შენობა ენახეთ, სწორედ ის ყოფილა ბარისახო. მოსახლეობა კი მთავარი გზის მაღლა, ფერდობზეა შეფენილი ისე, რომ გზიდან არა ჩანს*.

მაშინ აქ ამოსვლა ველარ მოვასწარით.

ბარისახოში 75 კომლი ცხოვრობს. „აქაური სახლები ბარისთანამედროვე სახლებისაგან თითქმის არ განსხვავდებიან. მხოლოდ შორს, ფერდობის განაპირას მოჩანან ხევსურული, ბრტყელბანიანი საცხოვრებლები. ცენტრში საბჭოს, ინტერნატის, საბავშვო ბაღისა და მაღაზიის შენობებია თითო-ოროლა ნაძვით მიჩრდილული.

პირაქეთი ხევსურეთის ბავშვები ამ ინტერნატში სწავლობენ. ახლა კი აქ პიონერთა ბანაკია გახსნილი და ქუჩა სავსეა სახედაბრაწული, წითელყელსახვევიანი ბავშვებით. ვერ გაარჩევ, რომელია იმათგან ხევსური, რუსი, ოსი თუ ბარის ქართველი...

მაღაზიის წინ თავი მოუყრიათ აქაურ ახალგაზრდობას და არის ერთი ჟრიამული.

---

* ამჟამად ბარისახოში სხვა ვითარებაა. სოფელი შორიდანვე ჩანს ახალ მშენებლობათა გამო (რედ.).

ცოტა ხნით შევჩერდით. ზოგი ჩვენგანი ახალგაზრდობას შეერია, ზოგიც საბჭოს თავმჯდომარეს — ა ბ ა მ გ ე ლ ა ს ძ ე ლ ი კ ო გ ე ლ ს ვესტუმრეთ თავის კაბინეტში. მან რამდენიმე საინტერესო ეპიზოდი გვიამბო აქაური ხევსურების ცხოვრებიდან. დათომ მაგნიტოფონი გამართა და პირველად აქ ჩაიწერეთ შემორჩენილი ქართული ტრადიციების შესახებ.

ბარისახოში დაგვამშვიდეს: თუ თქვენი ავტობუსი წესრიგშია, თავისუფლად გადახვალთ დათვის უღელტეხილზეო; მართალია, შატილამდე მანქანით ვერ მიხვალთ, რადგან ამ ზამთრის ზვავებმა სამანქანო გზა უვარგისი გახადა, მაგრამ 13 კილომეტრი გზის ფეხით გავლა არ გაგვიჭირდებათო*.

ჩვენ ვემშვიდობებით აბა ლიკოგელს და ვაგრძელებთ გზას.

ერთ ადგილას მცირე ხნით ვჩერდებით, სადაც სამ ტოტად გადმოჰქუხს აქაფებული ჩანჩქერი და უთვალავ შხეფებად იმსხვრევა. უკან მტერიც რომ მოგდევდეს, მაინც გვერდს ვერ აუვლი, შეჩერდები და სამუდამოდ აღიბეჭდავ მეხსიერებაში ამ საოცარ სილამაზეს — მქუხარე მდინარისა და კლდე-ლოდების ჭიდილის მომაჯადოვებელ ჰარმონიას.

სურათებს ვიღებთ და ვჩქარობთ. ...როგორმე დღესვე უნდა მოვასწროთ დათვის უღელტეხილზე გადასვლა და კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე, თრუსოს ხეობაში დაბანაკება. სწორედ თრუსოდან არღუნის ხეობაში გადასასვლელი სამანქანო გზა ყოფილა გაფუჭებული და ეს მონაკვეთი ფეხით უნდა გავიაროთ შატილამდე.

შატილი ხვალის გეგმაში გვაქვს.

მივღოღავთ არაგვის ციცაბო ნაპირებზე და შიშით შევცქერით ალაგ-ალაგ გათიბულ და ყავისფერი ზვინებით დაწინწკლულ, გოლიათი მთის ფერდობებს.

ერთგან, ავათავეთ თუ არა აღმართი, მოჩუხჩუხე წყაროსთან შევჩერდით. თალესისაგან შევიტყვეთ, რომ აქ სოფელი გუდანი ყოფილა. გვიკვირს, რადგან სოფელი არსადაა. მხოლოდ ხევში ჩადგმული წისქვილი და შორს, თვალისაგან ძლივს მისაღწევ სიმაღლეზე მოჩანს ცხვრის ფარა და ეს არღვევს უკაცურობის განცდას.

თურმე სოფელი აქაც ერთ-ერთი ფერდობის თავზეა შეფენილი ისე, რომ გზიდან არა ჩანს.

შუადღის ხვატი დგას ხეობაში. მანქანა წყაროსთან დავტოვეთ და ხალისით შევყევით აღმართს.

---

* ამჟამად ეს გზა მთლიანად აღდგენილი და გაფართოებულია.

ალმართის თავში სამი ბუმბერაზი, დაგრეხილი მუხა და ჯიხვის რქებით დამშვენებული ნიში დგას.

— სადა ვართ?

— ცნობილ გუდანის ხატთან.

— ააა! ექიმი თეოდორაძე წერს, რომ ხევსურებს ოთხი ძირითადი სალოცავი ჰქონიათ: გუდანის, მთავარანგელოზის, ხახმატისა და ლიქოკის ჯვარი. თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება ჰქონია: ხევსურების რწმენით ხახმატის ჯვარი უშვილოებს წყალობდა თურმე; ლიქოკისა — ყოველგვარი უბედურებისაგან იცავდა მლოცველებს, ხოლო გუდანის ხატს მეომრებს ავედრებდნენ.

— მთავარანგელოზისა?

— ეგ აღარ მახსოვს!

— ქალებსა და ბავშვებს ხატთან მიახლოება აკრძალული ჰქონიათ....

— გახსოვთ? თუშეთში რომ ვიყავით, დიკლოში, სოფლის შუა გულში, ხასხასა მინდორზე ბრტყელი ქვის ფილებით ნაგები ნიშისაკენ ავიღეთ გეზი. შორიდან ქალებმა დამიწყეს ყვირილი „არ შეიძლებაო, ნუ მიდიხარო"; „ისინი რომ მიდიან მეთქი"? „ისინი კაცები არიანო". „კი, მაგრამ, ვირიც ხომ აქვე ძოვს ბალახს, ვირი მჯობია მე მეთქი?" „ეგ ვირია და არ იცის, რომ არ შეიძლებაო". — კისკისებდნენ ისინი. დღემდე ვერ გავიგე, ხუმრობდნენ თუ სერიოზულად შეუბნებოდნენ...

— ხევსურები ხატს სწირავდნენ ოურმე ყველაფერს, თუკი რამ საუკეთესო ჰქონდათ; ასეთი შესაწირავი მეტწილად მამული ყოფილა. ხატის ქონებას განაგებდა ხუცესი, რომელსაც „ქადაგის" დახმარებით ირჩევდა ხალხი. იგი უსათუოდ ჭკვიანი უნდა ყოფილიყო. ხუცესი ჩვეულებრივი გლეხი ყოფილა, რომელიც სხვებთან ერთად შრომობდა — ხნავდა და თესავდა; ხატის მიწები საერთო საკუთრებად ითვლებოდა. მას კოლექტიურად ამუშავებდნენ და მოსავალსაც თანაბრად იყოფდნენ...

აი, ასეთ მაორგანიზებელ როლს თამაშობდა გუდანის ხატი ხევსურის ცხოვრებაში, თუმცა, გარეგნულად აქ ადგილის სილამაზის გარდა არაფერია მნიშვნელოვანი. ნიში უბრალო, ბრტყელი ქვების ხუხულას წარმოადგენს. მის ირგვლივ უხვად ყრია ძვლები და ჯიხვის ვეებერთელა რქები. სულ ახლოს, პატარა გომურია. ცნობისმოყვარე თვალი გომურის ჭუჭრუტანაში შენიშნავს ვეებერთელა სპილენძის ქვაბს, რომელსაც ალბათ ხატობაში არყის გამოსახდელად ხმარობენ; იქვე ვეებერთელა ვარცლი და ფქვილიანი ტომრებია მოშარაგებული...

...სულ რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლეზე ავედით მთავარი გზიდან, მაგრამ ჰაერის სხვაობა მკვეთრად იგრძნობა; ქვევით შუადღის ცხელი ბუღი ტრიალებს; აქ კი მუხების ჩრდილში, მწვანე მოლი ბიბინებს... აქა-იქ ალპური ზონის ველური ყვავილები ატკბობს მზერას...

მინდვრის დასასრულს სოფელია შეფენილი. ზევით ქერის ნათესები მოჩანს. უფრო მაღლა კი აღმართულა ვეებერთელა კლდე, რომლის ციცაბო შიშველი კალთები ბილიკებითაა დასერილი.

გუდანი ტიპური ხევსურული სოფელია. სახლების უმეტესობა ერთმანეთზეა მიშენებული, ისლის ბრტყელი სახურავებითა და საქონლის სადგომებით*.

ჩვენ დაბრეცილი ფერდობების ვეებერთელა, ოქროსფერ ორმოში ვართ ჩაკარგულნი. ურიცხვი ზვინების ხალები და სამი ბუმბერაზი მუხა წარმოადგენს აქაური მშვენიერების გვირგვინს.

ამ უსაზღვრო სივრცეში სოფელს ერთი იმერელი გლეხის ეზოსოდენა ადგილი უჭირავს.

სოფლის მკვიდრი გიორგი ჭინჭარაული გადმოგვცემს, რომ სოფელში „ცხრა კვამლი ცხოვრობს", ყველანი ჭინჭარაულები. ახლა უფროსები მთაში არიან წასული — ზოგი ფხლის საკრეფად, ზოგი ყანაში, ზოგიც ცხვარში, ან ძროხაში... ჩვენს ირგვლივ შემოკრებილი ბავშვების უმრავლესობა ბარისახოს ინტერნატში სწავლობს;

გიორგი ჭინჭარაული ხევისბერის ვაჟია; თითონ ხევისბერი შატილში ყოფილა — შესაძლოა კიდევაც აუსწროთ — გვითხრა მან.

გიორგისთან საუბრისას ბევრი რამ ჩავიწერეთ მაგნიტოფირზე. შემდეგ დავემშვიდობეთ გუდანის მცხოვრებლებს და გზისკენ თავქვე დავეშვით.

აქამდე ხუმრობა, სიმღერები და დათოს როხროხი ჰფარავდა ავტობუსის ხმაურს. ახლა კი ხევსურულ ტრადიციებზე ვდაობთ და თან გზას გაფაციცებით ვადევნებთ თვალს.

აქ გზაში მგზავრი იშვიათად შეგხვდებათ. მანქანა ხომ ბარისახოს შემდეგ საერთოდ აღარ შეგვხვედრია! გზაში პირუტყვიც იშვიათია, მაგრამ სოფელ ხახმატთან ერთ-ერთი აღმართის თავზე ჩვენი მანქანის ზუზუნისაგან დამფრთხალი დეკეული შეჩერდა. პირუტ-

---

* ხევსურული სოფლის ეს სპეციფიკა აისახა სოფელ გუდანის გაშენების ახალ სტილიზებულ პროექტში, რომლის განხორციელება ბევრად შეუწყობს ხელს გუდანელთა დაბრუნებას მშობლიურ სოფელში (რედ.).

ყვის ასეთი მეტყველი მზერა ჯერ არ გვენახა და ჩვენც შევჩერდით. მისი ფართო, ლამაზი თვალები სიამაყით, გაოცებითა და თითქოს შეკითხვითაც შემოგვცქერის. სურათებს ვუღებთ, მაგრამ ეჭვი გვეპარება, რომ რაიმე გამოვიდეს, რადგან აპარატები მზითაა განათებული....

მალე გამოჩნდა ხევსურეთის ყველაზე მაღალი და დიდი სოფელი ხახმატი, რომელიც ამჟამად 17 კომლს ითვლის.

აქედან იწყება უღელტეხილის აღმართები და თუ ეს უღელტეხილი გადავლახეთ — პირიქით ხევსურეთში აღმოვჩნდებით.

გზად ერთადერთი მგზავრი შემოგვხვდა და ჩვენთან ერთად მცირე მანძილი გამოიარა. იგი ხახმატელი ახალგაზრდა — ტ ა რ ი ე ლ ა ლ უ დ ა უ რ ი ა. ბარისახოს ინტერნატში დაუმთავრებია საშუალო სკოლა და ახლა უნივერსიტეტში აპირებს ისტორიულ ფაკულტეტზე მისაღები გამოცდების ჩაბარებას.

ტარიელმა გვიამბო ზოგიერთი აქაური ტრადიციების შესახებ:

რელიგიური დღესასწაულები ისევ იმართება თურმე. „რწმენით აღარავის სწამს, მაგრამ აბა ვინ იტყვის უარს ცივ ლუდზე, კაი პურ-მარილზე და ერთმანეთთან შეხვედრაზე? ამ დროს ხომ მთელი სოფელი იყრის თავს“!

მისგანვე შევიტყვეთ, რომ „აქაურებს სასმელ-საჭმელი და ჩასაცმელ-დასახურავი ბევრი აქვთ, მაგრამ აბა მარტო ეს რაა!“ სხვა მხრივ ნაკლებ შეძლებულად ცხოვრობენ და ამიტომ ახალგაზრდობა, თითქმის ყველა, ქალაქში აპირებსო წასვლას.

— მითხარით ტარიელ! ქალაქამდე კარგი გზა რომ იყოს და ავტობუსები დადიოდნენ, როცა გინდა, მაშინ შეგეძლოს ქალაქში წასვლა, გქონდეს ტელევიზორი, რადიო, კინო, კლუბი, სკოლა, — კარგი მასწავლებლებით, გყავდეთ ექიმი, გქონდეთ კარგი მაღაზია; გქონდეს რაიმე სპეციალობა და შეგეძლოს იმუშაო შენი სპეციალობით... მაინც წახვიდოდი ქალაქში საცხოვრებლად?

— მაშინ, ალბათ, ქალაქელებიც აქ ამოვიდოდნენ საცხოვრებლად — ეცინება ტარიელს.

— ტარიელ, ისტორიული ფაკულტეტი რატომ აირჩიეთ, გაინტერესებდათ?

— ისტორიულზე მაქვს ლიმიტი...

— ააა!

— წაწლობა თუღა იციან აქეთ? — დაარღვია უხერხული დუმილი ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა, რომელიც თურმე ამ საკითხით ყოფილა დაინტერესებული.

— არა, მე არც კი მახსოვს — ეღიმება ტარიელს.

— რადგან წაწლობა აღარ სცოდნიათ, რაღას ვუცდით, წავიდეთ!... — სიცილით ამბობს შეკითხვის ავტორი და მხიარულად ვემშვიდობებით ტარიელს.

მივყვებით უღელტეხილის ციცაბო და მიხვეულ-მოხვეულ გზებს.

როცა სოფელ ხახმატს ზემოდან გადმოვხედეთ, მთის კალთაზე, განმარტოებით მდგარი ერთადერთი ხევსურული სახლი შევნიშნეთ. თალესს მოსმენილი ჰქონია ამ მოსახლის თავგადასავალი: იგი ალუდაური ყოფილა. ადრე ამ სოფელში უცხოვრია. მერე კაცი მოუკლავს. როცა სასჯელმოხდილი შინ დაბრუნებულა, სოფელს აღარ მიუღია, გაუსახლებია და მას შემდეგ მარტო ცხოვრობს.

ხევსურულ სოფელს თავისი კანონები აქვს. აქ არც ისე ადვილია სასჯელის მოხდა. ხევსურმა იცის მეზობლისა და მოკეთის ფასი. ამიტომ, ყველაზე დიდ სასჯელად მიაჩნია — მოაკლოს დამნაშავეს ხალხის სითბო და მასთან შეხვედრის სიხარული. მას ვერც წყალს მიაწვდის ვინმე, ვერც ცეცხლს, ვერც მის საქონელს გაურეკავენ ჯოგში და ვერც სხვა გასაჭირში მიეშველებიან; მტერსაც მარტო უნდა გაუმკლავდეს და მოყვარესაც მარტო დაუხვდეს.

...ხომ ასე მკაცრია ხევსურული ტრადიციები დამნაშავის მიმართ — საოცარი ისაა, რომ ხშირად იგივე ტრადიციები უბიძგებენ ადამიანს დანაშაულისაკენ.

გიორგი ჭინჭარაულმა გვითხრა, რომ „კეჭნაობა" ისევ სცოდნიათ, თუმცა, მოსახლეობის შემცირებასა და ძველი ტრადიციების ქრობასთან ერთად ეს წესიც თანდათან დავიწყებას ეძლევაო.

„კეჭნაობა" შურისძიების შედარებით იოლი ფორმაა. თუ ვინმეს ვისიმე ჯავრი აქვს გულს ჩარჩენილი, ტრადიცია ნებას აძლევს ორთაბრძოლაში გამოიწვიოს ქორწილის, ხატობის ან სხვა რაიმე თავმოყრილობის დროს. მას უფლება აქვს, დაჭრას, ოღონდ ყოველი მიყენებული ჭრილობისათვის ტრადიციულად მიღებული გადასახადი —— „დრამა" —— უნდა გადაიხადოს; „დრამის" მიხედვით ბეჭზე ჭრილობის მიყენება 3 ძროხად ფასობს, ცხვირის მოჭრა 30 ძროხად; მარცხენა თვალის დაშავება — 30 ძროხად; მარჯვენა, ანუ „საოთოფე თვალისა" — 35 ძროხად; ხელისა — 18-20 ძროხად; ნეკა-თითისა — 1 ძროხად და ასე შემდეგ. თუ „კეჭნაობა" უსაფუძვლოდ, სხვისი „დასმენით" მოხდა, მოენეს ჯარიმასთან ერთად „დრამაც" გადახდება.

წინათ კაცის სისხლი 80 ძროხად ყოფილა შეფასებული, ქალისა — 30. ასე რომ, მოკეკნავეებს შურისძიების გრძნობისა და გამბედაობის გარდა სიმდიდრეც სჭირდებოდათ.

სამაგიეროდ... დადის კეკნაობისას სახედაღარული ხევსური სუფთა და ალალი გულით; მას აღარც ბოღმა აწუხებს და აღარც ვისიმე მტრობა!

...გულის გამაწყალებლად ზუის ჩვენი ავტობუსი და ებრძვის აღმართს.

ალაგ-ალაგ თოვლის თხელი ფენა შემორჩენია მწვანე ხავერდივით აბიბინებულ, ერთმანეთში ჩაგრეხილი მთების კალთებს.

შორს მოჩანს ხევში ჩაწოლილი მყინვარი და „ფშავის არაგვის“ დაბადება.

შეუსვენებლად მივიწევთ წინ ფერთა ამ საოცარ ჰარმონიაში და თითქოს პირველად ვხედავთ, რომ მწვანე და თეთრი, ცისფერი და მწვანე ფერები ასე ძალიან უხდებიან ერთმანეთს.

რა სილამაზეა ირგვლივ!

ამ ხეობის გრანდიოზული მასშტაბებითა და ფერთა დიადი შეხამებით გაბრუებულები შეუმჩნევლად ამოვსულვართ გადასავლელზე!

ჩვენს ქვემოთ მოჩანს იმიერ და ამიერკავკასიონი; პირაქეთა და პირიქითა ხევსურეთი; შორს, შორს ჩრდილოეთით, სანამ თვალი გასწვდება, ჩანს მთათა მწვერვალების ლურჯი ზღვა და ბოლოს, რძისფერ უსასრულობაში იკარგება მზერა.

— უკვე ამოვედით? უკვირს ნელის და ახლად გამოღვიძებული, დაბნეული თვალებით ირგვლივ იცქირება.

დათოს როხროხმა მთები შეაზანზარა...

— გაიღვიძე ნელი, გაიღვიძე,... ყველა მოკვდავს კი არა აქვს ბედნიერება — ნახოს ეს სილამაზე!

ვდგევართ უთვალავ მწვერვალთა შორის და ვუცქერით ხან იმიერ- და ხან ამიერკავკასიონის კალთებს... მწვერვალები და სიღრმეები, ხევებში ჩაწოლილი მყინვარები და ფერდობებზე შეფენილი ცხვრის ფარები...

ვიღებთ სურათებს; პირველი სიძნელის გადალახვის აღსანიშნავად სალუტს იძლევა ჩვენი მეთაურის თოფი და განვაგრძობთ გზას.

მსუბუქი ფრუტუნით მიხრიგინებს დაღარულ დაღმართზე ჩვენი ავტობუსი. აქეთ გზა მეტისმეტად დამრეცია. ჩვენი ექსპედიციის წინდახედული წევრები წუხან—თუ გაწვიმდა, უკან დაბრუნება შეუძლებელი გახდებაო.

ჩვენ გვიხარია; რა კარგია! ვიყოთ აქ, განა უკეთეს სამყოფელს ვინატრებთ?

— პურის მარაგი თუ გვაქვს?

— დიახ, ერთი მცხეთური პური!

— ერთი პური დღეს გვეყოფა, ხვალ?

— ვა, ხვალ რა ექნათ? ნამცხვრებით გამოტენილი პირით ძლივს კითხულობს დათო.

— ხაჭაპურებიც გვაქვს, ნამცხვარიც, თუ დათოს გადაურჩა!

— არა კმარა. როგორ დაგვემართა? პირველი სერიოზული საყვედური ექსპედიციას!

— არ გვინდა ჭამა, ცოტა წონაში დავიკლებთ. — უხარია მარიტას.

— კიდევ ვინ ამბობს ჭამაზე უარს?

— მე!

— მეც!

— მეც!

— აბა მე კი მეყოფა ეს ერთი პური! — დაიმედებული ამბობს მზია და ვეებერთელა, მცხეთურ მრგვალ პურს ხელით ეფერება.

ამასობაში კიდეც ჩავივაკეთ. ახლა რიყეზე მიხრიგინებს ჩვენი ავტობუსი და ხმაურში დათოს ეჯიბრება.

მზის ჩასვლასთან ერთად თრუსოს ხეობამ მოიწყინა.

ვჩქარობთ და ღამის გასათევს ვეძებთ; გვინდა წყალიც ახლოს იყოს, მინდორიც და იქნებ ხალხსაც წავაწყდეთ! მთებში ჩაკარგულებმა ობლად ვიგრძენით თავი და ხალხის სიახლოვე მოგვენატრა.

მალე გამოჩნდა სახელდახელოდ აგებული რამდენიმე ფარდული და საბარგო მანქანები. თბილად ჩაცმული მამაკაცები დიდი და საქმიანი ნაბიჯებით დააბიჯებენ და ჩვენკენ ინტერესით იცქირებიან.

აღმოჩნდა, რომ შატილის გზის აღდგენაზე მომუშავე ბრიგადას წავაწყდით. ჩვენ ძალიან გაგვეხარდა ადამიანების გამოჩენა და მათი ფარდულების ახლოს, მინდორზე შევაჩერეთ მანქანა. გადავწყვიტეთ აქ, მდინარის პირას დაბანაკება.

„მასპინძლებმა“ სასმელი წყალი მიგვასწავლეს; თუ რაიმე დაგჭირდეთ, მოგვაკითხეთო და დახმარებაც შემოგვთავაზეს.

...ჩვენს ბიჭებს დახმარება არ დასჭირვებიათ; რამდენიმე წუთში მიშამ ვეებერთელა კოცონი ააბრიალა; თალესმა და დათომ კარვები გაშალეს; მე და მზია საძინებლების განაწილებას შევუდექით; ლუბა და მაგული ვახშმის სამზადისში გაერთნენ.

აფუსფუსებულ მინდორს ჩვენი მეთაური ამერიკული ვინჩესტერით ხელში თავს დასტრიალებს და მითითებებს მითითებებზე იძლევა: კარვები ისე გაშალეთ, რომ ერთმანეთს უცქეროდეს! წვიმასა და ქარს უნდა გაუძლოს; აბა, გოგოებო, ვნახოთ, როგორ მოამზადებთ ვახშამს; ჩაის მოდუღება არა დაგავიწყდეთ!

წელან ბიჭებმა ნელის „ნასოსი“ მისცეს და კარვების გაბერვა დაავალეს. ბატონმა გელამ დიდხანს ათვალიერა ნელის საქმიანობა; ეტყობა, ვერაფერი გაუგო და ისევ მევახშეებს მიუბრუნდა.

თითქმის ყველამ დავამთავრეთ საქმიანობა, ნელი კი კვლავ მონდომებით ბერავს... მერე, ალბათ მოსწყინდა და კარვის კალთებს ხელი უკმაყოფილოდ შეაელო. ცოტა ხანს სული მოითქვა და ისევ ახალი ენერგიით შეუდგა ბერვას.

ბიჭები ჩუმ-ჩუმად უცქერიან და იცინიან; ნელი ისეა გართული, რომ ვერაფერს ამჩნევს. ბოლოს, რაღაცაში დაეჭვებულმა, „ნასოსის“ რეზინის მილს ხელი მიადევნა; იგი კარვის ბრეზენტის ფსკერსა და მინდორს შუაა გაჩხერილი; დაწნეხილი ჰაერის ნაკადისაგან მინდორი გაქუცულა და მიწა ჩანს.

...ერთბაშად იფეთქა ხარხარმა...

ნელიმ ცივად შეუშვა კარავს ხელი და დაბნეული ღიმილით მოსცილდა იმ ადგილს.

დიდხანს აზანზარებს ხეობას დათოს როხროხი...

შუაღამემდე გაგრძელდა ვახშამი ამ ღამით. ესაა ჩვენი ექსპედიციის პირველი ღამე და პირველი კოცონი; რა ტკბილი ყოფილა კოცონის პირას საუბარი, ღამის იდუმალი სიჩუმის მოსმენა და ხევში ჩამოწოლილი უკუნი ღამის საამო სიცივე!

7 ივლისი. შატილი:

სიცივე მაღვიძებს. მზია კრუსუნებს და მეხვეწება — ცოტა მოჩოჩდი, მცივაო. მე ხმას არ ვიღებ, არ მინდა გამოვფხიზლდე.

— გათენდება თუ არა, უკან გავბრუნდებით... წვიმაა მოსალოდნელი — გვესმის ჩვენი მეთაურის უძილობისაგან გაბზარული ხმა.

— არ გძინავთ?

— ოდნავ ჩამთვლიმა მხოლოდ. დარდი მაქვს, ვაი თუ გაწვიმდეს, ორი კვირით მაინც ჩავრჩებით ხეობაში. ამ აღმართებზე, ტალახებში მანქანა როგორ ავა! არც პურის მარაგი გვაქვს. არც ბინზინის!

— არა უშავს, გათენდება, მზე ამოვა და სულ დაგვავიწყდება ჩვენი დარდები... რა დროს წვიმაა!

— თქვენ არ იცით მთის ამბავი, უცებ იცის ამინდმა შეცვლა. ჩავრჩებით ამ ხეობაში! მე ჩემ თავს არ დავეძებ, თქვენა ხართ ცოდვანი.

აღარ ვეკამათებით, რადგან ვიცით, რომ თუ უმრავლესობის სურვილი არ იქნება, უკან არ გაგვაბრუნებს.

უჩვეულო დილა გათენდა. ამინდს საუკეთესო პირი უჩანს. შორს მოჩანს მზით განათებული ხევის ფერდობი; მზე ნელ-ნელა ავსებს ხეობას და ვიცით, რომ მასთან ერთად სითბოც მოვა და კარგი განწყობილებაც.

უკან დაბრუნებაზე აღარავინ ლაპარაკობს.

მიშას უკვე აუნთია კოცონი და მხრებში კისერჩარგული გოგოები მობუზული ეფიცხებიან; თალესი წელს ზევით გაშიშვლებულა, ხელში პირსახოცი და საპონი აუღია და წყაროსაკენ ნელი რწევით მიემართება. ვუყურებთ და გვცივა მის მაგიერ...

სახელდახელო საუზმის შემდეგ ჩვენი პატარა „ქარავანი“ ფეხით მიჰყვება ერთ დროს სამანქანო გზაზე შემორჩენილ საცალფეხო ბილიკს შატილისაკენ. აქ ერთი წლის წინ გაუყვანიათ სამანქანო გზა, მაგრამ მკაცრ და თავნება ბუნებას თავისი კაპრიზები აქვს და ნაკლებად ზრუნავს შატილში შემორჩენილი ათიოდე კომლისა და ურიცხვი ტურისტებისათვის.

გზის ეს მონაკვეთი, ჩვენი ბანაკიდან შატილამდე, საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა; ზოგან რომ ცივ, ანკარა და ხმაურიანი მდინარის გასწვრივ მივაბიჯებთ, ზოგან ბრტყელ ფილებად ნაშალი კლდის ფერდობს მივყვებით; ხან მტირალა კლდე გვხვდება და სურათებს ვიღებთ, ხან ხევში ჩამოწოლილ მყინვარზე გადავდივართ...

ჩვენი ბანაკიდან შატილამდე სულ ცამეტიოდე კილომეტრი ყოფილა. როგორც გვითხრეს, ეს მანძილი საათნახევარში უნდა გაგვეევლო, მაგრამ ჩვენ თითქმის სამი საათი ვიარეთ.

განცვიფრებულები ვუცქერით ველური ბუნების ზვიად სილამაზეს.

გზაში გვხვდებიან მოკლეშარვლიანი, ქერათმიანი ვაჟებისა და ქალების ჯგუფები. ისინი წეროების ქარავანივით მიუყვებიან აღმართებს. იშვიათად ისმის სიცილი ან სიმღერა; ყველანი გაფაციცებით იცქირებიან ირგვლივ და ცდილობენ, არაფერი გამორჩეთ უნახავი და დაუმახსოვრებელი.

ერთ ადგილზე ხეობამ მოულოდნელად მარჯვნივ მოუხვია და ცხვრის ფარას წავადექით თავს. მეცხვარის ბომბორა, თეთრი ძაღლები ყეფითა და კუდების ქნევით გამოექანენ ჩვენსკენ; პატარა ბიჭი რაღაცას მოსძახოდა ძაღლებს ჩვენთვის გაუგებარ ენაზე. ალბათ ამ რამდენიმე ფრაზამ გვიხსნა მწყემსი ძაღლების თავდასხმისაგან; მხოლოდ მათი ლეკვები შემოგვხვდნენ კუდების ქიცინითა და ალერსიანი წკმუტუნით. ისე გაგვამხიარულა და გაგვახარა ამ ნოულოდნელმა „სტუმართმოყვარეობამ", რომ სასწრაფოდ მოვძებნეთ ჩვენი საგზლის მცირე მარაგი და „მასპინძლებს" ვუწილადეთ.

ბიჭი 10 წლის მ უ ს ა ს მ ა ი ლ ო ვ ი ა, თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალიდან. სკოლაში არ დავდივარო, „ცხორჩ ვარ" და აბა როგორღა ვისწავლიო; დიდხანს გვდიეს პატარა მუსამ და მისმა „მეგობრებმა" (ლეკვებმა), ბოლოს სევდიანი მზერა გამოგვაყოლეს.

გზამ თავისი გაიტანა.

დავიქანცეთ. მალ-მალე ვკითხულობთ: „აღარ მივედით?"

მაგული ამბობს, უკვე შევდივართო შატილში. მართლაც, ხიდგაღმა უცბად მოიკვეთა მოსახვევი და გზამ შიგ სოფელში შეუხვია.

თითქმის ყველას გვინახავს შატილი ფოტოსურათებში, ხშირად მოგვისმენია მისი ქება; წინასწარ ვიცოდით, რომ უჩვეულო გარემოცვაში აღმოვჩნდებოდით, მაგრამ რაც ვნახეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: გამოჩნდა ერთმანეთზე ბრტყელი ქვის ფილებით მიშენებული, რიკულებიანი აივნებით შემკული კოშკები. ძნელია გაარჩიო — სად იწყება ერთი და სად თავდება მეორე. მთელი სოფელი ერთ მთლიან ანსამბლს ქმნის. მხოლოდ ვიწრო, დამრეცი, საფეხურებიანი შუკა ყოფს სოფელს ორად. აქ ბევრია მიტოვებული და ნახევრად დანგრეული კოშკი*.

სოფელი მთისფერი ქვებითაა ნაშენი და შორიდან ძნელი შესამჩნევია. იგი მოქცეულია მთის ფერდობსა და ორ მდინარეს — არღუნსა და მითხურს შუა. ისინი სოფლის წინ უერთდებიან ერთმანეთს.

არღუნი ჩვეულებრივი მთის მდინარეა, რომელიც სოფელთან მშვიდად მიედინება. მითხური, მარცხნივ რომ ჩამოუდის სოფელს — სასმელი მდინარეა, ცივი და ანკარა, ცელქი და ხმაურიანი.

სოფლის მცხოვრებთათვის, როგორც ჩანს, ტურისტები ჩვეულებრივი ამბავია. ამიტომ, ჩვენმა მისვლამ მხოლოდ ბავშვები დაინტერესა. პატარა, პირდაუბანელი და გაწეწილი, ლამაზი, ფერად-

* ამჟამად მიმდინარეობს შატილის აღდგენა-რესტავრაცია, გარდა იმისა, რომ აქ აშენდა ახალი საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები (რედ.).

ფერად კაბებიანი პატარები ჭრელ პეპლებს ჰგვანან რუხი ქვის პირქუშ ფონზე.

ბავშვებს ვეფერებით. ვურიგებთ საჩუქრებს; ზოგს ბურთი შეხვდა, ზოგს ნახატებიანი წიგნი, ზოგს სავარცხელი, ზოგსაც გასაბერი ბუშტი.

ერთ-ერთი კოშკის ვიწრო კარიდან სიცილით გამოვიდა ახალგაზრდა ქალი. მას პატარა, ცისფერთვალება, გაწეწილი გოგონა ჩვენსკენ ეწევა. გოგონა აშკარად შეწუხებული ჩანს, ჩვენსკენ იშვერს პატარა ხელებს და დედას ეხვეწება: ჩქარა ფული მომეცი, ბუშტები მოიტანეს და არ გათავდესო.

ვიცინეთ.

ისინი, თბილისთან ახლოს სოფელ გამარჯვებაში ცხოვრობენ თურმე და საზაფხულოდ ბებიასთან ამოსულან.

ქალმა სახლში შეგვიპატიჟა. ჩვენ დავძლიეთ ცნობისმოყვარეობა, თავაზიანად ვიუარეთ და არ შევედით, მოვერიდეთ მათ შეწუხებას.

აქაურებს, თითქმის ყველა ოჯახს, საკუთარი ფურნე აქვს გამართული. აცხობენ ძალიან გემრიელ, ჭვავის პურს. ჩვენ ვნახეთ, როგორ აცხობდა ასეთ ფურნეში პურს აქაური მკვიდრი — სამძიმარი.

ახალგამომცხვარი პურის სურნელმა გვაცთუნა და სამძიმარს ვთხოვეთ პური მოეყიდა.

სწრაფად დაგვთანხმდა. მოზრდილი ყველის ნაჭერიც გამოგვიტანა, გაგვიხვია, მაგრამ... ფული არ გამოგვართვა.

შევწუხდით, მაგრამ გვიანღა იყო; მოვერიდეთ მის შეურაცხყოფას და ფული აღარ შევაძლიეთ; მადლობა გადავუხადეთ და ხევისბერისაკენ გავწიეთ.

წავედით ნასწავლები მიმართულებით. მდინარის პირას, საქონლის სადგომის გვერდით, მზის გულზე მიფიცხებულ ორ მოხუცს წავადექით თავს: ერთს ბამბის სათბურა და ჭრელი წინდები აცვია; შევერცხლილ თმაზე კეპი ჰხურავს. მეორეს, უფრო ჭაღარას, ძველი, სალდათური ჩექმები და ასეთივე ძველი, ჯარისკაცის გახუნებული პერანგი აცვია და თბილი ქუდი ჰხურავს.

ჩვენს შეკითხვაზე — ხევისბერი რომელი ხართთქო — ჭაღარამ გვიპასუხა „ჩვენ, ორივეო". პირველმა გაუსწორა „მე არა, ესაოო". აშკარა იყო, რომ ნამდვილ ხევისბერს მოერიდა საკუთარი უპირატესობის აღიარება.

81 წლის ხევისბერმა კრიხი ჭინჭარაულმა გვიამბო, რომ სოფელში „ცხრა კვამლი“ ცხოვრობს ამჟამად. ადრე ბევრნი ყოფილან. მას ისიც ახსოვს, რომ სოფელში 45 „კვამლი“ ცხოვრობდა. მაშინ მხიარულებაც მეტი ყოფილა და დროსტარებაც.

„უწინ შატილი და შატილიონები მთელს ხევსურეთში საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ მიაჩნდათ. აქაურებს არც ბრძოლისა და არც მშვიდობიანობის დროს არ შეურცხვენიათ თავი. ამიტომ, შატილელი ქალის თხოვა საპატიოდ ითვლებოდა და სასიძოსაც ძვირი უჯდებოდა აქაური ქალი.

დღესასწაულები დიდი იმართებოდა; იკრიბებოდნენ ნათესავები, იგონებდნენ წარსულს, მსჯელობდნენ აწმყოს მტკივნეულ საკითხებზე და მომავლის გეგმებზე.

ახლა ყველა ქალაქში მიდის საცხოვრებლად. თვით მასაც (ხევისბერს) იქ უცხოვრია ათი წელი. შემდეგ „ცოლ მოჰკვდომია“ და მთაში დაბრუნებულა.

— ზაფხულობით ისევ ივსება სოფელი. ამოდიან ქალაქებიდან, სადაც ძალიან კარგად ცხოვრობენ ხევსურები. აქ კი, რაკი დათოვს, სახლში უნდა ჩამოჯდე და ძროხებს მოუარო. გზა არაა და რაიმე გასართობი — გვითხრა ხევისბერმა.

„მოხუცები გვიამბობენ და ჩვენ მაგნიტოფირზე ვიწერთ მიცვალებულთა ახლანდელი დატირების ხევსურულ ტრადიციას. გვინდა ქორწილის შესახებაც ჩავიწეროთ, მაგრამ „სოფელში ახალგაზრდები აღარ არიან და აღარც ქორწილები იმართებაო“ — გვითხრეს მათ.

„გაგებული გვქონდა, რომ შატილის ახლოს არის მკვდარი სოფელი მუცო, სადაც ერთ დროს შავი ჭირი გაჩენილა. მაშინ არც ექიმი ყოფილა და არც წამალი. სოფლის ქადაგი და თვითნასწავლი მკურნალები უძლურნი ყოფილან ამ სენის წინაშე. ამიტომ, დაავადებული იმთავითვე სასიკვდილოდ ყოფილა განწირული. სხვებსაც რომ არ გადასდებოდათ ეს საშინელი სენი, დაავადებული აიღებდა თურმე ცოტაოდენ პურს, წყალს და სოფლის განაპირას, ქოხში წვებოდა ქვების ფილებზე და იქ ელოდა სიკვდილს.

ნაწილი გაქცეულა სოფლიდან, მაგრამ მათგან მხოლოდ ჯანმრთელებს გაუღწევიათ სამშვიდობოს.

როცა ჭირს მთელი სოფელი გაუჟლეტია, მხოლოდ შემდეგ უნახავთ ადამიანების ძვლები.

ასევე თქმულებად შემორჩენილა შატილში „მუცოს“ ტრაგედიის ერთი ამბავიც: პატარა ბიჭი გამხდარა ავად. ისიც გაუგზავ-

ნიათ ნებაყოფლობით სასაფლაოზე. სოფლელებს უნახავთ, რომ ბიჭი უკან მობრუნებულა, სოფლისაკენ. შეშფოთებულებს შორიდანვე უყვირიათ, რად მოდიხარო! ჩონგური დამრჩაო — უპასუხია პატარას.

ამბობენ, უკან დაბრუნებულმა ქოხამდე ვეღარ მიაღწია, გზაში მოკვდა და როცა ჩონჩხი იპოვნეს, ჩონგურიც იქვე ეგდოო.

მოხუცებმა დაგვიდასტურეს ასეთი „ანდრეზის"* არსებობა:

...სინამდვილეში არავინ იცის, მართალია, თუ არა მუცოს ტრაგედიის ეს ეპიზოდები, მაგრამ, კრიხის თქმით, სოფლის განაპირას მართლაც ყოფილა ადამიანის ძვლებით სავსე გომურის მსგავსი სამარხი.

ამ გადმოცემაში ნათლად ჩანს, რომ მთის ხალხებში ძველსა და რბილშია გამჯდარი ხალხისადმი პასუხისმგებლობისა და პატივისცემის გრძნობა. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის ფაქტი, რომ სასიკვდილოდ განწირული ადამიანი, პატარა ბავშვიც კი, უსიტყვოდ ემორჩილებოდა სოფლის ინტერესებს და თავისი ფეხით მიდიოდა სასიკვდილო სარეცელზე.

მოხუცებთან საუბრის განმავლობაში ცხელი პურის სურნელი გვაღიზიანებს. გრძელი, მომქანცველი გზისა და ხევსურული ყველპურით მადააშლილებს დასვენება გვენატრება. სწორედ ამ მიზნით ავყევით მდინარე მითხურს. გვინდა შევისვენოთ და დღევანდელი შთაბეჭდილებებიც დავალაგოთ...

მდინარის პირას პატარ-პატარა ქვის წისქვილებია ჩამწკრივებული. თავდაპირველად ჩრდილის მოძებნა გვქონდა განზრახული, მაგრამ აქ არც ჩრდილია სადმე და არც მისი საჭიროება იგრძნობა — ისეთი სიგრილეა, რომ მდინარის პირას, მინდორზე მოკალათებულნი, მზეს სიამოვნებით ვეფიცხებით.

აქამდე არ გვცოდნია, რომ ცხელი პური, ყველი და მდინარიდან პეშვით ამოღებული ცივი წყალი ასე გემრიელი ყოფილა...

ამ სახელდახელო „სადილისა" და მცირე დასვენების შემდეგ კვლავ მწკრივად, გულდაწყვეტილი მივყვებით ბილიკს უკან, ჩვენი ბანაკისაკენ. გულდაწყვეტილნი ვართ, რადგან უნახავი დაგვრჩა შატილის ახლო სოფლები მუცო და ანატორი; გარდა ამისა, შატილთან განშორებაც გვიძნელდება...

ბატონი გელა გვამშვიდებს — რაღაც ხომ უნდა მოვიტოვოთ მომავლისათვის სანახავი, რომ გულმა კვლავ გამოგვიწიოს აქეთო! ...

---

* ანდრეზი მიეკუთვნება გადმოცემათა ისეთ ჯგუფს, რომელიც სინამდვილეშია მომხდარი (რ. ხ ა რ ა ძ ე, ხევსურული ანდრეზი, თბ., 1947 წ.).

უკან დაბრუნებისას ვიგრძენით მთელი სიმწვავით დაღლა. აღარც სიმღერის ხალისი გვაქვს და არც დათოს ხუმრობა გვართობს; აღარც მტირალა კლდის სილამაზე და მყინვარებზე გადასვლის სიძნელეები გვხიბლავს!

ერთ ადგილზე გზა შევიმოკლე და ციცაბო კლდის ფერდობზე შეუსვენებლად ავედი. ყველაზე წინ აღმოვჩნდი და დასვენებისათვის დროც მოვიგე. მისაყვედურეს — ასეთი რისკი სხვა დროს აღარ გაბედოო.

მე თავს ვიმართლებ. ვამტკიცებ, რომ ასეთი „რისკი" მგზავრობას უფრო საინტერესოს ხდის და დაღლას გავიწყებს...

სულ მალე დავრწმუნდი, რომ მართლაც დავაშავე: ჩემი მაგალითით წაქეზებული მაგული გაფრთხილების მიუხედავად ერთ ციცაბო ფერდობს აუყვა. შეშფოთებულებმა განვაგრძეთ გზა და როცა იმ ფერდობს თავზე მოვექეცით, შევშინდით — მაგული არსად ჩანს! ჩვენს შეშფოთებას ისიც აძლიერებს, რომ აქ, გზის შეკეთებაზე მუშაობენ; კლდეს აფეთქებენ და ზედმეტ ქვასა და ღორღს ბულდეზორი სწორედ იმ ფერდობზე ჰყრის, რომელსაც მაგული ამოუყვა...

დაღლილობა გვავიწყდება და დაღმართს გაფაციცებული ჩავცქერით — სადაა მაგული?

კარგა ხნის მერე, ქვების ერთ-ერთ გროვასთან ამოძვრა გაფითრებული და ნამტირალევი მაგული...

ეს ამბავი მე დამბრალდა და მაგულისთან ერთად მკაცრი საყვედურიც დავიმსახურე.

•

დამავიწყდა მეთქვა, რომ მიშა შატილში არ წაგვიყვანია; იგი ბანაკში დავტოვეთ დავალებით — როგორმე ეშოვნა უკან დასაბრუნებელი ბენზინი, რადგან წინასწარ არ გაგვითვალისწინებია, რომ ხევსურეთში ბენზინს გზაში არავინ დაგვახვედრებდა...

შატილიდან დაბრუნებულებს მიშა მეშვიდე ცაზე დაგვიხვდა. მისი თვალებიდან იმდენი სიხარული და კმაყოფილება იღვრება, რომ ერთბაშად ცხადი ხდება: მიშას ბენზინიც უშოვნია და ექსპედიციის ღვინის მარაგისთვისაც მიუგნია. „აბა რა მექნა, მშენებლობის მუშებმა ბენზინიც მომცეს და ბატკანიც მაყიდვინეს. მეც, რაც შემეძლო გავუმასპინძლდიო" — იმართლებს თავს მიშა.

დაღლა გვავიწყდება. დასვენება ძალიანაც რომ გვინდოდეს, ვერ დავჯდებით, რადგან მზე უკვე ჩავიდა და საკმაოდ ცივა. გინდა, თუ არ გინდა, უნდა იმოძრაო, რაღაცა გაკეთო, თორემ გაითოშები...

სწრაფად გავაჩაღეთ კოცონი და ვახშმისათვის სამზადისს შევუდექით.

მაგნიტოფონი დათოს აქვს ჩაბარებული. დღეს მას ამ მოვალეობით არაერთხელ „უსარგებლია“ და გზაში ისეთი საუბრები ჩაუწერია ჩვენი, რომლის მოსმენამაც საკმაოდ გაგვამხიარულა. ამ ამბით წაქეზებული დათო ახლა ნაკვერჩხლებზე დაფიცხებულ მწვადებთან ჩაცუცქულა და რაღაცას გულმოდგინედ უკირკიტებს. გაირკვა, რომ მადის აღმძვრელი სუნისაგან გაღიზიანებულს, მოუსურვებია მწვადის შიშხინის მაგნიტოფირზე ჩაწერა...

...ცნობილია, რომ უსაქმურობა ბევრ სისულელეს ჩაადენინებს ადამიანს; ამიტომ, დათოს სასწრაფოდ მოვუძებნეთ საქმე და გადავარჩინეთ მაგნიტოფონი შამფურზე წამოგებული ბატკნის ბედს.

გემრიელი და მსუყე ვახშმის შემდეგ დაღლილ-დაქანცულებს ისე ტკბილად ჩაგვეძინა, რომ ღამის სუსხი აღარ გვიგრძვნია; არც გაავდრების შიშს და ხევში ჩარჩენის საფრთხეს გაუტეხია ძილი ვინმესთვის.

8 ივლისი. თრუსოს ხეობა-ჯავა:

დილით ყველაზე ადრე გავიღვიძე. ყველა კუნთი და სახსარი მტკივა გუშინდელი სიარულისაგან.

წუხანდელი კოცონი მოვჩხრიკე, ნაკვერჩხალს ფიჩხი წავაყარე და ცეცხლს ვეფიცხები; ვიწყებ მაგნიტოფირზე გუშინდელი ჩანაწერების წესრიგში მოყვანას: ბრუნავს ფირი და აი, გუშინდელი საუბარი გუდანში, გიორგი ჭინჭარაულთან; ვეკითხებით: თქვენი ხევისბერი რომ მოკვდეს, რას იზამთთქო? — ახალს ავირჩევთო — გვიპასუხა მან. — ვის აირჩევთთქო? — ვისაც ქადაგი გვეტყვისო!

ქადაგი?!

ბარისახოში აბა ლიკოგელთან, გუდანში გიორგი ჭინჭარაულთან და შატილში კრიხი და ხვთისო ჭინჭარაულებთან გუშინდელი საუბრის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ხევსურებს ახლაც ჰყოლიათ „ქადაგი“. იგი ხალხს „ხატის სურვილს“ ამცნობს — „ესა და ეს კაცი აირჩიეთ ხევისბერადო“ და ისინიც ირჩევენ. ქადაგის მიერ დასახელებული კაცი ყოველთვის ჭკვიანია, სამართლიანი,

მშრომელი... ბევრის მთქმელია დემოკრატიზმისა და ავტორიტარიზმის სინთეზის ეს ბუნებრივი გადმონაშთი...

ხევსურეთში დღემდე შემორჩენილა ხატობის დღესასწაულები. ესენია: აღდგომა ანუ „აღვსება"; „ამაღლება" (მაისის ბოლოს ტარდება), „ათენგენობა" (ივლისის 18—26 მდე), და „დიდხატობა". იციან აგრეთვე „გიორგობა".

დღესასწაულის დღეებში სოფლის ყველა მცხოვრები „ხატში" მიდის საზეიმოდ, რაც რამდენიმე დღეს გრძელდება.

ჩვენ დავინტერესდით ამ დღესასწაულების შინაარსისა და ცერემონიალის ხასიათით, მაგრამ მათ არ იცოდნენ, რას ნიშნავს თითოეული მათგანი; იციან მხოლოდ ის, რომ „წელიწადში უსათუოდ შვიდჯერ უნდა იძინონ ხატში". ფაქტიურად დღეისათვის ეს დღესასწაულები მხოლოდ ხალხის შეხვედრის, ქეიფისა და გართობის ხასიათს ატარებს.

მოსახლეობა აქ ტერიტორიულად ყოველთვის დაშორებული იყო ერთმანეთს. ამიტომ, განსაკუთრებით უხაროდათ ხევსურებს დღესასწაულების მოახლოება; ქორწილები და თვით დასაფლავებაც კი დღესასწაულის სახეს ღებულობდა.

დღესაც, ახალგაზრდები ამ დღესასწაულებზე ხვდებიან ერთმანეთს, ეცნობიან... აქ იწყება ერთმანეთის მოწონება და პირველი რომანი... თუ ქალ-ვაჟს ერთმანეთი მოსწონთ, ვაჟის მახლობლები მიდიან ქალის ოჯახში; მიაქვთ არაყი და რაიმე ნიშანი. ეს ნიშანი შეიძლება ძალიან უმნიშვნელო რამ იყოს. თუ ქალის მშობლებიც თანახმანი არიან, სვამენ არაყს და იტოვებენ ნიშანს.

შეთანხმდებიან ქორწილის დღეზე.

ქორწილი ვაჟის ოჯახში იმართება. ვაჟის მახლობლები მიდიან ქალის სოფელში ცხენებით; მიჰყავთ საკლავი და მიაქვთ სასმელი. სასიძო ქალის წამოსაყვანად არ მიდის. იქ ცოტას წაიქეიფებენ და მოჰყავთ ქალი სიმღერებითა და თოფის სროლით. ქალს თავისი სოფლიდან მაყრები მოყვებიან. ვაჟი არ ეჩვენება ქალსა და მის მაყრებს. იგი მეზობლებში ან ნათესავებში „ისვენებს". შემდეგ არჩევენ ორ ვაჟს; ისინი მიდიან სასიძოს „საძებნელად", და სადაც იპოვნიან, იწყება არყის სმა. ბოლოს სასიძო მოყავთ თავის სახლში. შეყავთ ცალკე ოთახში, სადაც შეიყვანენ საპატარძლოსაც. აქ აგროვებენ „შესაწევარს", რომელსაც „ნეფიონთ ტაბლა" ჰქვია. ნათესავები და მეზობლები ნეფიონთ ტაბლაზე დგამენ თითო ბოთლ კარგ არაყს და ესაა მათი საჩუქრები. დეკანოზი ანთებს სანთლებს და ლოცავს ნეფე-დედოფალს. სიძე ასაჩუქრებს ქალის ნათესავებს „შესაწევარი" არყის ბოთლებით.

ქეიფი გრძელდება სამ დღეს. სვამენ ლუდს, არაყს... აცხობენ ქადებს, ხავიწს, პურს... იხარშება ბრინჯი, ხორცი; იმართება სხვადასხვა თამაშობები...

ამის შემდეგ მოილაპარაკებენ, თუ როდის დააბრუნონ ქალი თავის ოჯახში. ქალი თავის ოჯახში ბრუნდება მარტო; ნეფე არ მიყვება თან. გიორგი ჭინჭარაული ამბობს, რომ სიძის მისვლა ქალის ოჯახში სირცხვილია.

ქალი მამის ოჯახში რჩება ერთი წლის განმავლობაში. თუ ვაჟის ოჯახს მუშახელი უჭირს, მაშინ ქალი ადრე დაბრუნდება ქმართან.

თუ ქალის ოჯახი მდიდარია, მზითევში აძლევენ 2-3 ძროხას. სხვა მზითევი ან „ქალის გამოსასყიდი არ იციან“.

...ბრუნავს მაგნიტოფირი და ვიწერ... როგორც ჩანს, ჩვენები გავაღვიძე.

— რა ხალხია, — ისმის დათოს გაბზარული ხმა — დამაძინეთ ცოტახანს, ახლაც სამსახურში ხომ არ მაგვიანდება!

გოგოები დათოს აქილიკებენ და ჩემზე იცინიან. ალბათ ძალიან სასაცილოდ გამოვიყურები. მობუზული ვზივარ კოცონთან. მუხლებზე რვეული მაქვს გაშლილი და აჩქარებით ვწერ, მინდა მოვასწრო მასალის რვეულში გადატანა, სანამ კვლავ გზას გავუდგებოდეთ...

აი, გუშინდელი საუბარი ხვთისო და კრიხი ჭინჭარაულებთან:

— უკაცრავად ბატონო ხვთისო, თუ შეიძლება გვიამბეთ, როგორ იციან თქვენთან დამარხვა?

— როგორ და... ამოვთხრით მიწას და ჩავაგდებთ შიგ... კრიხის სიცილი უშლის ხელს საუბრის გაგრძელებაში.

— იცით. ჩვენ გვაინტერესებს მიცვალებულის დამარხვის თანამედროვე წესები თქვენთან...

— ვიცი, ვიცი... ახლა უკვე სერიოზულად გვპასუხობს კრიხი და გვიამბობს...

მე მის ნაამბობს ვადარებ ბარისახოში, გუდანში და ხახმატში ჩაწერილ მასალებს და რვეულში გადამაქვს:

— გასვენების დროს ხევსურეთში ისევე, როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, იციან პურმარილის მომზადება. მას „სამარხს“ უწოდებენ. ამ დღისათვის ხდიან არაყს (ლუდი არ იციან), აცხობენ პურს, ხარშავენ ბრინჯს; რაც უფრო შეძლებულია ოჯახი, მით უფრო ადრე მარხავს მიცვალებულს — მესამე ან მეხუთე დღეზე.

მიცვალებულს მოთქმით ტირიან ჭირისუფლები. ეს დატირება ხშირად ლექსადაა გამოთქმული.

ცნობილია ხევსურული „ნატირლები“, სადაც ლაპარაკია მიცვალებულის ვაჟკაცობასა და სხვა საგმირო საქმეებზე.

უწინ ხევსურებს დასაფლავების დროს კუბო არ სცოდნიათ. მიცვალებულს ახვევდნენ ფარდაგში და აწვენდნენ ბრტყელი ქვის ფილებით ამოშენებულ სამარხში.

მიცვალებულის ოჯახს ხარჯებისათვის ნათესავები და მეზობლები არ ეხმარებიან. ტარიელ ალუდაურის თქმით, დახმარება სირცხვილად ითვლება.

პურის ჭამის შემდეგ იმართება დოღი. როდესაც ნათესავები გასვენების დღეს იკრიბებიან, თან მოჰყავთ ცხენები. რამდენი ნათესავიც ყავს მიცვალებულს, იმდენი ცხენი „მოქუჩდება“. ბავშვისა და ქალის დასაფლავებაზე დოღი არ სცოდნიათ.

მიცვალებულის პატივსაცემად ნათესავები ცდილობენ, თავი გამოიჩინონ დოღში. გამარჯვებულს აჯილდოებენ და ეს ჯილდო შეიძლება იყოს: ხარი, ძროხა, ქვაბი, ცხვარი, ხბო...

თუ მიცვალებულის დასაფლავებისას დოღი არ გაიმართა, ითვლება, რომ ოჯახმა პატივი არ სცა მიცვალებულს. გლოვის ნიშნად მიცვალებულის ნათესავი მამაკაცები წვერს ატარებენ. აქ ხშირია სოფლები, სადაც ყველა ერთმანეთის ნათესავია. ამიტომ, ხშირად მთელი სოფელი ატარებს წვერს.

უწინ ცოდნიათ გლოვის ნიშნად გადმობრუნებული ტანსაცმლის ტარება და მოქარგული საბეჭურების თალხით დაფარვა.

დასაფლავების შემდეგ მიცვალებულის ოჯახმა ისევ უნდა გადაიხადოს „ხარჯები“: „წვერის გამოშვება“, „გლოვნა“, „საქნარი“.

წვერის გაპარსვა ხევსურეთის სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა დროს იციან. მაგალითად: ბარისახოში წვერის გაპარსვის უფლება მაშინ აქვთ ნათესავებს, როცა ხარჯებს გადაიხდიან, რაც ოჯახის ეკონომიურ მდგომარეობაზე არის დამოკიდებული. თუ მამაკაცი წვერიანი დადის, ყველამ იცის, რომ მას მიცვალებულის საპატივცემოდ ხარჯები აქვს გადასახდელი.

როცა ოჯახს ხარჯების გადახდის საშუალება ექნება, გამოხდიან არაყს, მოიწვევენ ხალხს და გამართავენ პურმარილს, რომელსაც „პირგასაპარსი“ ჰქვია.

ერთი წლის თავზე იციან „საქნარი“. მთელი სოფელი და ნათესაობა იკრიბება. „საქნარის“ შემდეგ ოჯახისათვის უკვე ნებადართულია ლხინი. მანამდე კი, მთელი წლის განმავლობაში, სოფელი თავს იკავებს მხიარულობისაგან.

მიცვალებულზე ზრუნვა „საქნარით“ როდი მთავრდება. მას ყოველ დღესასწაულზე მოიგონებენ ნათესავები და დაიტირებენ აბ-

ლობლები. Კარგ კაცს სოფელი არ დაივიწყებს და თუ სახელოვანი ვაჟკაცი იღუპება, მის შესახებ თქმულებები, ლექსები რჩება სოფელში, რომელსაც თაობებს გადასცემენ. მისი დასაფლავებაც განსაკუთრებულ საზეიმო სახეს ატარებს. დოღიც განსაკუთრებული იმართება და ეს აძლიერებს მიცვალებულის ხსოვნის ხანგრძლივობას სოფლის მცხოვრებლებში.

ამაგის ასეთი „არ დავიწყება“ ვაჟკაცობისა და კაიკაცობის სტიმულია ცოცხლად დარჩენილთათვის.

ხევსურული ტრადიციების შესახებ მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვთ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს, გ. ს ა ხ ო კ ი ა ს, გ. თ ე ე ვ დ ო რ ა ძ ე ს და სხვებს, მაგრამ ჩვენ მიერ აღწერილი ზნე-ჩვეულებანი რამდენადმე განსხვავდება ამ ავტორების მიერ 20-30-იან წლებში ჩაწერილი ჩვეულებებისაგან.

მაგალითად, ამ ავტორების გადმოცემით, უწინ კაცი სახლში სულს ვერ დალევდა, რადგან მომაკვდავი უწმინდურად ითვლებოდა. ვინც მიცვალებულს ღამეს უთევდა — ვერც ის შევიდოდა სახლში. მისთვის დერეფანში გამოჰქონდათ საჭმელი. მიცვალებულს სამარეში ჩააყოლებდნენ არაყს, სათუთუნეს, ასანთს, ჯიბეში — ფულს; ვინც მდიდარი იყო — ქამარხანჯალსაც. მაშინდელი ხევსურის წარმოდგენით მიცვალებული საიქიოშიც განაგრძობდა არსებობას და აღნიშნული ნივთები იქ დაჭირდებოდა.

გარდა ამისა, მიცვალებულს მოუყვანდნენ „სასულე ცხენს“. ამ ცხენს ოჯახი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მთელი წლის განმავლობაში. ხევსურების რწმენით იგი საიქიოში გარდაცვალებულის სულს უნდა მომსახურებოდა.

უწინ „მიცვალებულის სულთან ლაპარაკობდა მეყულთანე“, და მის სურვილებს ატყობინებდა ჭირისუფლებს.

დასაფლავების წესებს „ნარევები“ ასრულებდნენ. ექვსი დღის განმავლობაში „ნარევები“ სახლში ვერ შევიდოდნენ, რადგან უწმინდურად ითვლებოდნენ.

— Vპირიქითა ხევსურეთში, უწინ, შესაწევარი ყველას მოჰქონდა — თითო ლიტრა ქერი. ვინც არ მოიტანდა — ძალით წაართმევდნენ. ნათესავებს კი ლუდი უნდა მოეხარშათ. ამ წესის დარღვევა სირცხვილად ითვლებოდა. ბოლოს კი, ნათესავებს მიცვალებულის ოჯახიდან მიჰქონდათ კვერი და ერბო. ხმით მოტირალს — ერბო, ქადა, მატყული და ცხვრის დუმა.

ერთი წლის განმავლობაში მიცვალებულის ოჯახში გაშლილი იყო მიცვალებულის ტანსაცმელი, რომელსაც შაბათობითა და დღესასწაულებზე დაიტირებდნენ ხოლმე.

ასეთივე წესი ჰქონიათ ფშაველებსაც: მიცვალებულის ოჯახში დგამდნენ „სატირელს“ — ლოგინს, სადაც გაშლილი იყო მიცვალებულის ტანსაცმელი და მისი მახლობელი ქალის ნაწნავები. აქვე უდგამდნენ მიცვალებულს ხელადით ღვინოს, პურს, თხილს, კაკალს... ფშაველების რწმენით, ყოველივე ეს სულს ესაჭიროებოდა.

წლის თავზე ფშავლებიც იხდიდნენ „წელ-თაობას“ დიდი ხარჯით.

მათ ცოდნიათ ყოველ ახალ წელს მიცვალებულთა საპატივცემლოდ სამი სუფრის გაშლა: ოჯახის მიცვალებულისათვის, ოჯახის მეგობარი მიცვალებულისათვის და „ოხრის სულისათვის“, ანუ უპატრონო მიცვალებულისათვის.

როგორც ვნახეთ, დასაფლავების ძველი წესებიდან დღეისათვის დავიწყებულია ის წესები, რომლებიც ცრუმორწმუნეობასთანაა დაკავშირებული, ხოლო შემორჩენილია ის ჩვეულები, რომლებიც მიცვალებულის ხსოვნის პატივისცემას გამოხატავს და ცოცხლად დარჩენილთათვის ურთიერთთან შეხვედრებისა და ნათესაური კავშირების აღდგენას ემსახურება.

ექიმი თევდორაძე თავის წიგნში „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“ — ერთ საინტერესო ჩვეულებასაც აღწერს ხევსურების ცხოვრებიდან: მათ ცოდნიათ „სიცოცხლეში დამარხვა“. ამ წესს მიმართავდა თურმე უშვილო კაცი, რომელსაც არ ჰყავდა „სიკვდილის მერე მომვლელი“; იგი თავის სიცოცხლეშივე „გაისვენებდა თავს“.

„თავის გასვენება“ ხდებოდა იგივე წესების დაცვითა და თანმიმდევრობით, როგორც ნამდვილი დამარხვა: ოჯახში კეთდებოდა „ხარჯი“, იხდებოდა არაყი, იმართებოდა დოღი; მოიწვევდნენ ნათესავებს, რომლებიც ისევე დაიტირებდნენ მიცვალებულს, როგორც ნამდვილი გასვენების დროს.

„მიცვალებული“ ამ დღისათვის ახალ ტანსაცმელს იკერავდა, რომელსაც ინახავდა ნამდვილი სიკვდილისათვის.

ქელეხისათვის გამზადებულ პურმარილს „მიცვალებული“ არ ჭამდა. მისთვის ცალკე კეთდებოდა განსხვავებული საჭმელი.

აღნიშნული „თავის დამარხვა“ საპატიო წესი ყოფილა, მას შეძლებულები მიმართავდნენ და აუცილებელ წესად არ ითვლებოდა.

* * *

...ამასობაში თრუსოს ხეობა მზით გავსილა. ნამიან მიწას ორთქლი ასდის; ჩვენები ამდგარან და კაცი ვერ გაიგებს, ვინ რას აკეთებს: ზოგი წყაროზეა, ზოგი ქვებს ისვრის მდინარეში, ზოგი პირს იპარსავს, ზოგი, უბრალოდ, მზეს ეფიცხება. თალესი კინოაპარატით ჩვენს აყრილ ბანაკს იღებს: კარვები ნახევრად აუკეციათ; ჩვენი ჭრელ-ჭრელის საძილე ტომრები ერთმანეთშია უწესრიგოდ არეული: კოცონის პირას წუხანდელი ვახშმის ნამუსრევი და დაურეცხავი ჭურჭელია დახვავებული;

— აბა! გასვლამდე ნახევარი საათი გეძლევათ! ისმის ჩვენი მეთაურის მორიგი მითითება.

ჩვენ დავფაცურდით: ზოგი ავტობუსს ეცა დასალაგებლად, ზოგი ჯამჭურჭელს რეცხავს მდინარეზე, ზოგმა მინდვრის გასუფთავებას მიჰყო ხელი, ზოგი საუზმის მომზადებას შეუდგა.

ერთი საათის შემდეგ ყველაფერი მზად არის: ნივთები თავის ადგილზეა დაბინავებული. ჩვენ კი დაბანილ-დავარცხნილები ვდგავართ ჩაბეუტული კოცონის ირგვლივ; ხელში ბრინჯის ქაშით სავსე თეფშები გვიჭირავს და მადიანად ვილუკმებით.

ავტობუსი ფრთქვინავს და მზად არის გზის გასაგრძელებლად,

...და აი, გაირეცხა ბოლო ფინჯანი, გასუფთავდა ჩვენი ნაბანაკარი და დაიწვა უკანასკნელ ნარჩენები; სასმელი წყლით აივსო ყველა მათარა და დავიძარით.

მიშა უხასიათოდ გამოიყურება. როგორც ჩანს, აფიქრებს გზის სირთულე და აღიზიანებს ჩვენი უთავბოლო მხიარულება.

— ცხვარი!

— აბა ცხვარი?

— აბა მთა?

მაგული გუშინ წყნარად იყო. დღეს კი რომ აიშვა... მღერის, ბიჭებს აბრაზებს და იცინის, იცინის გაუთავებლად.

ნელი დაწვა და დაიძინა; ლუბა სურათებს უღებს ცას, მთას, ცხვარს, გზას, ქვას... იღებს მეათედ, მეასედ... თალესი კინოაპარატით გადაკიდებულა ფანჯარაში...

ავუყევით კავკასიონის ჩრდილო კალთას. თუ ეს ვეებერთელა ალმართი ავიარეთ უკვე დათვის ულელტეხილზე ალმოვჩნდებით და თავქვე დავეშვებით პირაქეთა ხევსურეთში. ავალთ კი? აქეთ ნია-

დაგი ნესტიანი ყოფილა. თოვლის ნაჟურისაგან დამბალი მიწა გზებზეა ჩამოწოლილი.

— აქ ვერ ავალთ, უნდა ჩახვიდეთ მანქანიდან! შეგვაწყვეტინა მიშამ მხიარულება და კარი გაგვიღო.

უცბად შეწყდა ღრიანცელი. ავტობუსიდან სათითაოდ ჩახტნენ ჩვენი ეკიპაჟის უდარდელი წევრები.

ნელის ავტობუსში სძინავს.

— გავაღვიძო?

— ნელის გაღვიძებას ჯობია ერთი ჩემოდანი აიღო, რომელიც უფრო მძიმეა!

მანქანა ბუქსაობს.

— მე შენ გეტყვი, ქვებს იშოვნი, რომ ბორბლებს შეუყენო!

— აბა, მოაწექით! ...აბა, ჰე! ...აბაააა!... და ერთი დაბრკოლება გადავლახეთ.

მიშამ აღარ დაგვიცადა და გაქუსლა. წეღან კონიაკი რომ არ დავალევინეთ, ალბათ ამიტომაა უხასიათოდ და ახლა საკმაოდ გვარბენინა ფეხით.

გუშინდელი სიარულისაგან კუნთები გვტკივა და ძალიან გვიჭირს ყოველი ნაბიჯის გადადგმა.

მიშა აღარ გვიცდის.

— არა უშავს, კიდევ ჩაეფლობა და დაგველოდება! წინასწარმეტყველებს მზია.

როგორც იქნა დამთავრდა ეს გაუთავებელი აღმართი. თითქმის ხელით „ავიტანეთ" მანქანა უღელტეხილზე. ვქშინავთ და მივდივართ, შესვენებაც კი არ შეგვიძლია — გვცივა.

ირგვლივ ისევ გოლიათი მთები, დაბრეცილი ფერდობები და ურიცხვი ცხვრის ფარებია.

...ვაშაააა! ორი საათის ბრძოლის შემდეგ დამთავრდა აღმართი.

— ეჰე — ჰეეეეი! ვყვირით. ვცლით თოფს და ვისმენთ ჩვენივე ხმის გამოძახილს.

ვდგავართ გოლიათი მთების თავზე და თითონაც გოლიათებად ვქცეულვართ. ზოგს არ ესმის ალპინიზმით გატაცების ვნება. რა არის აქ გაუგებარი, თუკი როდისმე გამოუცდია ადამიანს დაბრკოლების გადალახვის სიხარული!

ბოლოს ვსხდებით ავტობუსში; მსუბუქი ფრუტუნით ვეშვებით თავქვე და ისევ ვიკარგებით პირაქეთა ხევსურეთის გოლიათ მთათა სიღრმეებში.

შუადღისას უკვე ნატახტარში ვართ.

გადაწყვეტილი გვაქვს აქ ვისადილოთ და გზა განვაგრძოთ.

გვინდა საღამომდე ჩავიდეთ ჯავაში და ღამე იქ გავათიოთ.

ნატახტარის რესტორანთან ყოველთვის ხალხმრავლობაა: ზოგი საქეიფოდ მოდის, ზოგი ბენზინისათვის, ზოგი, უბრალოდ, დასანაყრებლად.

ძლივს გავიკვლიეთ გზა მანქანების ზღვაში. ალბათ უჩვეულოდ გამოვიყურებით, რადგან ყველა ჩვენ გვიცქერის: გაუპარსავი ბიჭები, შარვლიანი, დაუვარცხნელი გოგოების დაღლილი, თვლემამორეული თვალები და მათი თოფიანი მეთაურის მტკიცე ნაბიჯები...

ბატონი გელა თოფს ხელიდან არ უშვებს, რადგან ეშინია, ვინმე გაუფრთხილებელს არ ჩაუვარდეს ხელში....

უმარილო და უმწვანილო ლობიოთი ვსადილობთ, რადგან სხვა არაფერი აღმოაჩნდათ გამზადებული. მოვიმარაგეთ ბენზინი, მოსიყვარულე მზერა გავაყოლეთ თბილისის გზას და ჯავისაკენ ავიღეთ გეზი.

...ხევსურეთი რომ არ გვენახა, ჯავის ბუნებით მოვიხიბლებოდით. აქ ძალიან ლამაზი მთებია. ოღონდ ეგაა, დასაბანაკებელი ადგილი ვერ შევარჩიეთ; გამოვბრუნდით მთავარ გზაზე და მალე შევედით მდინარე „ფაწის“ ხეობაში. ჩვენ არც კი წარმოგვედგინა, თუ ასე ლამაზი იქნებოდა ფაწა. იგი მთის ჩქარი მდინარეა, მწვანე, თეთქოჩორა ტალღებით. ხეობა მთლად ნაძვებითაა შემოსილი. მდინარის გაყოლებით ასფალტიანი საავტომობილო გზა მიიკლაკნება ონისაკენ.

აქვე, მდინარის პირას მოვძებნეთ ბანაკისათვის საკმაო მწვანე მინდორი. მინდორს ერთ მხარეს ფაწა ჩაუდის. დანარჩენი სამი მხარე ხშირ ნაძვნარსა და თხმელის ხეივანს უჭირავს. აქვეა სასმელი წყალიც. ერთი სიტყვით, ღამის გასათევად უკეთეს ადგილს ვერც ვინატრებდით.

მანქანა მინდორზე შევაყენეთ და ვახშმის სამზადისს შევუდექით.

ადრე ჩვენს „მზარეულებს“ ხშირად უხდებოდათ ჩვენი დაძახება დასახმარებლად. ახლა კი იმდენი ვეხმარებით, რომ უკვე ხელს ვუშლით და ლუბა ძლივს იგერიებს მოხალისეებს.

თალესი დინჯად შლის კარვებს. დათო ეხმარება; უფრო ხშირად კი ქვაბებთან გარბის და შიგ იცქირება. მიშას მოაქვს და მოაქვს შეშა, რომელიც მდინარეს ბლომად გამოურიყავს, გამხმარა და კვარიკვით იწვის.

ბინდდება. ჯერ ლურჯად მოიხაზა მთათა ტეხილი კონტურები; მერე თანდათან ჩამუქდა და ბოლოს მთლად ჩაშავდა ირგვლივ ყველაფერი. მხოლოდ ჩვენი კოცონი ანათებს მანქანას, კარვებს, მდინარის ერთ ნაწილს და ქვაბებს.... ისინი თუხთუხებენ და ჯადოსნურ ხმებსა და სურნელს ავრცელებენ... გოგოებს დაფნის ფოთოლიც კი არ დავიწყნიათ და ახლა ისეთი სუნი დგას ჩვენს პატარა მინდორზე, რომ დათო თავგზააბნეული დარბის....

...მერე დავლოცეთ ხევსურეთიც და ოსეთიც, ცაც და მიწაც, წარსულიც და მომავალიც... რა კარგია, როცა სიხარული გულში არ ეტევა და სიმღერად გადმოიღვრება; მაშინ აღარ უწევ ანგარიშს, სმენა გაქვს თუ არა, მოეწონებათ შენი სიმღერა თუ არა...

9 ივლისი. ფაწა-ონი-შოვი-მამისონი-შაორი:

ნისლიანი დილა ვათენდა.

სანამ კარვებიდან ერთმანეთს ვავძახით, გუშინდელ დღეს ვიგონებთ და ერთმანეთს ვაქილიკებთ — კიდეც გაწვიმდა.

აი ხათაბალა! რა ვქნათ? როგორ ავდგეთ? დავუშვათ, დასველებას არ მოვერიდეთ და ავდექით; სველი კარვების აკეცვა არ გინდა? ამასაც რომ თავი გავანებოთ, საუზმე ხომ უნდა მოვამზადოთ, კოცონი გავაჩაღოთ, მერე ჭურჭელი გავრეცხოთ...

— ღმერთმა გვიღალატა!

...დღეს ისეთი გეგმა გვაქვს, რომ ბოროტებაა ასე გაცდენილი ყოველი წუთიც კი.

— აბა! გვეყოფა ნებივრობა! — განკარგულებას იძლევა ჩვენი მეთაური და იძულებულნი ვართ, საქმეს შევუდგეთ.

თბილისიდან რომ გამოვდიოდით, ბატონმა გელამ დაიჟინა, ქოლგა ვიყიდოთო. მაშინ ბევრი ვიცინეთ ამ ახირებაზე. ამ დილით კი ჩხუბი ატყდა — ვის რგებოდა ქოლგა.

— მე კუჭი მტკივა, მე მომეცით რა!

— მე ხელმძღვანელი ვარ — ჩავერიე კამათში — ჩქარა მომეცით!

— ბიჭებო, თუ თმები დამისველდა, დამიხუჭუჭდება, გეხვეწებით... და ქოლგა მზიას ერგო.

ეინქლავს. მიშამ უკვე ააბრიალა კოცონი. ვკეცავთ სველ კარვებს. თუ მზე გამოვა, გავშლით და გავაშრობთ.

ნახევარი საათის შემდეგ კოცონთან ვდგავართ და ხელში ორთქლიანი ჯამები გვიჭირავს; ზოგჯერ წვიმა ძლიერდება და მაშინ

ჯამებში შხაპუნით ჩადის... ერთმანეთზე გვეცინება: ვხვრეპთ ცხელ, სურნელოვან ხარჩოს და დიდებულად ვგრძნობთ თავს.

წვიმა ძლიერდება. სასწრაფოდ ვამთავრებთ საუზმეს; არ გვაკიწყდება ნაბანაკევი მინდვრის გასუფთავებაც და ვაგრძელებთ გზას.

ჩვენი უახლოესი მიზანი ერწოს ტბის მონახულებაა, მაგრამ ისეთი ნისლია, რომ არაფერი არა ჩანს ირგვლივ. გზისპირას გაკეთებული წარწერიდან ვგებულობთ, რომ სოფელ ელყანასთან ვართ.

ნისლმა თანდათან გადაიყარა.

სამანქანო გზიდან მარცხნივ დაბლა, ტაფობში მწვანე სარკე ლაპლაპებს. ესაა ირგვლივ მთებით შემოჯარული ერწოს ტბა. მთების აჩრდილი მუქ მწვანედ ირეკლება მასში.

ტბის სილამაზით დატკბობა ვერც მოვასწარით, ისევ სქელმა ნისლმა დაფარა არემარე.

— რა ლამაზია!

მიკვირს. ჩემს ბავშვობაში ნისლების მეტი რა მინახავს, მაგრამ არასოდეს გამიგონია ნისლი ლამაზიაო.

— ჩვენში ერთი მაღალი სოფელია მთაში — ხრეითი. იქ ხშირად იცის ნისლი. იქაურები „ხრეველების სიძეს“ ეძახიან ნისლს.

— რას ეძახიან?

— „ხრეველების სიძეს“. როცა მთიდან ნისლი დაიძვრება, ამბობენ „სიძე მოდისო“.

— რატომ სიძე?

— არ ვიცი. ალბათ იმიტომ, რომ იქაურებს მოყვრებში შემოჩვეული სიძე აგონდებათ.. .იმერეთში ნისლს „ბურს“ ვეძახით.

გადავიარეთ უღელტეხილი და მდინარე ჯანყორის ხეობას დავყევით ონის მიმართულებით.

კოკისპირულად წვიმს. მხიარულად ტკაპუნებენ წვიმის მსხვილი წვეთები ავტობუსის სახურავზე. ვტკბებით მთის კალთებზე შეფენილი სოფლების სილამაზით და ვისმენთ მაგულის სიმღერებს.

ონში სურსათის მარაგი შევივსეთ და ახლა რიონის ხეობას მივყვებით შოვის მიმართულებით.

გვეგონა, ხევსურეთის მერე აღარაფერი გაგვაკვირვებდა, მაგრამ შოვის ტყეებმა აღტაცებაში მოგვიყვანა.

კურორტი ხომ განუმეორებელი სილამაზისაა! კურორტის რაბული სიდინჯით აგებული კოტეჯები ისე ჰარმონიულად ერწყმის გარემოს, რომ მისი მხილველი უსათუოდ მოხიბლული დარჩება. თუ

სხვა კურორტებსაც შევადარებთ, თვალში გვეცემა აქაური სისუფთავე და სიმშვიდე. ხალხი აქაც ბევრი ისვენებს, მაგრამ არ ვიცი, რაჭული სიდინჯის გავლენით, თუ სხვა რაიმე მიზეზით, აქ ყველა დინჯად გამოიყურება. არ იგრძნობა სხვა კურორტების ცხოვრებისათვის დამახასიათებელი გიჟური რიტმი.

აქვე „ტირი“ გაუმართავთ. შიგ ერთი პატარა, შავტუხა ბიჭი ისე მარჯვედ ტრიალებს, რომ „შეგშურდება“ მისი სიცოცხლის ხალისი. მასვე შეუთავსებია რამდენიმე სახის სათამაშო ლატარიების განმგებლობა და უმოწყალოდ „ატყავებს“ ამ საქმეში ჯერ კიდევ გამოუცდელებს.

ცოტა ხნით „ტირში“ წავივარჯიშეთ. ლატარიაშიც ვცადეთ ბედი. ეს უფრო სარფიანი გამოდგა ჩვენთვის — რამდენჯერაც დავატრიალეთ, იმდენჯერ მოვიგეთ: თუნუქის ავტო, დუდუკი, რეზინის ბაყაყი, ლუსიონი...

პატარა ბავშვებივით გვიხარია და მონაგები ნივთებით თავი მოგვწონს. მერე იმ ბიჭმა გვიანგარიშა: თითო დატრიალება 50 კაპიკი ღირსო, ხოლო ჩვენგან მოგებული თითო ნივთი — 15—20 კაპიკი. ისე გამოვიდა, რომ ამ ბიჭმა ეს ბაყაყები და დუდუკები სამშაგ ფასებში მოგვასაღა, მაგრამ ისე „ლამაზად“ და ოსტატურად მოგვატყუილა, რომ კმაყოფილნიც კი დავრჩით.

ზემო რაჭა მდიდარია მინერალური წყლებით. ამბობენ, მდინარე რიონი ნახევრად მეავეაო. ჩვენ რიონი არ გაგვისინჯია, მაგრამ მეავე წყლებით კი გული ვიჯერეთ — გზაში არც ეროი წყარო არ დაგვიტოვებია გაუსინჯავი.

სოფელ უწერაში ცნობილი „კუჭის წყლის“ დალევაც მოვისურვეთ. ავყევით ძნელად სავალ ბილიკს ნაძვნარით დაფარული მთის ფერდობზე. წყაროსთან ოცამდე კაცს მოუყრია თავი; გრძელ მწკრივად ჩაურიგებიათ სურები და ხელადები; სამკურნალო წყალი კი წვრილ ნაკადად მოწანწკარებს. აქ მოსული დამსვენებლები თურმე დილის ექვსი საათიდან დგანან რიგში, რომ მთელი დღის სამყოფი წყალი მოიმარაგონ; „პანსიონატის“ დამსვენებლებს ურიგოდ ერგებათ თავიანთი ულუფა; ასე, რომ ხელცარიელნი ვბრუნდებით, გემოც კი ვერ გავუსინჯეთ „უწერას“.

— არა უშავს, თბილისში ჩავალთ და რამდენსაც გინდათ დალევთ! გვანუგეშებს დათო და მხიარულად ვეშვებით თაქვე, გზატკეცილზე, ჩვენი მანქანისაკენ.

კურორტი შოვი მეავე წყლების სიუხვითაც არის განთქმული. ბატონი გელა აქ კი გულუხვად გვიმასპინძლდება.

შოვს ჭანჭახი ჩამოუდის. იგი ჩვეულებრივი, მთის მდინარეა — გიჟი და წყალუხვი. წყალდიდობის დროს ვეებერთელა ლოდები ჩამოუხერგია მთიდან და ახლა გახევებული ებრძვის თავისსავე ნამოქმედარს და ამ ჭიდილში უთვალავ შხეფებად იმსხვრევა.

მდინარეს უამრავი დამსვენებელი მიუზიდავს. ისინი შორს გაჰყოლიან ნაპირს; გრილ ხავსიან მიწაზე ნაძვების სუნსა და ჩრდილში ზოგს სუფრა გაუშლია, ზოგს ჭილობი, ზოგი კითხულობს, ზოგიც აქაფებული მდინარის ცქერით ტკბება...

რაც უფრო მაღლა მივყვებით ჭანჭახის ნაპირს მამისონისაკენ, ამინდი მით უფრო უარესდება.

შოვიდან რ უ ს ი კ ო ნ ა რ თ ი კ ო ე ვ ი (18 წლისა) და მ ი ნ ე ტ ა გ ა გ ი შ ვ ი ლ ი (40-45 წლისა) დაგვემგზავრნენ.

ჩავრთეთ ჩვენი მაგნიტოფონი.

ისინი მთის ოსური სოფელ ყურშევიდან ყოფილან, რომელიც შოვიდან 10-15 კილომეტრზეა. აქ სულ ხუთი, მაგრამ ხალხმრავალი ოჯახი ცხოვრობს. ქორწილებიც ხშირად ჰქონიათ და რელიგიური დღესასწაულებიც.

— როგორც ჩვენი თანამგზავრები გვიამბობენ, თხოვა-გათხოვება უწინ გარიგებით სცოდნიათ. ახლა „უწინდელივით ვინღა ცხოვრობს!“. ახალგაზრდებს თუ ერთმანეთი არ უყვართ, „ისე რა ქორწილი იქნება!“.

როცა ქალ-ვაჟს ერთმანეთი უყვართ, ვაჟი უსათუოდ აგზავნის ქალის ოჯახში „შუამავალს“. თუ ქალის ოჯახიც თანახმაა, ნიშნობას გამართავენ. ნიშნად აუცილებელია ოქროს საათი, ბეჭედი და ტანსაცმელი. თუ სასიძო ღარიბია და დასანიშნი ნივთების შეძენა არ შეუძლია — რა ექორწილება! იმუშავებს, შეიძენს ოჯახისათვის რაც საჭიროა და მერე დაქორწინდება.

თუ ქალის ოჯახი თანახმა არაა, ახალგაზრდებს კი ერთმანეთი უყვართ, ჩუმად ქორწინდებიან. ასეთ შემთხვევებში ქალის ოჯახი ძნელად ურიგდება სიძეს, რომელიც ძვირფასი საჩუქრებით მიდის ქალის ოჯახში. საქორწილოდ ვაჟის მშობლები ქალის ოჯახში აგზავნიან საკლავს, სადაც მაყრები ერთ ღამეს ქეიფობენ. ვაჟის ოჯახში ახლად მოყვანილი პატარძალი და მისი მაყრები კუთხეში დგანან. მათ უფლება აქვთ „იყიდონ სკამი“, რაც ძალიან ძვირი ღირს. თუ არ იყიდიან, მთელი ქორწილის განმავლობაში ფეხზე უნდა იდგნენ.

უწინ პატარძალს სახეზე ჩადრს ჩამოაფარებდნენ. თუ ვინმეს მისი ნახვა სურდა, მივიდოდა, ახდიდა საფარველს და ნახავდა. ახლა პატარძალს სახეს აღარ უფარავენ. თავზე მას ფატა ხურავს.

ქეიფი 3-4 დღე გრძელდება. ქორწილის მეორე დღეს ქალის მშობლები მოდიან და თან საკლავი მოყავთ.

უწინ, თურმე, პატარძალი მამათილს და მაზლებს არ ელაპარაკებოდა. არც თავსაფარს მოიხდიდა მათთან. ზოგიერთები ახლაც აგრძელებენ ამ წესს. როცა მამამთილი სადღეგრძელოს ამბობს, რძალი ფეხზე დგას. ქალის ოჯახში კი სიძე დგება ფეხზე, როცა უფროსი ამბობს სიტყვას.

ოჯახის უფროსები განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ: სუფრაზე ხორცის საუკეთესო ნაჭრებს მშობლებს მიართმევენ; შვილი მამის საწინააღმდეგო საქმეს ვერ ჩაიდენს. „სასწავლებლად წასვლა ძალიანაც რომ მინდოდეს, თუ მამამ დამიშალა, როგორ წავალო!“ — ამბობს რუსიკო.

რელიგიური დღესასწაულები ხშირად სცოდნიათ. ღმერთიც გვწამსო. „რაიმე რომ ვთხოვო, მაგალითად, უმაღლესში მოწყობა, არ დამეხმარება და არც ვთხოვ ასეთ რამეს, რადგან ვიცი, რომ ეს სისულელია, მაგრამ რაღაცის ხომ გეშინია, რაღაცას ხომ ვცემთ პატივს — ესაა სწორედ ღმერთი“ — გვიხსნის რუსიკო. ...სხვა წესჩვეულებები კი ისეთივე გვაქვს, როგორც ახლომახლო სოფლებშიო.

თავიანთი სოფლისაკენ მიმავალ საცალფეხო ბილიკთან დაგვემშვიდობნენ ჩვენი თანამგზავრები და აუყვნენ აღმართს.

* *

ამასობაში გაწვიმდა კიდეც.

არ მოველოდით, თუ აქ ასე ცუდი გზა იქნებოდა — ვიწრო და ტალახიანი; დროდადრო გზაზე გადმოვარდნილ ჩანჩქერებში გვიხდება გასვლა. ასეთ პირობებში გზის გაგრძელებას უაზრო გამბედაობად მივიჩნევთ და მანქანის მოსაბრუნებელ ადგილს ვეძებთ, რაც არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ფერდობებიდან გადმომსკდარი ღვართქაფისაგან ჩამორეცხილი გზები ვიწროა და სახიფათო. აქ მხოლოდ „ვილისით“ თუ შეიძლება მგზავრობა*.

მანქანის მოსაბრუნებელი ადგილის ძებნაში ორ მძიმეწონიან საბარგო მანქანას წავადექით თავს. მანქანების ირგვლივ თბილად ჩაცმული მამაკაცები ტრიალებენ. გვიკვირს, როგორ გამოეტივნენ ამ ვიწრო გზებზე ეს ბუმბერაზი მანქანები, ან რა გასჭირვებიათ? ახლოს რომ მივედით, ვნახეთ, რომ ერთი მანქანიდან ვეებერთელა ყუთები გადააქვთ მეორეში.

გაჭირვებით ავუარეთ გვერდი.

---

* ამჟამად ეს გზა შეკეთებული და გაფართოებულია, მამისონის უღელტეხილამდე მსუბუქი მანქანითაც შეიძლება ასვლა (რედ.).

თანდათან ვრწმუნდებით, რომ გზხს გაგრძელება არ შეიძლება, არც მანქანის მოსაბრუნებელი ადგილი ჩანს სადმე!

ბოლოს, ყველანი ჩამოგვსვეს მანქანიდან. გაწუწული ქათმებივით ვიბუზებით ამ თავსხმა წვიმაში; ბიჭები მანქანას უტრიალებენ გარშემო და ცდილობენ, როგორმე მოაბრუნონ.

როგორც იქნა, ბევრი ბრძოლისა და ჯაყჯაყის შემდეგ მოაბრუნეს მანქანა და მთლად გაწუწულები მოვთავსდით შიგ.

საბარგო მანქანები კი დგანან და გველოდებიან, როდის ჩავუვლით, რომ ადგილიდან დაძვრა შესძლონ. ამხელა მთის ფერდობზე მხოლოდ აქ ყოფილა ისეთი ადგილი, ორმა მანქანამ რომ შეძლოს ერთმანეთისათვის გვერდის აქცევა.

ჩვენი ვარაუდით, ეს კაცები სპეკულანტები არიან. მათ ხილი და ბოსტნეული მიაქვთ რუსეთში გასაყიდად. ჩრდილოეთისაკენ წასასვლელად გამზადებული მანქანის მძღოლი ქართველი არ უნდა იყოს. სწორედ მის მანქანაზე აწყობენ მძიმე ყუთებს ქუთაისიდან ამოსული გადამყიდველები.

— მაგათ ასეთი ამინდი აწყობთ, გზაში ინსპექცია არ იქნება. თანაც, როგორც ეტყობა, ეს გზა არ არის ექსპლოატაციაში, რადგან ფაქტიურად უვარგისია, ამიტომ, ინსპექციის შიშიც არა აქვთ.

— ხედავთ სანამდე მიდის ადამიანის სიხარბე?

— სიხარბე თუ გაჭირვება?

— გაჭირვებული კაცი ამას არ გააკეთებს; ესენი საქმოსნებს უფრო ჰგვანან. მალე, ალბათ, ამ სპეკულაციასაც ეშველება!*

უკან მობრუნებულებს შოვის მიდამოებში კარგი ამინდი დაგვიხვდა. გზაში შევისვენეთ და ტყეს შევერიეთ. ვისაც ახალ ნაწვიმარზე ტყეში ატეხილი ფრინველების გნიასისათვის მოუსმენია, დაგვიჯერებს, რომ იქედან მოჯადოებულები გამოვედით.

თავდაპირველად გეგმაში გვქონდა ღამე შოვში გაგვეთია, მაგრამ ამინდს საიმედო პირი არ უჩანს, მიწაც სველია და ბალახიც — კარვების გასაშლელად არასასურველი. გარდა ამისა, საღამომდე იმდენი თავისუფალი დრო გვაქვს, რომ გვენანება, არ გამოვიყენოთ და ერთხმად ვუჭერთ მხარს ჩვენს მეთაურს — დღესვე ვეწვიოთ ნიკორწმინდას და ღამე იქ გავათიოთ.

დიდებულია!

---

* ავტორს აუხდა ეს ვარაუდიც. ამჟამად სასტიკად აკრძალულია ხილისა და ბოსტნეულის ქურდული გატანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. მილიცია მკაცრად ებრძვის ამ დანაშაულს.

დანაშაულია, გქონდეს შემთხვევა და არ ნახო გალაქტიონის შთაგონების ეს უკვდავყოფილი ძეგლი...

გლოლის ცნობილ ხიდთან შევჩერდით. მეავე წყლის მარაგიც ავიღეთ და წყაროსთან თავშეყრილ გლეხებსაც გავესაუბრეთ.

აქვე დაგვემგზავრა ონის მცხოვრები აკაკი მაგრაქველიძე, განათლებით ისტორიკოსი. „ჩემზე უკეთ ვინ იცის აქაურობის ამბები, გზაში ყოველივეს დაწვრილებით გიამბობთო“ — დაგვპირდა იგი.

დათომ მაგნიტოფონი გამართა.

ბატონი აკაკი მეტად სასიამოვნო მოსაუბრე და თავისი კუთხის მხურვალე პატრიოტი გამოდგა. კითხვაც კი არ მიგვიცია, ისე დაწვრილებით გვესაუბრა ზემო რაჭის ხალხის ჩვეულებებზე.

უწინ თურმე აქაურებს აკვანში დანიშვნა სცოდნიათ. ჩვილისთვის ნიშნად შეიძლება დაეტოვებინათ ბეჭედი, ვერცხლის ღილი, თავშალი; 15 წლის ასაკში კი უკვე აქორწინებდნენ.

ახლა ახალი ოჯახი უსათუოდ სიყვარულის საფუძველზე იქმნება. ოჯახში შვილისა და მშობლების ინტერესები იშვიათად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. მშობლებს თითქმის ყოველთვის მოსწონთ შვილის არჩევანი, და ეს ბუნებრივიცაა, რადგან კარგი მშობელი ყოველთვის ისეთ შვილს გაზრდის, რომელიც არ ისურვებს ისეთ რაიმეს, რაც მშობელს არ მოეწონება. თუ მაინც ისე მოხდა, რომ მშობელი ქორწინების წინააღმდეგია, გარიგებული საქმეც კი ჩაიშლება, მაგრამ ეს იშვიათად ხდება და ჩვეულებრივ, როცა ქალ-ვაჟს ერთმანეთი უყვართ — საქმე ქორწილით მთავრდება.

ქორწილისათვის კლავენ ხარს ან ძროხას; ქალის წამოსაყვანად მიდის მაყრიონი 20—25 ცხენოსნის შემადგენლობით. მიდიან სიმღერებით. თოფის სროლით... ქალის ოჯახში შესვლისთანავე ჩაღდება ცეკვა-თამაში. ვაჟის ძმობილმა, რომელსაც „ძმადი“ ჰქვია, პირველ რიგში დედოფალი უნდა აცეკვოს. მერე ქეიფობენ 5-6 საათის განმავლობაში. სმაში ერთმანეთს ეჯიბრებიან ქალისა და ვაჟის მაყრები.

ყოველ სოფელს და ყოველ უბანს ჰყავს კარგად მოლაპარაკე და კარგი მსმელი — სათამადო კაცი. ასევე, ყოველ უბანს ჰყავს კარგი დამკვრელები. სოფლები ამითაც ეჯიბრებიან ერთმანეთს — ვის უკეთესი დამკვრელები ეყოლება. დაქირავებული მუსიკოსები აქ არ იციან.

ვაჟის ოჯახში პატარძალი მოჰყავთ სიმღერითა და თოფების სროლით. წინ მახარობელი მიუძღვით. იციან თეფშის გატეხა და გადაჯვარედინებულ ხმლებში გაძრომა, თუმცა ეს უკანასკნელი წესი

თანდათან ქრება. პატარძალს დედამთილი ეგებება შაქრის ნატეხით ხელში.....

აქაც ერთი დღე ქეიფობენ და შემდეგ იწყება ჩვეულებრივი ცხოვრება. იციან ქორწილში საჩუქრების მიტანა — ვისაც რა შეუძლია.

პატარძალს „მზითევად მოყვება“: ორი „ხელი“ ლოგინი, კარადა, ტელევიზორი და სხვა.

განქონწინება დიდ უბედურებად ითვლება, და ამიტომ იშვიათად ხდება. ამ ბოლო დროს „ქალაქში ნაცხოვრები ხალხის ოჯახებში“ ხდება ხოლმე წინააღმდეგობები, და ეს დიდ სირცხვილად ითვლება.

რაც შეეხება დაკრძალვის წეს-ჩვეულებებს, ისინი ბევრად არ განსხვავდებიან საქართველოს სხვა კუთხეში გავრცელებული წეს-ჩვეულებებისაგან.

ზემო რაჭის სოფლებში კი (გლოლა, ღები...) სპეციალური „მოტირლები“ ჰყოლიათ. „მოტირალი“ ტირის, ხოლო სხვები, „მოზარეები“, სამგლოვიარო ჰანგზე აჰყვებიან მათ.

ზემო რაჭაში მიცვალებულს ასაფლავებენ 3-5 დღის შემდეგ.

იმართება დიდი ქელეხი. კლავენ ხარს, ძროხას, იმარაგებენ ღვინოს; თუ დასაფლავება მარხვის დღეებს დაემთხვა — ხორცი არ იციან. გარდაცვლილის ოჯახს მთელი სოფელი შეძლებისდაგვარად ეხმარება. რამდენიმე წლის წინათ ეს დახმარება იმაში გამოიხატებოდა, რომ ოჯახს აძლევდნენ პურს, ღვინოს, საკლავს და ყველაფერს — ვისაც რა შეეძლო. ახლა დახმარება იციან ძირითადად ფულით. 3-დან 10-მანეთამდე*. ნათესავები, რა თქმა უნდა, მეტი თანხით ეხმარებიან (საშუალოდ 100 მანეთი). ამ დახმარებას იწერენ რვეულში და იგი ოჯახის ვალად ითვლება.

გასვენებაში ნათესავებსა და სხვა მახლობლებს წერილით პატიჟებენ; მიცვალებულის შეურაცხყოფად თვლიან სტუმრის უპურმარილოდ გაშვებას ქელეხიდან.

დასაფლავებიდან შვიდი დღის შემდეგ კლავენ ცხვარს და გადიან საფლავზე. ხშირად იციან „შვიდეულის“ გადახდა, რაც შემდეგში მდგომარეობს: ორმოცს იხდიან შვიდი კვირის შემდეგ, ხოლო ორმოცამდე, ყოველ მეშვიდე დღეს თითო ცხვარს კლავდნენ და ეს მეორდება შვიდი კვირის განმავლობაში, ე. ი. შვიდჯერ.

---

* ამჟამად 10 მანეთზე ნაკლებს იშვიათად თუ ვინმე გადაფენს. ცხადია, ეს ცვლილება მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის ზრდით როდი აიხსნება (რედ.).

ორმოცამდე მამაკაცები წვერს ატარებენ, ხოლო ქალები შავებს. ორმოცის შემდეგ ყველას შეუძლია გაიპარსოს წვერი და გაიხადოს სამგლოვიარო სამოსი, ქვრივსაც კი.

დასაფლავების დღეს უკრავენ სამგლოვიარო მუსიკას. აქაურებს არც დასაფლავების დროს ცოდნიათ მუსიკოსების დაქირავება. მათ მიაჩნიათ, რომ მუსიკოსსაც უნდა ეტირებოდეს მიცვალებული და მარტო ფულის გამო არ იგლოვდეს.

უწინ, ონის სოფლებში, გასვენების დროს, ცოდნიათ სიმღერა. ეს სიმღერა ძირითადად რელიგიურ საგალობელს წარმოადგენდა.

ახალგარდაცვლილს მთელი სოფელი გლოვობს. ეს გლოვა მით უფრო ინტენსიურია, რაც უფრო გულდასაწყვეტია გარდაცვლილი: ახალგაზრდა, ან პატარა შვილების პატრონი და ა. შ.

ონის რაიონში დასაფლავების დღეს პურ-მარილს ამზადებენ არა მარტო დაზარალებულ ოჯახში, არამედ მეზობლებშიც. დაკრძალვაზე მოსული სტუმრები, რომლებიც დილიდან მოდიან, მისამძიმრების შემდეგ მეზობლებთან ისვენებენ, დაპურდებიან და კვლავ თავს იყრიან დაზარალებულ ოჯახში.

დასაფლავების შემდეგ იმართება პურობა. ოჯახის უფროსი ასახელებს თამადას, რომელიც ყველა სადღეგრძელოს მიცვალებულს და მის მახლობლებს უძღვნის.

პატივცემული აკაკი ონში დაგვემშვიდობა და კეთილი გზა გვისურვა.

...დაგვენანა ჩვენს ტკბილმოუბარ თანამგზავრთან განშორება.

...მერე ავტობუსშივე „ვსადილობთ" ცხელი, რაჭული ლავაშითა და ყველით. ჩვენს შემხვედრ მგზავრებს ალბათ დიდხანს ეხსომებათ მამისონის ტალახისაგან გათხუპნული, ცისფერი ავტობუსი და მზით გარუჯული მისი მძღოლი, ცალ ხელში საჭე რომ უჭირავს, მეორეში კი, ოხშივარადენილი მთელი ლავაში და მადიანად ილუკმება...

ამბროლაურში ორი მთვრალი დაგვემგზავრა. ჯერ შარვლიანი გოგოები ჩაათვალიერეს საეჭვოდ; მერე როცა გაიგეს, რომ მათი სოფლის სტუმრები ვართ, აღარ იციან, როგორ გვცენ პატივი; მასპინძლობა შემოგვთავაზეს — სოფლის ეკლესიას გაგაცნობთო, ჩვენთან გაათიეთო ღამე, კარგ სუფრასაც გავშლითო და ა. შ. მადლობა გადავუხადეთ და ძლივს დავაჯერეთ, რომ ეს ღამე ტაძართან ახლოს გვინდა გავათიოთ, რომ თბილისიდან სწორედ ამის გამო ვართ წამოსულები...

საღამოხანს შევდივართ სოფელში.

ხევსურეთის შემდეგ ასეთი ხალხმრავალი სოფელი, ცოტა არ იყოს, გვეხამუშა; ქვემო რაჭის სოფლებს ერთი ჩვეულებაც აქვთ: საღამოობით დიდი და პატარა შუკაში გამოდის: ზოგი სეირნობს, ზოგი თამაშობს, უმრავლესობა კი ეზოების წინ ვრძელ სკამებზე სხედან და საუბრობენ.

...სიცოცხლე და მხიარულება ჩქეფს სოფელში.

ტაძრის ხასხასა მოლიანი ეზო სავსეა ეშმაკურად თვალებდაწკეცული ბიჭებით. ისინი ცნობისმოყვარეობით შემოგვცქერიან და ეტყობათ, უხარიათ ჩვენი აღფრთოვანება...

მოჯადოებულები შევცქერით ბორცვზე ამაყად აზიდულ ტაძარს და გვაკვიწყდება, რომ ჯერ ღამის გასათევი ადგილი არ მოგვიძებნია. ...რა საოცრებაა! მართლაც „რა ნიჭმა ააგო“, რა ფანტაზიამ და რა ნებისყოფამ! ალბათ მის აგებაში გარკვეული როლი რწმენამაც ითამაშა, სახელის მოხვეჭის სურვილმაც, მაგრამ მხოლოდ ხელოვნების სიყვარული და სრულქმნილი მშვენიერებისაკენ ლტოლვის დაუოკებელი ვნება თუ გაუძლებდა იმ არაადამიანურ შრომას, რაც ამ ჩუქურთმებშია ჩაქსოვილი...

— მოდით, ახლა ღამის გასათევზე ვიზრუნოთ, ტაძარი კი ხვალ დილით გულდასმით დავათვალიეროთ! — წინადადება შემოაქვს მიშას.

ჩვენ ვგრძნობთ ამ პრაქტიკული წინადადების აუცილებლობას და სინანულით ვტოვებთ ტაძრის ეზოს.

აქ შევიტყვეთ, რომ სოფლიდან სამიოდე კილომეტრზე ყოფილა შაორის წყალსაცავი. ღამის გასათევად უკეთესი ადგილი ალბათ დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება, და ამ „ახალი აღმოჩენით“ გახარებულები მივიჩქარით შაორისაკენ.

მალე ჩვენს თვალწინ ვრცელი წყალსაცავი გადაიშალა.

გზის პირას დაყრილმა საკოცონე ფიცრების სიმრავლემ გვაცთუნა და გადავწყვიტეთ აქ დაბანაკება: თალესმა საკარვე ადგილის ძებნა დაიწყო, ბატონმა გელამ წყლის ტემპერატურა და სისუფთავე შეამოწმა, დათომ — სიღრმე; ჩვენ — სილამაზე...

ამასობაში მილიციის ლეიტენანტი მოგვადგა მოტოციკლეტით. შევცბით. ალბათ დაგვინახა, კოცონისათვის ფიცრებს რომ ვაგროვებდით, ან ჩვენი თოფიანი მეთაურის ვინაობამ დააინტერესა.

შორიდან ვადევნებთ თვალს ბატონი გელასა და მოტოციკლიანი მილიციელის საუბარს, რომელიც ათიოდე წუთს გრძელდება.

ბოლოს, ჩაისვა „კალიასკაში“ ჩვენი მეთაური და ხელით გვანიშნა მივყოლოდით.

— წავედით განყოფილებაში! — სცადა ხუმრობა მზიამ.

საქციელწამხდარნი ვიცინით. მიშას ფიცრები აღარ გახსენებია, სწრაფად შეგვყარა მანქანაში და მოტოციკლეტს გამოუდგა.

მოტოციკლეტმა მიუხვია, მოუხვია, და „სამოთხეში“ ამოგვაყოფინა თავი. წელამდე მინდვრის ყვავილებში მიჰქრის ჩვენი ავტობუსი; ჩვენს აღტაცებას საზღვარი არა აქვს. ირგვლივ აყვავებული სათიბი და ბინდისას ვერცხლისფრად მოსარკული ტბა გვაკრავს, ნაძვიანი ბორცვებითა და ხუჭუჭა ბუჩქებით შემოჯარული.

...ასეთი გზით განყოფილებაში კი არა, ჯოჯოხეთშიც სიამოვნებით წავალთ... „მე მიცავს ჩემი მილიცია“ — შეიხსენა ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა მაიაკოვსკი.

მოტოციკლეტი ერთ მყუდრო ადგილზე შეჩერდა. მიეხვდით, კარგადაა საქმე — ღამის გათევა ალბათ აქ მოგვიხდება. ამ კაცს რომ არა, ჩვენ აქ ვერც კარვების გაშლას გავბედავდით და ვერც ცეცხლის დანთებას; ისევე მოწიწებით ავუვლიდით გვერდს ამ წალკოტს, როგორც ტაძრის ეზოს! ისეთი სილამაზე და თავბრუდამხვევი სუნია ირგვლივ, გამოშტერებულები ვდგევართ და ეეღარაფერი მოგვიხერხებია.

მილიციის ლეიტენანტი — ნ ო დ ა რ კ ო პ ა ლ ი ა ნ ი ა ღ მ ო ჩ ნ დ ა, ადგილობრივი მკვიდრი, ჩვენი მეთაურის ერთ-ერთი პატივისმცემელი და ქართული კულტურის პატრიოტი ქომაგი. მან სასმელი წყალი მიგვასწავლა, დახმარება შემოგვთავაზა, მერე ღამე ნებისა გვისურვა და მარტონი დაგვტოვა.

ამ საღამოთი კოცონის პირას, პირდაპირ მინდვრის ხალიჩაზე მოვიკალათეთ. აღარ დაგვჭირვებია გასაშლელი სკამები და „ლეჟანკები“. ბალახი თბილიცაა, რბილიც და სურნელოვანიც.

მერე დიდხანს, დიდხანს ვუსმენდით აყვავილებული მინდვრისა და ტყის სიმფონიას.

10 ივლისი. ნიკორწმინდა-ცაგერი-ლენტეხი:

ბურუსიანი დილა გათენდა. ჩვენი კარვის კალთები გარედან მსხვილი „მარგალიტებითაა“ დაწინწკლული; ბალახი კი, წუხელ რომ ასე გაგვახარა, ღამის ნამითაა გაჟღენთილი და სიარული ჭირს.

ჯანღი სქლად დასწოლია ეეებერთელა ტაფობს; მინდვრის ყვავილებით ამოქარგული ხალიჩა მოწყენილი გამოიყურება.

ავშალეთ კარვები და გულდაწყვეტილები ვტოვებთ მინდორს.

წინ ისევ შემოგვხვდა ნოდარ კოპალიანი. მან ახლა სასადილოში მიგვიპატიჟა. ჩვენი ღარიბი საუზმის შემდეგ ძნელი იყო პურ-მარილზე უარის თქმა, მაგრამ მაინც მოვერიდეთ მის შეწუხებას და ვიუარეთ. მასპინძელი არ მოგვეშვა. ბოლოს, ხბოს მწვადების, მოხარშული ახალი თევზის წარმოდგენამ და, რაც მთავარია, ჩვენი მასპინძლის გულწრფელმა თხოვნამ გაიმარჯვა; რამდენიმე წუთში ტბის თავზე წამოსკუპებული სამწვადის რიკულებიან აივანზე აღმოვჩნდით.

მასპინძელი მთელი გულით ცდილობს ჩვენს პატივისცემას, მაგრამ სამწვადემ იმედები გაუმტყუნა: თითქმის არაფერი არ აღმოაჩნდათ „დანაპირები" დელიკატესებიდან. ცოტა ლოდინის შემდეგ შემოიტანეს მოხარშული ხორცი და 15 ბოთლი ღვინო. ოფიციანტმა სწრაფად დაიწყო ბოთლების გახსნა. ბატონმა გელამ ოფიციანტს ბოთლების გახსნა აუკრძალა; მასპინძლისა და აქაური მშრომელების სადღეგრძელო საქმიანად შესვა და სუფრა ათიოდე წუთში დამთავრებულად გამოაცხადა. ჩვენს მასპინძელს ლაპარაკის ხალისი წაუხდა. აღარც ღვინო დაგვაძალა და აღარც დარჩენა გვთხოვა.

მადლობა გადაეუხადეთ და თბილად დავემშვიდობეთ ჩვენს სტუმართმოყვარე მასპინძელს.

სოფელ ნიკორწმინდაში დ ა ლ ი დ ა ლ ა ქ ი შ ვ ი ლ ს ა (20 წლისა) და მ ა რ გ ა ლ ი ტ ა შ ა ვ ლ ა ძ ე ს (50 წლის) გავესაუბრეთ.

დავინტერესდით იმ განსხვავებით, რაც ქვემო რაჭის სოფლებსა და ზემო რაჭაში გავრცელებულ ჩვეულებებს შორის შეიმჩნევა: ამ ბოლო დროს აქ გავრცელებულა „დაუკითხავად" ქორწინება, ე. წ. „გაპარვა". ძირითადად კი ქორწინების ტრადიციული წესია გავრცელებული — მშობლებს შორის მოლაპარაკება, როცა ახალგაზრდებს ერთმანეთი უყვართ.

ნიშნობა და ქორწილი აქაც ისევე იციან, როგორიც ზემო რაჭაში. იმ განსხვავებით, რომ ამ სოფლებში სცოდნიათ მუსიკოსების დაქირავება.

— „მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას ისე, სხვაგან რომ იციან! სუფრაზე ფრიალ-ფრიალით რომ გადადის ფულები... თითქოს ბაზარში ხარო... აქ მუსიკოსებს ფულს წინასწარ ან ქორწილის შემდეგ უხდის ოჯახი; სუფრაზე, ჩვენთან, ფულს ვერ დაინახავ" — გვიამბობს მარგალიტა.

„მშობლების პატივისცემა, რა თქმა უნდა, აქაც ფასობს", მაგრამ ხშირად ახალგაზრდები მშობლებს არ უჯერებენ და თავის ნება-

ზე აწყობენ ცხოვრებას, თუმცა არც ისე ცუდადაა საქმე ამ მხრივ, როგორც ქალაქში".

რაჭის ამ სოფლებში იგრძნობა უფრო ქალაქის გავლენა, ვიდრე ონის სოფლებში.

მიცვალებულის დამარხვა ხუთ დღეზე ადრე არ ხდება. უწინ მესამე დღეზეც ასაფლავებდნენ, ახლა კი ხშირია შემთხვევა, როცა მიცვალებულს მეშვიდე-მერვე ან მეცხრე დღეზე ასაფლავებენ; სანამ ქალაქში გადასახლებულ შვილებს ან სხვა მახლობლებს შეატყობინებენ და ისინი ჩამოვლენ — დრო გადის. არის დაკრძალვის დაგვიანების სხვა მიზეზებიც.

ამ სოფლებში, ისევე, როგორც ზემო რაჭის სოფლებში, ქელეხზე იციან ხორცი. პურ-მარილი იმართება დასაფლავების შემდეგ. თუ მიცვალებული ოჯახში ჰყავთ, ოჯახის წევრები და სხვა ახლობლები ხორცს არ ჭამენ. მიცვალებულის ოჯახს ეხმარება სოფელი და ნათესავები. ამ დახმარებას ისინი „საფენს" უწოდებენ. უწინ ეს „საფენი" პროდუქტების სახით იცოდნენ. ახლა — ფულით. „საფენი" აქაც ოჯახის ვალად ითვლება.

უკანასკნელ ხანებში გავრცელდა შემთხვევები, როცა მიცვალებულის ოჯახი „საფენს" — დახმარებას არ ღებულობს, ასე იქცევიან მეტწილად შეძლებული ოჯახები. ასეთი წესი თანდათან შემოდის მოდაში. საფლავზე გადიან დასაფლავებიდან მესამე დღეს — ოჯახის წევრები, ნათესავები და ახლო მეზობლები. ამის შემდეგ მიცვალებულს უხდიან ორმოცს.

უწინ, გლოვის ნიშნად მამაკაცები წვერს ატარებდნენ, მკერდზე შავ არშიაში ჩასმულ სურათს, მკლავზეც შავ არშიას. ახლა ასეთი რამ იშვიათია.

ქალები წლამდე შავებს ატარებენ. წლის თავზე ხდება ოჯახის „გახსნა", რის შემდეგაც ოჯახი ადრინდელ ცხოვრებას უბრუნდება: ჩართავენ რადიოს, ტელევიზორს, იხდიან ლხინს და ა. შ.

რაჭის ამ სოფლებში, ონის სოფლებისაგან განსხვავებით, იციან დასაფლავების დროს დაქირავებული მუსიკოსების მოყვანა.

დავემშვიდობეთ ჩვენს თანამოსაუბრეებს, ასევე უნივერმაღის წინ თავშეყრილ ხალხს, ერთხელ კიდევ შევავლეთ თვალი ნაგვიანევი მზის შუქით გაბრწყინებულ ტაძარს და თავქვე დავეშვით.

სოფლის შუაგულში პატარა, მაგრამ ღრმა ტბა მოსჩანს, ისლის ტანაყრილი ბუჩქებით შემორკალული. მასში ლურჯი ცა და ფთილა

ღრუბლები დასცურავენ; ტბის ნაპირი ანკესით მოთევზავე ბიჭებითაა სავსე. ამბობენ, აქაური თევზი ძალიან გემრიელიაო...

სოფელ ალპანაში შევისვენეთ, სადაც მდინარე ლაჯანა რიონს უერთდება. აქედან, ლაჯანურის ხეობას უნდა ავყვეთ ლეჩხუმის ცენტრისაკენ...

აქ ბატონი გელა თავს მასპინძლად გრძნობს. ყოველ წვრილმანს გვიხსნის; აშკარად ვგრძნობთ, რომ ძალიან სურს. მისი მშობლიური მხარე* ჩვენც მოგვეწონოს; აქაურ, ციცაბო კლდეებს შორის გამომწყვდეულ საავტომობილო გზას ადარებს ჩვენ მიერ დღემდე გამოვლილ სანახებს და გვიმტკიცებს, რომ ეს პირქუში და გახუნებული კლდეები იმდენად კოლორიტული და მშობლიურია, რომ სილამაზით არ ჩამოუვარდება არც ხევსურეთის მთებსა და არც მამისონის მთების ნაძვნარებს. ეს მართლაც ასეა და ჩვენ სიამოვნებით ვეთანხმებით.

მალე კლდეების ვიწრო ნაპრალიდან ლაჯანურის ფართო ხეობაში შევდივართ. აქ საკმაოდ ძლიერი ელექტროსადგური — ლაჯანურჰესი გუგუნებს, რომელიც ცხენისწყლისა და მდინარე ლაჯანას ხარჯზე მუშაობს.

ამ ორ მდინარეს ვეებერთელა — ორბელის მთა ჰყოფს შუაზე. მთის გაღმა ცხენისწყალი დაუგუბებიათ (სწორედ ამ წყალსაცავის პირას არის გაშლილი ძველი რაიონული ცენტრი — ცაგერი); მერე ეს ვეებერთელა მთა გვირაბით გაუხვრეტიათ და მდინარე „ცხენისწყლის“ ნაწილი ლაჯანასათვის შეუერთებიათ. ახლა მთის გადმოღმაც ვეებერთელა წყალსაცავია. აქაური ელექტროსადგური უხვად ამარაგებს ახლომახლო რაიონებს ელექტროენერგიით.

მივდივართ ორბელის მთის წვერისაკენ; ინტერესით ვათვალიერებთ აქაურ სოფლებს; გაგვაოცა ეზოებში გაშენებულმა, სახლის სიმაღლე ვენახებმა. არასოდეს არ გვინახავს და არც ვიცოდით ვაზის ასეთი ჯიშის არსებობა... ისინი ორსათულიან სახლებს უტოლდებიან სიმაღლით. ვაზის ღონიერი პწკალები უხვადაა მკვახე მტევნებით დახუნძლული.

— ეს რაა! ამაზე უფრო მაღალი და მსხმოიარე ვენახები იცის აქეთ! აორკეცებს ჩვენს შთაბეჭდილებას ბატონი გელა.

რაც უფრო მაღლა ავდივართ, მით უფრო მომხიბვლელი სანახაობა გვეშლება თვალწინ: წითელსახურავებიანი და ხეხილის მწვა-

---

* სოფელი დერჩი—ბანძელაძეების ფუძე-სოფელი, წინათ ცაგერის მაზრას ეკუთვნოდა და ტრადიციულად აქაური მკვიდრნი თავს ლეჩხუმლებად თვლიან.

ნე ტევრში ჩაფლული სოფლები ვეებერთელა, თვალწარმტაცი ფერებით ამოქარგულ ფარდას მიაგავს.

ორბელის მთას თეთრი, გრუნტის გზა გასდევს ტერასებად.

ერთგან 16-17 წლის ბიჭებით სავსე საბარგო მანქანა შემოგვხვდა. მანქანის ძარა სავსეა ქვითა და ქვის სატეხი იარაღებით. მზეზე გარუჯული და ჯანმრთელი სახეები მხიარულად შემოგვცქერიან. მათი ახალგაზრდა მძღოლი მიშას „პასაჟირების“ გაცვლას სთავაზობს; მიშა ყოყმანობს;

— ჰა, კარგად დაფიქრდი, ორში ერთს არ გამიცვლი?

— გოგოებო, რა ვქნათ? გვეკითხება მიშა. ეტყობა, ჰკუაში უჯდება ეს წინადადება.

ორივე მანქანა სიცილ-ხარხარით სცილდება ერთმანეთს.

ორბელის მთის წვერზე დგომას მართლაც არაფერი სჯობია: აქედან მოსჩანს ლაჯანასა და ცხენისწყლის წყალსაცავები, ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სოფლები... დასავლეთით კი დატოტვილი და ვერცხლისფრად გაბრწყინებული მდინარე ცხენისწყალი; მთის კალთებზე მერცხლის ბუდეებივით შემორჩენილა ცნობილი ციხეები „დაუხვდი“, „დაჰკარი“ და „არ გაუშვა“.

ცაგერიდან პირდაპირ ლენტეხისაკენ გავუხვიეთ.

მივყვებით ცხენისწყლის მტვრიან ხეობას. მთის ამ ბობოქარ მდინარეს თან იმდენი შლამი და ქვიშა წამოუღია, რომ მეტისმეტად მღვრიედ მოედინება; გზის გასწვრივ ხშირი ბუჩქნარი სქლად დაუფარავს მტვერს. გარემო გახუნებული და უხალისო გვეჩვენება; შორს, ფერდობებზე შეფენილი სვანური სოფლები უფრო ცოცხალ ფერებში გამოიყურება. ალბათ იქამდე ვერ აღწევს გზიდან ადენილი მტვრის კორიანტელი.

აქაური, სვანური სახლები დიდად არ განსხვავდებიან სხვა, ქართული სოფლების ტიპური, ორსართულიანი სახლებისაგან. აქ ვერსად ნახავთ ქოხს ან ცუდ სახლს; ხიდები კი... დიდი ხნის მიტოვებულსა ჰგავს*.

ხრიგინითა და ჯაყჯაყით მივიკვლევთ გზას მტვრის კორიანტელში. დაღლილობისაგან აღარც ლაპარაკის თავი გვაქვს და აღარც შორეულ ფერდობებზე შეფენილი სოფლები და სათიბები გვხიბლავს.

---

* ამჟამად ეს ხიდებიც შეკეთებული ან განახლებულია (რედ.).

სოფელ სასაშში რომ შევუხვიეთ, ცის ფონზე მრისხანედ გამოიკვეთა ორკუზიანი, სალი კლდის მუქი და გოროზი სილუეტი. თეთრი ღრუბლების თხელი სამოსი ნაფლეთებად შემოსწყობია მწვერვალის მზით განათებულ აღმოსავლეთ კალთას. შევისვენეთ. მწვერვალი უშბად შევიცანით; მისმა ხილვამ დაღლაც დაგვავიწყა და მტვერიც; თალესმა კინოაპარატი მომართა, სხვებმა ფოტოაპარატები მოვიმარჯვეთ;

— მხატვარი რომ ვიყო...

სოფელ სასაშიდან ადგილობრივი მკვიდრი, მე-8 კლასელი ტ ა-რ ი ე ლ ი გაგვიძღვა კურორტ მოაშისაკენ. მისი სიტყვით მოაშამდე სულ სამიოდე კილომეტრია.

ჩვენი მანქანა ხშირ ნაძვნარში შესრიალდა; გზა აქ ნესტიანია და რბილი. ისეთი გრილი და ჯანსაღი ჰაერია, რომ ერთბაშად გამოვცოცხლდით; ჯერ კიდევ ნახევარი საათის წინ დაღლილ-დაქანცულები, თვლემამორეულნი და დატანჯულნი თვალებს ძლივსღა ვახელდით. ახლა კი ენერგიის ერთბაში მოზღვავება ვიგრძენით.

რამდენიმე კილომეტრი მიხვეულ-მოხვეული აღმართის შემდეგ ჩვენი მანქანა შეიჭრა ჩამავალი მზის სხივებისაგან ნარინჯისფრად შეღებილ მინდორზე: ხშირი ტყის შუაგულში ახლად გათიბული, მზისა და ტყის ფერებით შეზავებულ მინდორზე ხის პატარა სახლებია ჩამწკრივებული. რიკულებიან აივნებზე გადმომდგარი დამსვენებლები ინტერესით გვათვალიერებენ; ბურთის თამაშით გართულ ბიჭებს კი ჩვენი მოსვლა არც გაუგიათ.

ტარიელმა მალე გვაპოვნინა ღამის გასათევად მოხერხებული, ტყეში შეჭრილი პატარა მინდორი, სადაც მიტოვებული, ფიცრის კოტეჯია წამოსკუპული. აქ ავტობუსის დაყენებაც შეიძლება, კარვების გაშლაც და კოცონის დანთებაც; თუ მოვისურვებთ, ღამეს კოტეჯში გავათევთ ისე, რომ ჩვენი „სტუმრობით“ არავინ შეწუხდება.

მალე ჩვენი კოცონის სიმაღლე კოტეჯის სახურავს უტოლდება. ჩვენც, დაბანილ-დავარცხნილები „ლეჟანკაზე“ გაშლილ ვახშამს ვანადგურებთ და დღევანდელ შთაბეჭდილებებზე ვსაუბრობთ.

ამაღამდელ სუფრას ჭრებალოში ნაყიდი „ხვანჭკარაც“ ამშვენებს; ღვინის მაგიური ძალა თალესის ფანტაზიას აცხოველებს და მზიას უამბობს იმ უამრავი დათვის შესახებ, რომლებიც ახლა ჩვენს ირგვლივ დაბორიალებენ და ჩვენზე თავდასასხმელად ემზადებიან.

მზიას ცარიელი ჭიქა უჭირავს ხელში; შიშით თვალები გაფართოებია და თალესს ნდობით უცქერის.

— რაო, თალეს, რას უამბობ? — დაინტერესდა ბატონი გელა. — თალესი გაწითლდა;

— არაფერს, ბატონო გელა, ტყიდან ზოგჯერ ხმაური მოისმის და მზიას ვამშვიდებ, საქონელი დარჩენიათთქო გარეთ...

მიშა მეშვიდე ცაზეა; „ხვანჭკარა“ მას ქალების თავშესაქცევ სასმელად ეჩვენება და ჩვენს პატრიოტულ სადღეგრძელოებს სამარკო კონიაკით უერთდება.

ჩვენი მეთაური შეუცვლელი თამადაა; ყოველი სადღეგრძელო ჩვენი დღევანდელი საქმიანობის კრიტიკული შეფასებაა; თამადის კვალდაკვალ, ყველას უფლება გვაქვს გულახდილი შენიშვნები შევიტანოთ თითოეული ჩვენთაგანის ყოფაქცევაში.

ამ „ოფიციალური ნაწილის“ შემდეგ, დღევანდელი დღის „გმირებს“ ვიგონებთ: ნოდარ ჯოპალიანსა და ორბელის მთაზე შეხვედრილ მუშა ბიჭებს; ჩვენს პატარა მეგზურს — ტარიელს, და არც ბუნება გვავიწყდება: დიდი სიამოვნებით ვუჭერთ მხარს ნიკორწმინდის, ორბელის მთის, უშბისა და ცხენისწყლის სადღეგრძელოს.

დაძინების წინ მეავე წყლისაკენ გავისეირნეთ, რომელიც აქეე, მინდვრის პირას, მთვარით განათებული ბორცვის ძირას ამოსჩქეფს და გათიბულ მინდორზე წანწკარით მიედინება; აქა-იქ მოსჩანან ღამის სილამაზით მოჯადოებული მოაგარაკენი; ჩვენი ფეხის ხმა და დამსვენებელთა ძილმორეული საუბრები არღვევენ ჯადოსნური ღამის მყუდროებას.

11 ივლისი. მოაში-მესტია:

მიტოვებული კოტეჯის ერთ-ერთ ოთახში ვიღვიძებთ; აივანზე დათოს თივა გაუფენია, ზედ საძილე გაუშლია და არხეინად სძინავს; თალესი კი პირდაპირ ეზოში, ნახევრად ჩამოშლილ თივის ზვინში შემძვრალა თავისი საძილე ტომრით და ჩვენი ოთახის ღია კარებიდან მოჩანს სიცივისაგან ოთხად მოკეცილი.

ჩვენი ოთახის ფიცრის კედლები წარწერებითაა აჭრელებული. ერთ-ერთი კედლიდან ნახშირით მიხატული, შუბლშეჭმუხნული სვანი ვაჟკაცი იმზირება. მას ისეთი გორობი და ავი გამომეტყველება აქვს, რომ უსათუოდ სერიოზული ფიქრის ხასიათზე გაყენებთ;

ვდგები; ფრინველები გალობენ; გათიბულ მინდორში მწერები ფუთფუთებენ, ბალახის ყუნწში ჩაბუდებული ცვარი ცისარტყელას

ფერებად ბრჭყვიალებს ძზის სხივებზე; ისძის ძოაგარაკე ბაეშვების ჟივილ-ხივილი, ჩვენებს კი ჯერაც სძინავთ...

მალე აფუსფუსდა ჩვენი ბანაკი და კვლავ ხანგრძლივი მგზავრობისათვის სამზადისს შევუდექით. აქ გვითხრეს, რომ ჩვენი ავტობუსით სოფელ ცანამდე შეიძლება ასვლა, შემდეგ კი იწყება უღელტეხილი, რომლის გადალახვაც ავტობუსით ადგილობრივ მცხოვრებლებს შეუძლებლად მიაჩნიათ. მაინც გადავწყვიტეთ ვიაროთ წინ, სანამ შესაძლებელი იქნება.

კვლავ ვათვალიერებთ შორიდან უშბის მწვერვალს და მტვრიან, დანჯღრეულ გზას მივყვებით ცხენისწყლის სათავისაკენ. გზაში სოფელ სასაშის მცხოვრები თ ა მ ა რ ო ნ ი ა ნ ი შემოგვხვდა. ცოტა ხნით შევაჩერეთ და ვთხოვეთ, ჩვენს შეკითხვებზე პასუხის გაცემა;

პატივცემული თამარი აქებს თავისი კუთხის ჩვეულებებს;

— ქორწილი ძალიან კარგი ვიცით...

— თუ შეიძლება გვიამბეთ, როგორ, რა წესების დაცვით მიმდინარეობს თქვენთან ქორწილები...

პატივცემული თამარი გვიამბობს და მაგნიტოფონს ოდნავ დაბნეული დასცქერის.

დასასრულს ქალბატონ თამარს მადლობას ვუხდით, ვემშვიდობებით და გზას ვაგრძელებთ.

როცა ტრადიციების შესწავლა გადავწყვიტეთ, განზრახული გვქონდა მასალის შეგროვებისათვის თვითონ დავსწრებოდით დასაფლავებასა თუ ქორწილს, ან, თუ ამას ვერ მოვახერხებდით, ადგილობრივ მცხოვრებლებთან გულითადი, მეგობრული საუბარი გაგვემართა, სადაც ისინი გულახდილად იტყოდნენ თავიანთ შეხედულებებს ამ ტრადიციების შესახებ; მათ ღირსებებზე და ნაკლზე ბოგვითხრობდნენ; ოფიციალური შეხვედრა-საუბრები იმთავითვე გამოვრიცხეთ გეგმიდან, მაგრამ ჯერჯერობით იმედები არ მართლდება. წინსვლის აზარტით ისე ვართ შეპყრობილნი, რომ ტრადიციების დარდი ვიღასა აქვს!

ვბუზღუნებ.

მამშვიდებენ. ჯერ ისევ ქვემო სვანეთში ვართ და საკმაო დრო გვაქვს ამ ხარვეზის შესავსებადო.

მართლაც, სოფელ მელეში გ ი ვ ი და დ ა ვ ი თ ო ნ ი ა ნ ებ ი შემოგვიერთდნენ. ისინი უშგულში მიდიან, ფეხით. „თუ თქვენი მანქანა შესძლებს უღელტეხილზე გადასვლას, ხომ კარგი, თუ

არა და პატარაზე მაინც გამოგყვებით, მერე კი ფეხით გავუდგებითო გზას“.

გზაში ისინი მეგზურობასაც გვიწევენ და საინტერესო საუბარიც გავაბით. ისინი ვერ ხვდებიან, თუ ჩვენ რაიმეს ვიწერთ და არც ცდილობენ, რაიმე დამალონ ან შეალამაზონ თავიანთი ჩვეულებებიდან, თუმცა, დასამალი რა აქვთ!

პატივცემული გივი და დავითი ადასტურებენ ქალბატონი თამარის ნაამბობს: აქ დიდი ქორწილების გამართვა სცოდნიათ (200—300 კაცი) იკვლება ხარი, ძროხა, ღორი...

ადრე ქალ-ვაჟის შეუღლება გარიგებით ხდებოდა. ახლა კი ასეთი რამ აღარ სცოდნიათ. აქაურები სიღარიბეს ყურადღებას არ აქცევენ. ნიშნობა ოქროს ბეჭდებით სცოდნიათ, მაგრამ თუ ვაჟს არა აქვს ნიშნობის გადახდისა და ბეჭდის ყიდვის შესაძლებლობა, შეიძლება ამის გარეშეც, მაგრამ ეს იშვიათად ხდება.

ვაჟის ოჯახში დიდი ქორწილი იმართება. შექეიფიანებული მაყრიონი, 20-25 კაცის რაოდენობით, მანქანებით მიდის ქალის წამოსაყვანად. ქალის ოჯახში მთელ ღამეს ქეიფობენ, მეორე დილით კი ვაჟთან ბრუნდებიან და ქეიფს აგრძელებენ.

ნეფე-დედოფალს „დადი“ და „ძმობილი“ უსხედან გვერდით. ისინი იხდიან ხარჯებს ხუთიდან ექვს თუმნამდე. ნეფე-დედოფალს უგროვებენ ფულსა და სხვა საჩუქრებს; იციან დაქირავებული მუსიკა-გარმონი. „უბანშიც რომ იყოს მეგარმონე, უფულოდ ისიც კი არ მოვაო“.

სათამადე კაცს წინასწარ შეუთანხმდებიან; შეარჩევენ ძირითადად ისეთს, ვინც ბევრს სვამს და ლაპარაკიც ეხერხება. იციან სმაში შეჯიბრება; ხშირია ჩხუბიანი ქორწილები.

ქორწილის შემდეგ ახალდაქორწინებულები ვაჟის მშობლებთან ცხოვრობენ. თუ ისინი მშობლებს ვერ შეეგუებიან — საცხოვრებლად ცალკე გადიან, ხოლო თუ ერთმანეთს ვერ შეეგუენ — გასცილდებიან.

ახალგაზრდობა ძირითადად ქალაქში მიდის საცხოვრებლად, იქ ურჩევნიათ.

რელიგიური დღესასწაულები ისევ იციან, რომელშიც ახალგაზრდებიც დიდი ამბით მონაწილეობენ. რას აკეთებენ? „ქეიფობენ, თვრებიან, ზოგჯერ კიდეც ჩხუბობენ, სხვა რა უნდა გააკეთონ?“ (თ. ონიანი).

დამარხვა მეშვიდე-მერვე დღეზე ხდება. იციან მოთქმით ტირილი. დასაფლავების შემდეგ იმართება ქელეხი. ქელეხზე ჭამენ

ბრინჯს, ლობიოს, მწვანილს, ყველს. ხორცი არ იციან. მიცვალებულის ნათესავები ხორცს არ ჭამენ ორმოცი დღის განმავლობაში. საფლავზე გასვლა „ორმოცამდე“ არ იციან, ოჯახში კი ხშირად იმართება სულის მოსახსენიებელი სუფრა.

ორმოცამდე წვერს არ იპარსავს მიცვალებულის არც ერთი ნათესავი. ქალები ერთ წლამდე ატარებენ შავებს. თუ ძალიან სამწუხარო ვინმე გარდაიცვალა — შავები ორ წლამდე აცვიათ, ზოგჯერ მთელი სიცოცხლეც.

ჩვეულებრივ, წლის თავზე ხდება „ოჯახის გახსნა“ და აქაც, ისევე, როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, მთავრდება გლოვის პერიოდი. წლისთავზე სუფრა ხორციანი კერძებით იმართება.

ქელეხის დროს მიცვალებულის ოჯახს ეხმარებიან სოფლელები და სხვა მახლობლები ფულით. ადრე ეს დახმარება სცოდნიათ პროდუქტებით.

ამასობაში საკმაოდ დიდი მანძილი გავიარეთ ბობოქარი ცხენისწყლის ხეობაში.

სოფელ ცანაში, მთების უჩვეულო გარემოცვისა და ტურბაზის შენობის გარდა მქავე წყალიც ყოფილა და მაღლა, მთის კალთაზე, ხევში „გადმოსაფრენად“ გამზადებული ხის ნაგებობანიც შევამჩნიეთ. ჩვენი თანამგზავრებისაგან შევიტყვეთ, რომ აქ მიშიაკის მომპოვებელი წარმოება ყოფილა.

...აქვე იწყება თვალუწვდენელ სიმაღლეზე აზიდული მთის ციცაბო ფერდობი. ჩვენი კოლექტივის ყველაზე ოპტიმისტი წევრებიც კი გზისაკენ უიმედოდ იცქირებიან; „მესტიაში წასვლა თუ გინდათ, ზუგდიდიდან უნდა მოიაროთო“ — გვითხრეს.

აქედან მხოლოდ 40—50 კილომეტრი გვაშორებს მესტიისაგან, ზუგდიდიდან გზის მოვლას კი ორი დღე მაინც დასჭირდება (300—400 კმ).

ჩვენს მეთაურს არ სურს, შეურიგდეს დროისა და ენერგიის ასეთი ფლანგვის პერსპექტივას, ამიტომ, მიშამ მითითება მიიღო — ძალღონის დაუზოგავად განაგრძოს გზა, ხოლო ჩვენ — კვალში ჩამდგარნი მივყვებით უკან მანქანას.

მალე წერტილებივით დაპატარავდნენ ტურბაზის ეზოში თავშეყრილი ბავშვები. დავიწროვდა მდინარის თეთრი ზოლი და უფრო დიდი გამოჩნდა შორს, ხევში ჩაწოლილი მყინვარი, წეღან რომ ოდნავ მოსჩანდა.

არ ვიცი, სვანეთის ჰაერის დამსახურებაა, თუ იქაური ბუნება გვიწვევს შეჯიბრში — გმირული თავგანწირვით მივყვებით მთის

დაუსრულებელ აღმართს და სიარულში არ ჩამოვრჩებით ჩვენს სვან თანამგზავრებს....

ირგვლივ ისეთი სილამაზეა, რომ არც ერთ ჩვენთაგანს ენერგია და სიტყვები არ გვყოფნის აღტაცების გამოსახატავად: უზარმაზარი ტაფობი მრავალფერი ყვავილებითაა აჭრელებული; ალაგ-ალაგ თოვლის სქელი ფენა ზვიადად ჩაწოლილა მთათა ამ მუდმივ სავანეში.

ირგვლივ კაცისშვილი არ ჭაჭანებს. ამ დაუსრულებლად გრძელ გზაზე ერთ ხეს, ერთ ბუჩქსაც ვერ ნახავთ; ბალახი უხეშია და უსიამოვნოდ ხაოიანი. ალბათ ამიტომ, არსად არც ცხვრის ფარა შეგვხვედრია და არც საქონლის ჯოგი. ...ყვავილები კი, ათასგვარი და ათასფერი... და ჩვენ, წერტილებივით მცირენი და უმნიშვნელონი ამ უსასრულო სივრცეში, სიხარულით სულშეხუთულები მივიწევთ წინ.

მოაშიდან რვასაათიანი ლაშქრობის შემდეგ უღელტეხილის ჩრდილო-დასავლეთ კალთებზე თავქვე დავეშვით ალაგ-ალაგ მოშლილ და ჭაობიან გზაზე.

როგორც იქნა, გამოჩნდა მთებს შორის გამომწყვდეული უშგულის კოშკებიანი სოფელი, რომელსაც ქულა ღრუბლებში გახვეული და მზით განათებული უშბა წამოსდგომია თავს.

პირველად აქ ვხედავთ სვანურ კოშკებს. და, ბუნებრივია, ინტერესით ვათვალიერებთ. შემხვედრი მძღოლისაგან ვგებულობთ, რომ „აწი ასფალტიანი გზები იწყება“, და დარდი აღარაფრისა უნდა გვქონდეს.

ამასობაში, მზით გარუჯული თავხოტორა ბიჭების ჯგუფში აღმოვჩნდით და მხიარული საუბარიც გავაჩაღეთ. ბოლოს მათ ნახატებიანი წიგნები, კამფეტები, საპაერო ბურთები და პასტიანი ავტოკალმები დავურიგეთ. ამ მოულოდნელმა საჩუქრებმა ისეთი ჟივილ-ხივილი გამოიწვია, რომ ერთხანს ყურთასმენა დაგვიხშო.

აქ დავემშვიდობეთ ჩვენს სვან თანამგზავრებს და მესტიისაკენ დავეშვით, თან მოუთმენლად ველოდებით მოასფალტებულ გზაზე გასვლას.

სოფელ კალასთან შავებში ჩაცმული, ტანმორჩილი და ენერგიული სახის ქალი — ჯ ა ჯ ა ლ ა დ ა დ ვ ა ნ ი დაგვემგზავრა. მისგან შევიტყვეთ, რომ მოასფალტებული გზის იმედი ტყუილად გვქონია. აქ გრუნტის გზაც სანატრელია და ჩვენებურებს ასფალტად უღირთ — იცინის იგი.

გზები მართლაც გაუმჯობესდა, მაგრამ სახიფათო შეიქნა: თუ აქამდე ქვიანმა და ჭაობიანმა გზებმა გაგვაწამა, გადავარდნის შიში მაინც არ გვქონდა. ახლა კი, მანქანას ბორბალი ოდნავ რომ მოუცურდეს — ენგურში ამოვყოფთ თავს. დიდი ხნის გაურემონტებელი გრუნტის გზა ისე ვიწროა, რომ ასეთი რამ არაა გამორიცხული.

ერთგან მოტოციკლი შემოგვხვდა. ჯაჯალა და ის მოტოციკლისტი ერთხანს რაღაცაზე თათბირობენ, ჩვენთვის გაუგებარ სვანურ ენაზე. ბოლოს გამოგვიცხადეს, რომ ჩვენს საპირისპირო მხრიდან სამი სატვირთო მანქანა მოემართება და სადაცაა გამოჩნდებიან. მოტოციკლისტი სერიოზულადაა შეშფოთებული, რადგან ახლომახლო გვერდის ასაქცევი ადგილი არსადაა, რაც სერიოზულ საფრთხეს ქმნის.

მალე გამოჩნდა სამი ვეებერთელა სატვირთო მანქანა, შექეიფიანებული მგზავრებით. მძღოლების მხიარული სახეები მოწმობენ, რომ არც მათ დაჰკლებიათ ბახუსის მადლი.

ჩვენ ადგილზე დგომა გვებრძანა, მანქანის მძღოლებთან კი ჯაჯალამ ნამდვილი ომი გამართა. ჩვენამდე კანტიკუნტად აღწევენ სიტყვები: „სტუმრები", „პატივისცემა", „დაიხიეთ" და ა. შ.

ბევრი ბრძოლის მერე ჯაჯალამ იმას მიაღწია, რომ საბარგო მანქანები ხალხისაგან გაათავისუფლეს და უკან დახიეს. ბევრი იწვალეს მძღოლებმა, იჩხუბეს, ალბათ ჩვენც ბევრი გვლანძღეს და როგორღაც გზის ვიწრო ზოლი გაგვითავისუფლეს.

ავტობუსი ჩვენც დავცალეთ. მიშამ იმარჯვა, მანქანა მოხერხებულად შეაგდო ტყიან და დამრეც ნაპირზე და როგორც იტყვიან, „ბეწვზე გადარჩა".

საფრთხემ რომ განვლო, მგზავრები ერთმანეთს დავუტკბით. ახლაღა მივესალმეთ და გზამშვიდობისაც ვუსურვეთ ერთმანეთს.

ჩვენი მეთაური აღშფოთებულია: როგორ შეიძლება, ასეთ გზებზე ამდენი ხალხით დატვირთული საბარგო მანქანები და მთვრალი მძღოლები! როგორ შეიძლება ასეთი ქორწილები! პატარა ბავშვებიც კი თან ჰყავდათ! ვინ იცის, როგორ მიაღწევენ სოფლამდე!

...რას იზამ! ხალხი ისე დანატრებულია გართობა-დროსტარებას, რომ რისკზე მიდის, საფრთხეს აღარ უშინდება, და ის, რაც ჩვენ უაზრო გამბედაობად გვეჩვენება, მათთვის ცხოვრების შინაარსს შეადგენს.

ულურის გადასასვლელზე ჩვენს აღტაცებას საზღვარი არა აქვს: ქვემოთ, ენგურის ხეობის მარჯვენა ნაპირზე გაშლილ ვაკეზე ათამდე

სვანური სოფელია გაშენებული. ყველას ერთად, თურმე, მულახი ჰქვია.

— ააა! ესაა უბატონო სვანეთი?

ფერთა უკეთეს შეხამებას ვერც ერთი მხატვარი ვერ შესძლებდა: უწესრიგო ოთხკუთხედებად დაყოფილი და ერთმანეთზე მჭიდროდ მიკრული მიწის ნაკვეთები მზის სპექტრის ყველა ფერშია წარმოდგენილი. სოფლის შუაგული კოშკებიანი სვანური სახლებითაა დამშვენებული. გვაოცებს კოშკების სიმრავლე და სიმაღლე. მათ ახლა აღარ აშენებენ, მაგრამ უწინ თითქმის ყველა ოჯახს ჰქონია თავისი კოშკი.

საღამო ხანს მესტიას მივაღწიეთ; ჩვენს მფარველ ჯაჯალას სიყვარულით დავემშვიდობეთ და ღამის გასათევი ადგილის საძებნელად გავეშურეთ.

უცბად, მოულოდნელმა სანახაობამ ადგილზე გაგვაქვავა: ქალაქს ჩრდილოეთის მხრიდან თავს დასდგომია ჩამავალი მზის სხივებით განათებული, თოვლიანი მწვერვალი — თეთნულდი, რომელიც შავი ღრუბლების უწესრიგო გროვიდან ამოზრდილა და ჩვენს წინაშე ზღაპრული სიდიდითაა შემართული.

მალე ჯადოსნური ძალებით ამოფრქვეულმა ღრუბლებმა, ისეთი სქელი ჩადრი შემოახვიეს მწვერვალს, რომ გულდაწყვეტილებს წასვლის მეტი აღარაფერი დაგვრჩენია.

— არა უშავს, ხვალ ხომ მთელი დღე ჩვენს ხელთაა!

მალე მივადექით მშენებარე ტურბაზის* ტერიტორიას. ხასხასა, მწვანე მინდორი შევარჩიეთ ბანაკისათვის; ამ ადგილის მთავარი ღირსება ისაა, რომ მესტიას ზემოდან გადაცქერის; ბინდისას ჩაშუქებული მთები კი იმის იმედს იძლევა, რომ დილით ამომავალი მზის სხივებით განათებულ თეთნულდს ვიხილავთ.

ისეთი უკუნი ღამე ჩამოწვა, როგორიც მთვარის ამოსვლის წინ იცის მთაში. კოცონთან ვზივართ და დღევანდელ დღეზე ვსაუბრობთ. რამდენიმე ნაბიჯზე გაშლილი კარვებიც კი არ მოსჩანს ამ სიბნელეში.

საიდანღაც რუს წანწკარი მოისმის. ამ წანწკარმა გვაცთუნა წელან და საკმაოდ დიდხანს, ამაოდ ვეძებეთ სასმელი წყალი.

ახლაც ეს ხმაური გვაღიზიანებს, რადგან ვახშმის შემდეგ საოცრად გვწყურია ყველას, მაგრამ აბა, ვინ გაბედავს ამ სიბნელეში და ამ უცნობ ადგილზე კოცონს მოსცილდეს?!

---

* ამჟამად ეს ტურბაზა აშენებული და დამშვენებულია.

ამ იდუმალმა გარემოცვამ ოდნავ შეგვაფიქრიანა. ბატონმა გელამ ყოველი შემთხვევისათვის თოფი გვერდით მოიდო.

უცბად, მიშას სიტყვა გაუწყდა და მაღლა აწეული ჭიქა უღონოდ დაუშვა. ერთ წამში ელექტროდენმა დაგვირბინა სხეულში; კარვების უკან, ოდნავ შემაღლებულ ადგილზე, თეთრი წამოსასხამი აფრიალდა. აჩრდილი ხელების ქნევითა და წამოსასხამის ფრიალით მოიკვლევს გზას ჩვენსკენ.

ვიღაცამ ძლივს მოახერხა — თოფი!

..უცბადვე მოვედით გონს და ღიმილმა გაგვინათა სახე, მაგრამ სხეული მაინც დიდხანს გვიცახცახებს განცდილისაგან. იხტიბარს არ ვიტეხთ და თოფი მაინც შევმართეთ. ახლა კი იკადრა თეთრმა მოსასხამმა ხმის ამოღება: — ბატონო გელა, მე ვარ, არ მესროლოთ!

ცოტა ხანში, ზეწარში გახვეული და შიშით ფერდაკარგული მაგული ჩვენს გვერდით ზის და ცახცახებს.

მალე ცა ვარსკვლავებით მოიქედა. მოგვიანებით მთვარეც ამოცურდა. თეთნულდის მხარე კი ისევ შავი ღრუბლებითაა ჩამუქებული.

— რა ლამაზი იქნება ხვალ მზის ამოსვლა! — წინასწარ ვტკბებით.

12 ივლისი. მესტია-ჯვარი-ზუგდიდი:

მზეს ვერც ამ დილით მოვასწარით ადგომა: ოქროსფერ სხივებს გაუხალისებია ფართო ხეობა; თეთნულდი კი მაინც ნაცრისფერი და სქელი ბურუსითაა შებურული, სწორედ ამიტომ არ ვჩქარობთ აქედან წასვლას; იმედი გვაქვს, რომ ბურუსი გაიფანტება და ისევ ვიხილავთ სვანეთის მთების გულზვიად პატარძალს.

თეთნულდის „მოწყალების“ მოლოდინში მაგნიტოფონს ვუზიგარ და მინდა ჯაჯალასთან გუშინდელი საუბარი აღვადგინო:

უწინ, ზემო სვანეთში, ქალ-ვაჟის აკვანში დანიშვნა სცოდნიათ. როცა ბავშვები წამოიზრდებოდნენ, ხშირად არ მოსწონდათ მშობლების არჩევანი და სცილდებოდნენ ერთმანეთს. ამის გამო კი გაუთავებელი ჩხუბი და შუღლი იყო ოჯახებს შორის. ახლა, ახალგაზრდები მხოლოდ სიყვარულის საფუძველზე უკავშირდებიან ერთმანეთს. იციან შუაკაცების მიგზავნა. როცა მშობლები ქორწინების წინააღმდეგნი არიან, მაშინ ისინი ჩუმად, მშობლების ნების წინააღმდეგ ქორწინდებიან. ე. წ. „გაპარვა“ აქაც შემოდისო მოდაში.

შუა კაცებს ქალის დასანიშნავად მიაქვთ ოქროს საათი და ბეჭედი; რადგან ამის საშუალება ახლა ყველას აქვს, ნიშნობაში ოქროს ნივთები აუცილებელიაო.

ნიშნობის პერიოდი ერთი თვიდან შეიძლება ორ წლამდეც გაგრძელდეს. შეიძლება ჩაიშალოს კიდეც, თუ ამ პერიოდში ახალგაზრდები შეიცვლიან თავიანთ გადაწყვეტილებას.

იციან დიდი ქორწილი იგივე თანმიმდევრობით, როგორც ქვემო სვანეთში, იმ განსხვავებით, რომ ზოგჯერ ქორწილში მიტანილ საჩუქრებს გამოაცხადებენ ხოლმე. ნასწავლი ხალხი, რა თქმა უნდა; ამას არ გააკეთებსო.

თუ ახლად დაქორწინებულები დედამამას ვერ შეეგუებიან და საცხოვრებლად ცალკე გავლენ, სოფელი მათ ჰაიცხავს. განქორწინება იშვიათია. გაცილების მიზეზი შეიძლება იყოს ღალატი, ან ერთ-ერთის განსაკუთრებული ცუდი ხასიათი. თუ ცოლმა უღალატა ქმარს, შეიძლება მკვლელობაც მოხდეს. ამ დროს ქალის მშობლები ჩუმად არიან და არავითარ პროტესტს არ აცხადებენ. თუ განქორწინებისათვის არ არსებობს სერიოზული მიზეზი, და ერთ-ერთი მხარე დაჩაგრულად გრძნობს თავს, შეიძლება გვარები სასიკვდილოდაც კი გადაეკიდონ ერთმანეთს.

აქ მიცვალებულს მერვე-მეათე დღეზე ასაფლავებენ (მოხუცებულს — მეხუთე დღეზეც). ნათესავებისა და სხვა მახლობლების დაპატიჟება არ სცოდნიათ. ისინი თვითონ გაიგებენ თავიანთი ახლობლის გარდაცვალებას და მოდიან „გამოსატირებლად"; აქ ყველა იცნობს ერთმანეთს, და ვინმეს გარდაცვალების ამბავი სწრაფად ვრცელდება. დასაფლავებაზე ყველა ნაცნობი მოდის, ვისაც გული შესტკივა ჭირისუფალზე ან გარდაცვლილზე.

ქელეხი დიდი იმართება: იკვლება ხარი; სვამენ არაყს; წლამდე ქალები შავებს ატარებენ (ზოგჯერ ორ-სამ წლამდეც). მამაკაცები კი წვერს; იციან მკერდზე მიცვალებულის შავ არშიაში ჩასმული სურათის დაბნევა. ადრე იცოდნენ გლოვის ნიშნად მკლავზე შავი არშია და თავზე შავი ნაჭრის გადაკერა.

უწინ სჯერდათ, რომ მიცვალებულის სული წლამდე იმ ადგილზე ტრიალებს, სადაც იგი გარდაიცვალა. ამიტომ იმ ადგილებში მართავდნენ „სულის მოსახსენიებელ" ტაბლას.

ასეთი ჩვეულება დღემდე შემორჩენილა. აქ, ზემო სვანეთში, გზების უვარგისობიდან გამომდინარე, ავარიები და უბედური შემთხვევები ხშირი ყოფილა. უბედური შემთხვევის ადგილზე ახლაც დგამენ პატარა ნიშს გარდაცვალებულის სურათით, ღვინით, წყლითა და პურით. ჩვენ მრავალი ასეთი ნიში ვნახეთ გზაში, ხშირად რამ-

დენიმე სურათით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ადგილზე ერთსა და იმავე დროს, რამდენიმე კაცი დაიღუპა.

ჩვენმა მეთაურმა დღეის პროგრამა მოკლედ მოხაზა: საუზმის შემდეგ, ქალაქის მუზეუმისა და კოშკების დათვალიერება, შემდეგ კი, ენგურის ხეობის გავლით სამეგრელოსაკენ ავიღებთ გეზს.

მესტიის სასადილოში ძალზე გემრიელი და იაფი კერძებით გაგვიმასპინძლდნენ; მერე მუზეუმმი მოგვხიბლა იქ გამოფენილი მდიდარი და საინტერესო ექსპონატებითა და გულისხმიერი თანამშრომლებით. აქ შეგიძლიათ ნახოთ „კლდის ვეფხვად“ წოდებული მიხეილ ხერგიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატები; აქვეა დაცული ძველი ქართული ხელნაწერები, სვანური რელიგიური და საოჯახო-სამეურნეო ყოფის ამსახველი ექსპონატები, დიდი სიყვარულითა და სასოებით რომაა მოვლილი.

ბოლოს რატიანების კოშკს ვეწვიეთ.

ახლოდან კოშკი ბევრად უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე შორიდან გვეგონა. კოშკის პატრონმა, პატივცემულმა გრიგოლმა ჯერ ვრცელ საბძელში შეგვიყვანა. ახალშესულებს საბძელი ძალზე ბნელი გვეჩვენა და მასპინძელმა ჭრაქი აგვინთო.

საბძლის მეორე ბოლოდან ხის საცალფეხო, შვეული კიბით და ვიწრო ხვრელით კოშკის პირველ სართულზე ავძვერით. აქედანაც ხისა და საცალფეხო შვეული კიბით მივიწევთ მაღლა. გვაოცებს ვიწრო სართულების სიმაღლე, მაგრამ, რადგან ვიწრო კოშკი უფრო ადვილი და ჩქარა ასაგებია, სწორედ ამიტომ გავრცელებულა ასე.

პატივცემულმა გრიგოლმა გვიამბო, რომ უწინ, ერთ-ერთი რელიგიური დღესასწაულის დროს, ორი გვარი ერთმანეთს წაჰკიდებია, შინ დაბრუნებულებს სასწრაფოდ დაუწყიათ კოშკების შენება, რადგან მიაჩნდათ, რომ რაკი მტერი შეიძინეს, თავდაცვაც უსათუოდ დასჭირდებოდათ.

როცა მშენებლობისათვის საფუძველი ჩაუყრიათ, ერთ-ერთი მოქიშპე გვარის კაცებს, გვიან, ღამით, მოწინააღმდეგის კოშკის საფუძველი მოუშლიათ და ახალი, უფრო ფართო გამოუწყიათ. მშენებლებს ვერ შეუმჩნევიათ მტრების განზრახვა და ამ ახალ, ფართო საფუძველზე დაუწყიათ დაშენება, მაგრამ მშენებლობა ამით ბევრად უფრო გართულებულა და გახანგრძლივებულა. ამასობაში, მათ მოქიშპე გვარს მშვენიერი კოშკი წამოუჭიმავთ და ჩასაფრებულან ელოდეს.

მეოთხე სართულზე უამრავი ძვლები ყრია. გამყოლი გვიამბობს, რომ უწინ, საფრთხის შემთხვევაში, მთელი ოჯახი კოშკში

ცხოვრობდა; აქვე იკვებებოდა და ძვლებსაც აქვე ინახავდნენ, თუ იგი ჯიხვისა იყო, რადგან ჯიხვის ძვლები წმინდად ითვლებოდაო.

პირველ სამ სართულს უსარკმელოს აშენებდნენ თურძე. ბოლო სართულებს — მეოთხე, მეხუთე, მეექვსე სართულს — ვიწრო სარკმელები აქვს დატანებული. ამ სარკმლებს სათოფურების დანიშნულებაც ჰქონიათ.

მეექვსე სართულზე კოშკი ქონგურებით მთავრდება. სახურავზე პატარა ჭრილია დატოვებული.

სათითაოდ ავძვერით ჭრილში. თვალწინ ულამაზესი პეიზაჟი გადაიშალა: ღრუბლებშემოწყობილი მთათა მწვერვალები და ათასფრად მოლიელივე სათიბები; მწვანეში ჩაფლული სვანური სახლების სახურავები და ქონგურებიანი კოშკები... კოშკის ძირში ცნობისმოყვარე ბავშვები ჭიანჭველებივით ირევიან და ჩვენსკენ ინტერესით იცქირებიან.

— ბატონო გრიგოლ, ყოველი ოჯახი რომ საკუთარ კოშკს იშენებდა, არ ჯობდა, ერთი, საერთო ციხე აეშენებინა სოფელს? გულუბრყვილოდ კითხულობს ერთ-ერთი ჩვენგანი.

გრიგოლს ეღიმება.

— ციხეს კი ააგებდნენ, მაგრამ... კოშკები ხომ ძირითადად ერთმანეთისაგან თავის დასაცავად სჭირდებოდათ!

ძირს ჩამოსულებს დაღლილობისაგან დიდხანს გვიცახცახებს მუხლები; აქ თავშეყრილ ბავშვებთან საკმაოდ მხიარული საუბარი გავმართეთ. ოცამდე ბავშვმა მოიყარა თავი.

ვიკითხეთ ხუთოსანი რომელია-თქო? ერთმა გაუბედავად ასწია ორი თითი. ლენინის სურათებიანი წიგნი ვაჩუქეთ. ამის შემდეგ რამდენიმე წყვილი თითი ისევ აღიმართა ხოტორა თავებს ზემოთ. ახლა ისინი დავასაჩუქრეთ. ბოლოს, წყვილი თითების ზღვაში აღმოვჩნდით, და ჩვენც, გულნაკლული არავინ დაგვიტოვებია.

12 საათისათვის მესტიის ცენტრში დავეხეტებით ასფალტიანი ქუჩისათვის სრულიად შეუფერებლები: გვაცვია დაჭმუჭნული და მტვრიანი ტანსაცმელი; კარვებში, ავტობუსში და ბოლოს, კოშკის კედლებზე ძრომისაგან გაჭუჭყიანებული, ცივი წყლით ნაბანი, ნაბადივით მოთელილი თმებით; ფორმა დაკარგული ტანსაცმლითა და მთლად გათხუპნული ავტობუსით, რომელიც გარედან სვანი ბიჭების სახელებითაა აჭრელებული.

მესტიაში უამრავ ტურისტს შეხვდებით. ამიტომ, ყურადღებას არავინ გვაქცევს, მაგრამ, თუ გამვლელი ბიჭები ჩვენს ქართულ ლა-

პარაკს მოჰკრავენ ყურს, უკვირთ, და აშკარად ეტყობათ — უხარიათ, რადგან ქართველი ტურისტი აქ იშვიათია.

საოცრად წყნარი და მზიანი დარი დგას, მაგრამ თეთნულდს ისეთი სქელი ჩადრი წამოუსხამს, რომ ვკარგავთ მისი ნახვის იმედს და ვაგრძელებთ გზას. აღარ გვაოცებს ენგურის გაღმა-გამოღმა შეფენილი სოფლების სილამაზე; გუშინ ჩვენ ისეთი სანახები გამოვიარეთ, რომ საეჭვოა, კიდევ გამოიწვიოს რაიმემ მსგავსი განცდა.

გუშინ მთების სილამაზით მოჯადოებულები, მთელი სიმძაფრით ვეღარ ვამჩნევდით სამანქანო გზის უვარგისობას*, ახლა კი, ცუდი და სახიფათო გზის მიზეზით მთლად დაკარგეთ სილამაზის აღქმის უნარი და მხოლოდ გზის მარცხნივ, აქაფებული ენგურის მუქარით ვართ შეძრწუნებულნი. თუ გზა გაფართოვდება და ჩვენი შეშინებული მზერა ასცდება მღვრიე კალაპოტს, მაშინღა ვამჩნევთ, რომ ჩვენივე მანქანისაგან ადენილი მტვრის სქელ ღრუბელში ვართ გახვეულნი.

მახსოვს, ამას წინათ, გაზეთ „ლელოში“ მ ი რ ო ნ ხ ე რ გ ი ა ნ ი წერდა: „კაცს გამოცდა სჭირდება, გამოცდა ვაჟკაცობასა და გულადობაში, რადგანაც ვაჟკაცობა და გულადობა ისეთი რამეა, რომ ყოველ დროს, ყველა ჯურისა და მოდგმის ხალხს გამოადგება. ვაჟკაცობა და გულადობა მშვიდობიანობის დროსაც ისევე საჭიროა, როგორც ომის დროს. ომი კი ღმერთმა გვაშოროს თავიდან...“

ეჭვი არაა, სვანებს ასეთი გზებისა და ხიდების პირობებში არ აკლიათ ვაჟკაცობაში გამოცდა.

მალე მთელი ავტობუსი ყვითელი მტვრით დაიფარა. მარლის დოლბანდებით ვცდილობთ, დავიცვათ აქამდე სუფთა ჰაერით განებივრებული ფილტვები. ერთიანად ყვითელია ჩვენი გაწეწილი თმები, წამწამები, ტანსაცმელი, ბიჭების ულვაშები და რამდენიმე დღის გაუპარსავი წვერი...

ერთმანეთზე გვეცინება და შხაპის წარმოდგენა სასიამოვნო ერუანტელს გვგვრის. ვგრძნობთ, რომ აწი ვეღარ გავუმკლავდებით თბილი წყლისა და საპნის ცთუნებას და მეგრული სტუმართმოყვარეობა შეიწირავს ჩვენს თავისუფლებას.

— ბატონო გელა, წამოსვლის წინ ოტიამ ძალიან გვთხოვა მეწვიეთო. ზუგდიდთან ახლოს ცხოვრობს...

— ვიცი. მეც მთხოვა.

---

* ზემოთ უკვე ითქვა, რომ ამჟამად ეს გზა მესტიიდან ჭვარამდე გაფართოებული და რეკონსტრუირებულია.

— ვეწვევით?

— არა მგონია. ახლა ამ სახით ჩვენი სტუმრობა არც ისე სასურველია.

— სოფელ ჯვართან ძალიან ლამაზი ადგილებია, პატარა და სუფთა მდინარეები; საბანაოდ და ღამის გასათევად უკეთესს ვერც კი ვინატრებთ. ენგურჰესის მშენებლობასაც დავათვალიერებთ. ხვალის გეგმა კი მერე შევადგინოთ.

თანდათან მშვიდად მიედინება ენგური. შესაბამისად კლებულობს გზის პირას ჩადგმული, მიცვალებულის მოსახსენიებელი ნიშები, ულვაშაბიბინებული ვაჟების სურათებით გულს რომ უკლავს გამვლელს. უამრავი ცარიელი ბოთლები ჰყრია იქვე, ძმაკაცებმა თუ „გატეხეს პური“ და დალიეს მათი შესანდობარი.

...რა უგულობასა და მოუსაზრებლობას ვიჩენთ ზოგჯერ ადამიანები! გვგონია, რომ ჩვენზე კეთილი და სამართლიანი ხალხი არ დადის ქვეყანაზე; შეგვიძლია მახლობელი ადამიანის დაკრძალვაზე ან სულის მოსახსენიებელ სადილზე ქვეყნის დასალიერს წავიდეთ. არ მოვერიდებით არც საკუთარ ჯანმრთელობას, არც სამსახურს, არც მატერიალურ ხარჯებს. გულწრფელად შეეწუხდებით, თუ ვინმეს გაუბედურებას შევიტყობთ, მაგრამ იმისათვის თავს არ ვიწუხებთ, რომ თავიდან ავიცდინოთ უბედური შემთხვევები. განა უკეთესი არ იქნება, თუ ამ ენერგიასა და სოლიდარობას გზებისა და ხიდების შეკეთებაზე გამოვიყენებთ?

ვუახლოვდებით ენგურჰესის მშენებლობას და ხევს სინანულით ჩავცქერით: მალე აქაურობა წყლით დაიფარება. ალბათ რამდენი ცხოველი დაკარგავს თავშესაფარს! სამაგიეროდ, გაჩნდება ელექტრო-ენერგიის უშრეტი მარაგი, გაჩნდება ახალი ფლორა და ფაუნა წყლის პირობებთან შეგუებული...*

ერთბაშად ფართო და მოასფალტებულ, ლარივით სწორ გზატკეცილზე გავიჭერით. ჩვენი ავტობუსი ფრთებგამოსხმული მიჰქრის.

---

* ენგურჰესის მშენებლობა ამჟამად თითქმის მთლიანად დამთავრებულია და ენერგეტიკის ამ გიგანტის მომაჯადოვებელი სილამაზე არაფრით არ ჩამოუვარდება თვალუწვდენელი მთებისა და კლდეების ბუნებრივ მშვენიერებას. ადამიანის გონებისა და ნებისყოფის უსაზღვრო ძალა აქ თითქოს საგანგებოდ შერკინებია ზვიადი ბუნების დაუოკებელ სტიქიას, მოუთოკავს და მოუთვინიერებია იგი.—რედ.

სულ მალე თვით ჰესის მშენებლობასაც წავადექით თავს: უზარმაზარი ხევის ფსკერზე სიცოცხლე დუღს; ხევს გაღმა ფერდობი გზებითაა დასერილი. ეს გზები მშენებლობისათვის გაუყვანიათ. იქ ბეტონი უნდა აზიდონ და ამ ვეებერთელა ხევს პირი შეუკრან. ხევის კალთებს შორის კილომეტრიანი „ბეწვის ხიდია“ გაბმული. იმერეთში ასეთ დაკიდულ ხიდს „ბონდს“ ვეძახით.

ბიჭები ნატრობენ, „ნეტავი დრო გვქონდეს, ხიდზე გავიდოდითო“. გოგოებს, ხიდის შემყურეთ, შიშით მუხლები გვეკვეთება. ქვემოთ, ხევის ფსკერზე ჩახედვისაც კი გვეშინია, თავბრუ გვეხვევა...

საღამოვდება. წვიმასაც აპირებს. ვჩქარობთ. ახლა უკვე გზის დარდი აღარ გვაქვს, აღარც მთებია წინ...

სოფელ ჯვარში საოცრად დახუთული და მძიმე ჰაერი გვეჩვენება მთიდან ჩამოსულებს. სოფლის დასასრულს, წყაროსთან შევჩერდით და საკუთარი თავის მოწესრიგებას ამაოდ ვცდილობთ.

უახლოესი სახლიდან ქალმა ერთი კალათა მსხალი გამოგვიტანა. მადლობა გადავუხადეთ. მან დიდხანს თანაგრძნობით გვიცქირა დამშეულებსა და გაჭუჭყიანებულებს. ჩვენს ავტობუსს უკვე აღარც ფერი ეტყობა და არც, ერთ დროს ლაღად მოფრიალე, თეთრი ფარდები ამშვენებს.

სულ მალე დავაცარიელეთ კალათა. ქალმა კვლავ შემოგვთავაზა — მობრძანდით და თქვენ თვითონ მოკრიფეთ. სახლში მარტო ვარ და ხეზე ვერ ავდივარ, მხოლოდ იმას თუ ავკრეფ, რაც ძირს ჩამოცვივაო.

— რათა, დეიდა, მარტო რათა ხართ?

— ქალიშვილი თბილისში სწავლობს, აბა სახლში ხომ არ გავაჩერებდი...

— არა უშავს, დაამთავრებს და დაგიბრუნდებათ — ვცდილობთ, ვანუგეშოთ.

— რათა, შვილო, რათ უნდა დაბრუნდეს, ყველანი იქ მიდიან და რაღა ის დაბრუნდება!...

ამ სახელდახელო დანაყრების შემდეგ ვემშვიდობებით ჩვენს „მასპინძელს“ და ვაგრძელებთ გზას.

ჯერ არ ვიცით, სად გავშლით ბანაკს.

ელვის სისწრაფით მიჰქრიან ჩვენს გასწვრივ მეგრული, კობტაოდები და ათასფერი ყვავილებით დამშვენებული ეზოები.

— მიშა, ცოტა ნელა იარე, ხომ არ დაგავიწყდა, რომ ღამის გასათევი ადგილი გვაქვს მოსაძებნი!

— ბატონო გელა, ცოდოა ოტია, ვინ იცის, როგორ ვენატრებით...

— ათი კაცის მოულოდნელი სტუმრობა როგორი საქმეა! მით უმეტეს, რომ არ იცით, სად და როგორ ცხოვრობს. იქნებ არა აქვს ათი კაცის დასაწოლი... ჩვენ რომ ჩვენი საძილეების გაშლა დაგვჭირდეს, ალბათ ესეც ეუხერხულებათ...

— არა, ბატონო გელა, ჯერ ეროი, მეგრელ კაცს ახლა ათი კაცის მიღება არ გაუჭირდება; მეორეც, ოტიას არაფერიც არ ეუხერხულება...

ბოლო არგუმენტზე ჩვენი მეთაური აღარაფერს ამბობს, მაგრამ თუ სადმე კარგ მინდორს დაინახავს, მაინც ტურისტის თვალით უცქერის. ჩვენ კი, თითქოს პირი შევკარითო, ერთხმად უარვყოფთ ყველა შერჩეულ ადგილს.

ჩვენი მანქანა მიჰქრის მტრედისფერი საღამოს ფონზე ჩამუქებულ ჩაის პლანტაციებს შორის. გზაში გვხვდებიან მწვანე ფოთლით დატვირთული მანქანები; ჩალის ქუდიანი ქალ-ვაჟები, მთელი დღის შრომის შემდეგ თავიანთი თავისათვის ლაზღანდარობის უფლებაც რომ მიუციათ და ახლა შინ წასვლას არ ჩქარობენ.

დაღამებულზე ზუგდიდში შევდივართ.

— რომელ სოფელში ცხოვრობს ოტია?

მეთაურის ამ შეკითხვას ცხრა კაცი ერთხმად პასუხობს.

— აქვე, სოფელი ოქტომბერი ყოფილა, ვისაც არ უნდა ვკითხოთ, ყველა გვასწავლის....

მიშამ ბენზინის მარაგის შესავსებად შეუხვია. ჯიხურთან უსაქმოდ მჯდომი, თვლემამორეული კაცი ოდნავ დაბნეული გვიცქერის.

ძლივს გავაგებინეთ, რომ სოფელი ოქტომბერი გვაინტერესებს. მან მეგრული აქცენტით გვიპასუხა:

— ოქტომბერს ვერ გეტყვით, მარა სოხუმამდე 90 კილომეტრია.

მიშამ დიდი მადლობა გადაუხადა.

ამასობაში ჩვენი ბენზინის ავზიც შეივსო და დროზე დაიძრა ავტობუსი თავისი ახარხარებული მგზავრებით, თორემ სირცხვილს ვჭამდით იმ მეგრელთან...

სოფელი ოქტომბერი მართლაც ახლოს ყოფილა ზუგდიდთან. უამრავი მიხვეულ-მოხვეულისა და რამდენიმე შემხვედრთან ახსნა-განმარტების შემდეგ სარჩიმელიების ეზოსაც მივადექით.

ცოტა ხანში მასპინძლის ლამაზი ეზო ძნელი საცნობი გახდა: შუა ეზოში, აბიბინებულ მწვანე მინდორზე ჩაჭუჭყიანებული ავტობუსის წინა და უკანა კარებიდან მოვათრევთ ჩვენს სქლად დამტვერილ ნივთებს. სამზადი სახლის შუა ცეცხლზე, ჯაჭვით ჩამოკიდე-

ბულ ვეებერთელა ქვაბში წყალი ცხელდება. ჩვენი გოგოები წინ და უკან დარბიან ტაშტებითა და ვედროებით. ოტია ჭიდან წყლის ამოღებას ვეღარ აუდის; მასპინძლებსაც თავიანთი საქმე გასჩენიათ: ისმის ქათმების კრიახი და გოჭის ჭყვიტინი; კიბეებზე აღმა-დაღმა დარბიან ოჯახის წევრები; სამზადის უკან სიბნელეში შხაპი მოვაწყვეთ და ახლა ერთმანეთს ვეცილებით — ვინ დაიბანს პირველი... ეზოს ერთი ნაწილში ღვარად მოედინება ნაბანი და ნარეცხი წყალი... სიგრძე-სიგანეზე თოკებია გაბმული, ჩვენი გარეცხილი თეთრეულით....

გვიანობამდე გრძელდება გახარებულ მასპინძლებთან საუბარი და მსუყე ვახშამი.

18 ივლისი. ოქტომბერი — ანაკლია:

შუშაბანდის მინებზე აბრჭყვიალებულმა მზის ათინათმა გამომაღვიძა. საოცრად მსუბუქად ვგრძნობ თავს. ლაღად სუნთქავს მთელი სხეულის ყოველი უჯრედი. ერთხანს ვნებივრობ რბილი და ქათქათა თეთრეულის მსუბუქ ნაოჭებში და ამ უჩვეულო ფუფუნებაზე სიამოვნებით ვფიქრობ.

...ჩემი აზრით, ადამიანის წინაპარი ტყიდან თბილი წყლისა და საპნის ცდუნებამ გამოიყვანა...

პირველი სართულიდან ხმადაბალი საუბარი და ჭურჭლის წკრიალი მოისმის. სადღაც ძაღლი ყეფს, მეზობლის მამალი თავგამოდებით გაჰყივის. გზიდან საბალახოდ მიმავალი ნახირის ფეხის ხმა ბავშვობის ტკბილ მოგონებებს აღვიძებს...

ვდგები. ფეხაკრეფით მივიკვლევ გზას ვეებერთელა დარბაზში გაშლილ საწოლებს შორის. ჩემს ნივთებში ერთი კვირის წინ გადამალულ კაბას ვეძებ და რამდენიმე წუთში მასპინძლებს ჩემს დახმარებას ვთავაზობ.

გვიანი საუზმე სადილად გადაგვექცა და ახლა მასპინძლებთან ლამის „ხელჩართული ომი" გვაქვს გაჩაღებული, რათა თავიდან ავიცდინოთ მათ მიერ საღამოსათვის ჩაფიქრებული წვეულება.

ჩვენი მეთაური ბრაზობს:

— რას ჰგავს ესl როდის უნდა ვისწავლოთ სტუმრის ნორმალური პატივისცემა? ამ პურმარილის მეოთხედიც სავსებით საკმარისი იქნებოდა ჩვენთვის. ჩვენ უფრო ნასიამოვნები ვიქნებოდით, მასპინძელს რომ ყველაფერი არ დაეხოცა — რაც გოჭები და ქათმები ჰყავდა. ჩვენ ახლა შეწუხებული ვართ. მხოლოდ აი, ეს ელარჯი და მწვანილი რომ ყოფილიყო, მაშინ კი თავისუფლად წავი-

დოდით ოჯახიდან... გამაღიზიანებელია ზედმეტი გულმოდგინება. სუფრაზე ერთმანეთთან შეხვედრის სიხარული უნდა იყოს წინა პლანზე და არა სმა-ჭამით უზომო გატაცება! ამდენი პურმარილი უნდა გაფუჭდეს!... ესაა საქმე? ახლა, აი, რა ჰქვია ამას? ჰო, „ჭვიშტარი“ მინდოდა გამესინჯა, მაგრამ აღარ შემიძლია! ხომ ჯობდა, ამ გოჭებისა და ქათმების განადგურებას აი, ეს უცხო კერძები შემოგეთავაზებინათ?

— აგაშენათ, ბიძია, ღმერთმა! ცოტა ადრე რომ გვცოდნოდა თქვენი ხასიათი, კარგი იყო და ახლა, ამ გოჭებს აღარაფერი ეშველებათ. ისე, ძალიანაც ნუ იდარდებთ, არაფერს არ გავაფუჭებთ!

— ასე ვიცით ჩვენთან და ახლა ჩვენ ხომ არ შევცვლით... თავს იმართლებს ქალბატონი ვარდიშა.

— ჰო, და, ასე რომ იცით, არ არის კარგი. წარმოდგენილი მაქვს, ქორწილი როგორი გექნებათ!

— ო, ო... ქორწილი ძალიან კარგი ვიცით, მართლა კარგი. 400—500-კაციანი ქორწილები სულ ხშირია. ზოგჯერ მეტ ხალხსაც პატიჟებენ.

— სად უნდა დასვათ ამდენი ხალხი!

— „სეფას“ გამართვა ვიცით.

„სეფა“ ბრეზენტის უზარმაზარი კარავია. თუ ამინდი ცუდია, მაშინ, მთლიანად, კალთებიანად გაშლიან. თუ კარგი ამინდია, კალთები აკეცილი აქვს და მხოლოდ საჩრდილობლადაა ზემოდან გადახურული. ზოგჯერ, სეფას შიგნიდან წითელ ხავერდს გამოაკრავენ. ეს ვინც უფრო მდიდარია. ადრე „სეფას“ საყოფაცხოვრებო მომსახურების ბიუროში შოულობდნენ, ზუგდიდშია ასეთი ბიურო. მერე, ამ დიდი ქორწილებისა და ქელეხების კრიტიკა რომ დაიწყეს, „სეფას“ გაქირავებაც შეწყდა. მაგრამ, ახლა კერძოდ შოულობენ და ძალიან ძვირი გვიჯდება. ფულის გამო უარს ხომ არ ვიტყვით ხალხის დაპატიჟებაზე!

— მერედა, კარგია ამდენი ხალხის მოწვევა?

— კარგია, აბა რა! ოჯახის ახალი წევრი და მისი ნათესაობა ხომ უნდა გააცნო ნაცნობ-მეგობრებს, ეს აუცილებელია. რადგან აუცილებელია, ჯობია ერთბაშად მოიხადო ვალი ყველას წინაშე. თანაც, გული აღარავის დასწყდება...

— მერედა, ხერხდება ერთ დღეში, ერთ სუფრაზე ამდენმა კაცმა ნორმალურად მოილხინოს და ქალ-ვაჟის ნათესავებმაც ერთმანეთი გაიცნონ?

— როგორ არ ხერხდება — გვარწმუნებს ქალბატონი ვარდიშა.

— აბა, როგორ ხერხდება! — უკმაყოფილოდ ეკამათება მეუღლეს ბატონი შალვა — ოტიას ქორწილი რომ გვქონდა, ვერც კი გავიგე, ვინ მოვიდა ქორწილში და ვინ არა; ნათესავები მერე მეკითხებოდნენ ესა და ეს კაცი თუ იყოო. მე დაპატიჟებული კი მყავდა, მაგრამ, მოვიდა თუ არა, აღარ ვიცოდი — დასძენს ოჯახის უფროსი.

— სმაში შეჯიბრი თუ იცით?

— როგორ არა, ან სიკვდილი, ან სიცოცხლე! — ეცინება ქალბატონ ვარდიშას — ზოგჯერ ჩხუბიც იციან. თამადად კარგ მსმელ კაცს შეარჩევენ. ამასთან, კარგი მოლაპარაკეც უნდა იყოს. ჰო, მიკროფონებიც ვიცით. აბა ისე თამადის ლაპარაკს ამხელა სუფრაზე, ვინ გაიგებს.

— ბარემ გვიამბეთ, როგორ იწყება ქორწილი?

— გარიგება თუ იციან, ქალის გარიგება?

— უწინ სულ გარიგებით არ ხდებოდა ქორწილები? ახლაც იციან, ალბათ, იშვიათად, მაგრამ მე არ ვიცი ასეთი შემთხვევა. ადრე, მაჰანკალს თან მზითევის სიაც მიჰქონდა ვაჟის მშობლებთან მოლაპარაკებისას. ახლა, თუ ქალ-ვაჟს ერთმანეთი უყვართ, ვაჟს შიჰყავს ქალი თავისი ნათესავის ოჯახში. ვაჟის მშობლები იმ ოჯახში წაუღებენ ნიშანს და ქალის ოჯახსაც კაცებს გაუგზავნიან ქორწილზე შესათანხმებლად.

ქორწილი ვაჟის ოჯახში იმართება. ვაჟის მაყრებს ნეფე-დედოფალი იმ ოჯახიდან მოჰყავთ, სადაც იყვნენ თავშეფარებულები. მოყავთ საღამოთი, და მერე მთელი ღამე ქეიფობენ. ქალის ოჯახშიც იკრიბებიან სტუმრები და საღამოსათვის იქედანაც მოდიან ვაჟთან 100 კაცამდე. ამ დროისათვის ქალის მზითევი უკვე გამოგზავნილია. მზითევზე წინასწარ არ ლაპარაკობენ, მაგრამ აუცილებელია „სპალნა“ და სხვა რამეებიც. თუ ფულიანი ქალი მოყავთ — ფული აქვთ გამოგზავნილი. უმზითვო ქალი ძალიან იშვიათია, თავისი დასაწოლი „სპალნა“ მაინც ექნება, თუ სხვა არაფერი.

ქორწილის დროს მუსიკოსებს უსათუოდ ქირაობენ. ჩვენ, მაგალითად, ოტიას ქორწილში რესპუბლიკის ერთ-ერთი ცნობილი ანსამბლი გვყავდა დაქირავებული. ჯერ არავის არ ჰყოლია ისინი, მარტო ჩვენ გვყავდა. ზოგჯერ მარტო დოლ-გარმონს ქირაობენ.

— ხო, მართლა! ჭიათურის სოფლებში სცოდნიათ: ქორწილში დაქირავებულ მუსიკოსებს სტუმარი უგზავნის ფულს და სიმღერასაც უკვეთავს. თუ მუსიკოსებს შეკვეთის შესრულება არ შეუძლიათ, იმ ფულს ერთი იმდენი უნდა დაუმატონ და პატრონს დაუბრუნონ. დამკვრელები, ზარალი რომ არ მოუვიდეთ, ხშირად არ ამხელენ თავიანთ უცოდინარობას, და რაღაცას მაინც „მოაცოდვილებენ“.

დამკვეთს არ მოსწონს და იწყება ერთი გაწევ-გამოწევა... თქვენთან თუ იციან ასეთი რამ?

— არა. ასეთი რამ აქ არ იციან. მუსიკოსებს სუფრაზე ფულს ვერავინ აჩუქებს.

— ახალ დაქორწინებულებისათვის თუ იციან საჩუქრები?

— საჩუქრები ადრე იცოდნენ. ახლა ფულის ჩუქება იციან. ჯველაზე მცირე თანხაა 20—30 მანეთი. ხშირად 40—50 მანეთი მოაქვთ, ახლობლებს კი უფრო მეტიც. ოჯახის რომელიმე ნათესავს ავალებენ ნაჩუქარი ფულის აკრებას და ჩაწერას.

საქმელებიდან ყველაფერი იციან, რისი შექმაც კი შეიძლება. ცდილობენ ისეთი რამეები მოიგონონ, რაც უცხო იქნება საქორწილო სუფრისათვის. მაგალითად, ჩვენ, ოტიას ქორწილზე „ვარენიკებიც“ გვქონდა, მაწონიც...

— როგორ“ 500 კაციან ქორწილში მაწონი?

— აბა რა! ხორცი ახლა ვიღას უკვირს! თანაც, მაწონი ძნელი გასამზადებელი რომაა, იმიტომ არის კარგი!

— გასვენებებშიც ბევრი ხალხის დაპატიჟება იცით?

— დიახ. თუ ცნობილი კაცი გარდაიცვალა, ანდა ვინმე, ახლობელი ჰყავს დიდი კაცი, მის გასვენებას 2000 კაცზე მეტი ესწრება; ნაკლებად ცნობილი პირის გასვენებაში 1000 კაცზე ნაკლები მაინც არ შეიკრიბება.

ქალბატონი ვარდიშა გვიამბობს, რომ ამდენი ხალხის გამასპინძლებას დიდი სამზადისი სჭირდება. ამიტომ, აქ მიცვალებულს მერვე დღეს ასაფლავებენ. მიცვალებულის ამდენ ხანს „შენახვას“ აქაურები გარდაცვლილის მიმართ სიყვარულით ხსნიან. „თუ უფრო ადრე დაასაფლავებენ, ხალხი იტყვის, ალბათ არ ჰყვარებიათ და თავიდან მოიცილესო“. მახლობლის გარდაცვალებას რაიონულ გაზეთში აცხადებენ. ხშირად რესპუბლიკურშიც. ბოლო პერიოდამდე გაზეთში გამოცხადება იმდენად მოდად იყო ქცეული, რომ დაზარალებულ ოჯახებს შორის იმართებოდა ერთგვარი „შეჯიბრი“*, თუ რომელ ოჯახს მეტი „ოფიციალური“ თანამგრძნობი აღმოაჩნდებოდა.

გასვენების დღეს, დაზარალებული ოჯახისათვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად, სტუმრები მოსვლას იწყებენ დილის 10—11 საათიდან და პურმარილიც ამ დროიდან იწყება, რადგან ხალხი ბლომად იყრის თავს და შეუძლებელია ამდენი ადამიანის ერთდროულად დაპურება. სუფრაზე ძირითადად სამარხვო საქმელებია. საღამოს

---

* ამჟამად ასეთი „შეჯიბრი“ აკრძალულია. ერთ გარდაცვლილზე მხოლოდ ერთი განცხადების გამოქვეყნება არის ნებადართული—რედ.

5—7 საათისათვის ყველამ უნდა მოასწროს სადილი. ამის შემდეგ მიჰყავთ მიცვალებული სასაფლაოზე.

თუ ძალიან მოხუცებული გარდაიცვალა, ან დიდი ხნის ავადმყოფი, შეკრებით მაინც ბევრი ხალხი ‘იკრიბება, მაგრამ სტუმრები თავს ნებას აძლევენ ქელეხში ზომაზე მეტი დალიონ და ზოგჯერ „მიცვალებულის წამღებიც არავინაო“. ბოლო პერიოდში დაიწყეს ასეთი ქელეხების გაკრიტიკება, მაგრამ მათი გაუქმება ხომ არ შეიძლება და სტუმარს ვერ დაუშლი დალევას? — ფიქრობენ აქაური მცხოვრებლები.

გარდაცვლილის ოჯახს ეხმარებიან ნათესავები, მეგობრები და სოფლის მცხოვრებლები. დახმარებას აქ „გადაბურვას“ ეძახიან. ნათესავებს მოაქვთ 20—30 მანეთი, ახლო ნათესავებს — გაცილებით მეტი, ხოლო მეზობლები 10 მანეთზე ნაკლებს არ მოიტანენ.

ხშირია შემთხვევები, როცა ოჯახი ასეთი „გადაბურვით“ აგროვებს 4000—6000 მანეთს და ზოგჯერ მეტსაც. ეს დახმარება იწერება რვეულში და ოჯახის ვალად ითვლება. გასვენებიდან მეორე-მესამე დღეს ოჯახი აკეთებს სპეციალურ სადილს და გადის საფლავზე, ხოლო მეორმოცე დღეს მიცვალებულის პატივსაცემად ამზადებენ პურ-მარილს 100 კაცზე მაინც. წლის თავზე კი 200-ამდე სტუმარს პატიჟებენ.

გლოვას შემდეგნაირად გამოხატავენ: გასვენების დღისათვის ოთახს რთავენ შავი ხავერდით. ადრე ამ შავ ხავერდს აქირავებდა საყოფაცხორებო მომსახურების ბიურო. ამ ბოლო პერიოდში ამასაც კერძო პირისაგან ქირაობენ, და ხალხს უფრო ძვირი უჯდება.

ქვრივი ქალი იცვამს ტილოს ნაჭრებით შებლანდულ კაბას, რომელსაც ბოლოები ჩამოძენძილი აქვს; თავიც მთლად შავად აქვს შებურული. „ორმოცამდე“ მამაკაცები წვერს ატარებენ და მკერდით შავარშია შემოვლებულ სურათს. თუ გარდაიცვალა შვილი — მამას აცვია ტილოს ბოლოებჩამოძენძილი პერანგი.

ასეთი ჩაცმულობით, მეორმოცე დღეზე გარდაცვლილის მახლობლები ტირილით მიდიან საფლავზე. ამ პროცესიის წინ მიაქვთ მიცვალებულის დიდი სურათი.

მეგრული დასაფლავების ჩვეულებები უწინ რამდენადმე განსხვავებული ყოფილა. როგორც პროფ. სერგი მაკალათიას შრომებში ვკითხულობთ, ძველად თურმე მომაკვდავს ხელში ანთებულ სანთელს აძლევდნენ და კარ-ფანჯრებს გააღებდნენ, რომ გზა მიეცათ მიცვალებულის სულისათვის.

გლოვას ჭირისუფალი საშინელი კივილით გამოხატავდა. ამით სოფლელები შეიტყობდნენ უბედურების ამბავს. იმავე დღეს ნათე-

სავებში კაცს გზავნიდნენ ამბის შესატყობინებლად. მას ზურგზე ტომარა ეკიდა და ვის ოჯახშიც ამბავს მიიტანდა, იქიდან ერთ ჯამ ლობიოს წამოიღებდა.

მიცვალებულს მესამე ან მეორე დღეს ასაფლავებდნენ. ტირილის დღეს მოიწვევდნენ მოზარეებს 4—5 კაცის შემადგენლობით. „ერთი დამწყები, მეორე — წვრილი, დანარჩენი კი მებანეებიო“ — წერს ს. მაკალათია. ეზოში შავად შემოსილი ცხენი იდგა გარდაცვალებულის უნაგირით. ქელეხი სამარხვო საჭმელით იცოდნენ. ნასუფრალს კი პარკში ახვევდნენ და სტუმრებს შინ მიჰქონდათო.

ქელეხის შემდეგ იმართებოდა მიცვალებულის დატირება. თუ მოტირალი ქელეხის დროს მოვიდოდა, იცდიდა პურობის დამთავრებამდე, შემდეგ კი ასტეხდა კივილს.

დატირებას თავისი რიგი ჰქონია: ჯერ დედას ატირებდნენ, მერე ცოლს, მერე დას, მერე მოკეთეებს და ა. შ. ხშირად ქალს 6—7 მამაკაცი ძლივს აკავებდა, იგი სახეს იკაწრავდა, სისხლს იდენდა, ხელში ბღუჯად ეჭირა დაგლეჯილი თმები... ასეთი დატირება ხალხსაც ატირებდა და თავმოსაწონადაც ითვლებოდაო.

სულ ძველად კი მამაკაცები წელს ზემოთ იხდიდნენ და დატირებისას მათრახს იცემდნენ შიშველ სხეულზე. მოდიოდნენ ფეხშიშველა, და ა. შ.

გამოსვენებისას კუბოს სამჯერ მიარტყამდნენ კარებს და სახლს გამოგვიდნენ, ეს იყოს ოჯახის უკანასკნელი მწუხარებაო.

საფლავზე წასვენებისას სცოდნიათ ეზოში ხის ამოთხრა. ხეს სამჯერ შემოატარებდნენ კუბოს, შემდეგ ამ ხეს საფლავზე რგავდნენ. მაშინ კუბო არ სცოდნიათ. მიცვალებულს სუდარაში ახვევდნენ და საკაცით წაასვენებდნენ. როცა სამარეში ჩაასვენებდნენ, ყველა თითო მუჭა მიწას მიაყრიდა. მამაკაცები წლამდე თმა-წვერს არ იპარსავდნენ; მგლოვიარე დედა და ცოლი წლამდე შავ ძაძებში, ნახევრად მშიერი და ფეხშიშველა დადიოდნენ. წლამდე ყოველ შაბათს მიცვალებულის ტანსაცმელს დაიტირებდნენ.

მიცვალებულის ცხენს განსაკუთრებულად უვლიდნენ. ყოველ 25 დღეში გამოულოცავდნენ, რომ ავად არ გამხდარიყო.

იცოდნენ „ორმოცის“, ხოლო წლის თავზე დიდი ქელეხის გამართვა. ამ დღეს მიცვალებულის ტანსაცმელს ჩალით გატენიდნენ და როგორც ცოცხალ ადამიანს, ტახტზე დასვამდნენ, ჭირისუფლები კი ტიროდნენ.

განსაკუთრებული წესით ამზადებდნენ „კილანტარს“ (ცელაპტარი) და ეზოში დგამდნენ. ახლობლებს (გამზრდელს) მოჰყავდათ შავად შემოსილი ბუღები, რომლებსაც რქებზე ანთებული სანთლე-

ბი ეკეთათ და კისერზე წაბლის აცმა. ზოგჯერ ასეთი შავით მოსილი ხარი ორმოცამდე შეგროვდებოდა. შემდეგ ამ ხარებს დაჰკლავდნენ და ხალხს უმასპინძლდებოდნენ.

წლის თავზე სცოდნიათ დოღის გამართვაც. დოღში ყველა მსურველს შეეძლო მონაწილეობის მიღება, ხოლო გამარჯვებულები საჩუქრებს ღებულობდნენ: პირველი საჩუქარი, რომელსაც პირველი ცხენოსანი ღებულობდა, იყო 100 მანეთამდე (ოქროთი).

შემდეგ იმართებოდა ყაბახი (თოფის ნიშანში სრიალის თავისებური რიტუალი). გამარჯვებული აქაც საჩუქარს ღებულობდა.

საღამოთი, მიცვალებულის ახლობელი მის შავად მოსილ ცხენზე შეჯდებოდა; სხვები გამოედევნებოდნენ და ცდილობდნენ, შავები ჩამოეხიათ მისთვის. ამ დღეს ჭირისუფლები სამგლოვიაროდ დაყენებულ თმა-წვერს იპარსავდნენ. ზოგჯერ თმას შეაჭრეევინებდნენ იმას, ვისი დაახლოებაც ჭირისუფალს სურდა. და მართლაც, ამ დღის შემდეგ იგი ოჯახში „მიცვალებულის მაგიერად" ითვლებოდა.

წყალში დამხრჩვალი ადამიანის „სულის მოსაყვანად" უბედური შემთხვევის ადგილზე ჩონგურს დაუკრავდნენ. წყალში ციკანს ჩაახრჩობდნენ და ანგელოზებს შესთხოვდნენ, ციკნის სული მიეღოთ მიცვალებულის სულის სანაცვლოდ.

— მიცვალებულის „სულის წაყვანასთან" დაკავშირებით, სამეგრელოს ზოგიერთ სოფელში დღესაც შემორჩენილა ცრურწმენები: უბედურების ადგილიდან მიცვალებულის სახლამდე გააბამენ ძაფს. თუ ეს ადგილი სახლიდან შორსაა, მაშინ რამდენიმე „კოჭა" ძაფს გადაბამენ ერთმანეთზე და ასე „მოჰყავთ სული" სახლამდე.

— სჯერათ, მერე, „სულების წაყვანის" ამბავი?

— კი არ სჯერათ, მაგრამ, ასეთი ჩვეულებაა და ჩვენ რას ვიზამთ. გვითხრა ერთმა წალენჯიხელმა.

სანამ ჩვენ ტრადიციებზე ვსაუბრობდით, მიშამ მანქანა მდინარეზე წაიყვანა გასარეცხად. ახლა ეზოში, თეთრი ფარდების ფრიალით, ჩვენი ცისფერი ავტობუსი შემოსრიალდა. „ეკიპაჟი" კვლავ სუფთად ბრწყინავს: მანქანაში დარეცხილ-დაუთოვებული ტანსაცმელი და სხვა ნივთებია მოთავსებული და ისევ მზად ვართ გასამზავრებლად. ახლა გეგმაში გვაქვს— ანაკლიას ვეწვიოთ. აქედან დაიწყება ჩვენი მოგზაურობის ახალი მიმართულება ზღვის სანაპიროზე...

სამეგრელოში აღარ მოხერხდა ჩვენი „ინკოგნიტოდ" მოგზაურობა; ზუგდიდში ბატონი გელა თავის მეგობარს შეხვდა და ამ შეხვედრამ სასიამოვნო ცვლილება შეიტანა ჩვენს გეგმაში:

დადიანების ცნობილი სასახლის დათვალიერებისა და ბაღის ხეივნებში ხეტიალის შემდეგ ქალაქგარეთ, „ფაცხაში“ ამოვყავით თავი.

ფაცხის ეზოში... უფრო სწორად, რესტორნის ეზოში ჩადგმული მეგრული ფაცხას გვერდით საკმაოდ ვრცელი აუზი აკრავს. აუზი გამდინარე, ცივი წყლით მარაგდება და შიგ თევზები ჰყავთ გაშვებული.

გაჩაღდა თევზაობა. ჯერ ბადით სცადეს თევზის დაჭერა. მერე. მებადურმა თავი იმართლა — სიცივეა და თევზი ჯილეებში იქნება შემძვრალიო. ჩადგა წყალში და ხელით საკმაოდ მოზრდილი, გოჭებივით მსუქანი და შხვართალა თევზები ამოჰყარა ნაპირზე.

ფაცხაში შუა ცეცხლი ანთია. ჯაჭვზე დაკიდულ ქვაბში ღომი იხარშება; ნაღვერდალში ჩადგმულ ქოთანში ლობიო თუხთუხებს და გამჭვარტლულ ჭერში დაკიდული სულგუნები სავსე მთვარესავით ყვითლად ბრდღვიალებენ.

სუფრა ალუბლის ჩრდილში გაიშალა.

ერთ-ერთი მასპინძელი, პატივცემული მიტო, ცდილობს ღირსეული თამადობა გასწიოს. პატრიოტულ სადღეგრძელოებს დიდი პათოსით წარმოსთქვამს და ჩვენგანაც იგივეს მოითხოვს.

ჩვენი მეთაური თავაზიანად ცდილობს მასპინძლის „იერიშების“ მოგერიებას. ბოლოს, კონფლიქტი კულმინაციას აღწევს:

— ღვინოს ნუ დაგვაძალებთ! რაც საჭირო და სასურველია, ჩვენ თვითონ დავლევთ.

— რაო? სტუმრები ღვინოს არ სვამთ და ნუ დაგაძალებთ? ეს სადაური წესია? თუკი მე თქვენი მასპინძლობა მახარებს და ვსვამ, თქვენ რატომღა არ უნდა დალიოთ?

— თუ არ გინდათ, ნურც თქვენ დალევთ — მშვიდად აცხადებს ჩვენი მეთაური.

— ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ საკუთარ თავს სცემთ პატივს და მასპინძელი და მისი ტრადიცია არაფრად მიგაჩნიათ.

— ტრადიცია, ჩემო მიტო, ადამიანის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს და არა მის დახრჩობას. თქვენ რა სიძმოვნებას ნახავთ, ჩემმა ბიჭებმა რომ გზა ვეღარ გაიგნონ და ხრამში გადაიჩეხონ! ან, აგერ, დათოს კუჭის წყლული აქვს... მე ხომ ვიცი, რომ თქვენც შეწუხდებით, ის რომ ცუდად გახდეს!

— მოვუვლით, ვუმკურნალებთ! ზუგდიდში კარგი ექიმები გვყვანან! ...მაგრამ არაფერიც არ სტკივა, კაცი ვეფხვივით გამოიყურება! აბა მარტო მე დავითვრე? მერე, ფხიზელი და მთვრალი კაცი როგორ გავუგებთ ერთმანეთს?

— ჩემო მიტო, ჩვენი მიზანი ახლა ღვინის სმა და დათრობა არ არის. რაც შეეხება ტრადიციებს, ეს ტრადიცია კი არა, მისი დამახინჯებაა. თქვენ ხალხის ხელმძღვანელ ფენას ეკუთვნით და უნდა ებრძოლოთ ასეთ დამახინჯებას.

—კაცი ღვინოს ვერა სვამს და ძალით ასმევ! ეს ველურობაა და უნდა გადავეჩვიოთ.

— მაპატიეთ, მაგრამ, პირველად მესმის, რომ სტუმართმოყვარეობას ველურობას უწოდებდნენ!

— დამიჯერეთ, მიტო, კაცის დახრჩობა სტუმართმოყვარეობა არ არის, პირიქით, დაძალება მის უპატივცემულობას ნიშნავს!

— როგორ შეიძლება დაძალება. ვისაც როგორ სურს, ისე ისიამოვნოს! — კამათში ერევა პატივცემული ამირან შეროზია და დავა ჩვენს სასარგებლოდ მთავრდება.

მიტო აღარაფერს ამბობს, მაგრამ ეტყობა ხასიათი გაუფუჭდა და ცდილობს, დაუცლელ ჭიქებს თვალი აარიდოს.

ბოლოს, ყველაფერი კარგად მოგვარდა. უფროსი მეგობრების მოგონებებმა მათთან ერთად ჩვენც გაგვამხიარულა. ამასობაში ზოგიერთი ცნობაც დავაზუსტეთ აქაური ტრადიციების შესახებ და ანაკლიისაკენ მივეშურებით.

ანაკლიაში ბანაკისათვის ავირჩიეთ მავთულის ბადით შემოღობილი მინდორი ზღვის პირას.

ენგური ზღვას აქ უერთდება, ჩვენი დაბანაკების ადგილიდან ერთ კილომეტრში; წყალხუვ მდინარეს მთლად გაუჭუჭყიანებია აქაურობა. ზღვის შავი, ქვიშიანი ნაპირი სავსეა სხვადასხვა ზომის ხეებით, ნაფოტებით, ხავსებით, ფიცრებით, ჩვრებით, დამხრჩვალი ცხოველებით. კარგ ამინდში ზღვა აქაც სარკესავით ლაპლაპებს, სუფთაა და მშვიდი, მაგრამ დღეს ახალი ნაწვიმარია და ზღვის წყალიც მღვრიეა და ტალახიანი. აქაურები ამბობენ, ენგურს კალაპოტი უნდა შეუცვალონო. მაშინ, ალბათ, წყალი ყოველთვის სუფთა და სასიამოვნო იქნება.

მოსვლისთანავე ჩვენი ყურადღება არაჩვეულებრივმა პროცესიამ მიიპყრო, ჩვენს მეზობლად პანსიონატის პლაჟზე რომ მიემართება. სასწრაფოდ ვანებებთ თავს დაბანაკების სამზადისს და მეზობელ ეზოში გავრბივართ.

პატარა ბავშვებით გარშემორტყმული, შავებში ჩაცმული ოცამდე ქალი და კაცი თავში ხელის ცემითა და ტირილით უახლოვდება ზღვის ნაპირს. წინ ახალგაზრდა ვაჟის სურათი მიაქვთ. ზღვის

ნაპირზე შავებში ჩაცმულმა ქალებმა სახელდახელო სუფრა გაშალეს. ზედ პური და სხვადასხვა ზომის პატარა ნამცხვრები დაალაგეს და გულსაკლავად აქვითინდნენ. ბავშვებისაგან ვგებულობთ, რომ ორმოცი დღის წინ აქ ახალგაზრდა ვაჟი დამხრჩვალა. წყალში ორნი შესულან, ნასვამები. უკან მხოლოდ ერთი დაბრუნებულა. გვამი კი დღემდე ვერ უპოვნიათ. ეს ახალგაზრდა ქალი, გულსაკლავად რომ მოსთქვამს, დამხრჩვალი ვაჟის ცოლი ყოფილა. ხანში შესული, გაუპარსავი მამაკაცი, საბრალობლად რომ მოხრილა წელში და ზღვას ცრემლიანი თვალებით გასცქერის — დაღუპულის მამა, იგი მჯიღს იცემს მკერდში და რაღაცას თავისთვის ბუტბუტებს. ჭირისუფლებს შავი, ბოლოებჩამოძენძილი ტანისამოსი აცვიათ. ბოლოს, ისინი შესანდობარს სვამენ, ნამცხვარს არიგებენ და ჩვენც, შეწუხებულები ვტოვებთ პროცესიას და ბანაკში უხასიათოდ ვბრუნდებით.

მალე პლაჟი შავად ჩაცმული ადამიანების ნაცვლად ქვიშაში მოთამაშე, მზეზე გარუჯული ბავშვებით აივსო. ეს პანსიონატი ურალის ქაღალდის კომბინატის მუშებისა და მათი ოჯახებისათვის არის განკუთვნილი. ურალელი ბავშვები დღევანდელ სიცივეს აინუნშიც არ აგდებენ. ისინი ტიტლიკანა დარბიან, ჭყივიან, თამაშობენ, თუმცა, სიცივის გამო, წყალში შესვლას მაინც ვერ ბედავენ.

ჩვენმა „ოქტომბრელმა“ მასპინძელმა აქაც არ დაგვივიწყა: ოტიას აუკრეფია, რაც კი რამ სანოვაგე უპოვია სახლში, მანქანაში ჩაუყრია და მოგვიტანა. ახლა ჩვენს მინდორს გაოცებული ათვალიერებს — აქ უნდა გაათიოთ ღამე? კი მაგრამ, რა გაგვიჭირდა ამის ფასი?

ძლივს ვარწმუნებთ, რომ ეს კარვები გასაჭირს სრულებითაც არ ნიშნავს ჩვენთვის.

ოტიამ სხვა პურ-მარილთან ერთად ორი ყვინჩილაც მოგვიყვანა. არ ვიცი, რას ფიქრობდა, როცა ეს წიწილები მოჰყავდა, მაგრამ ახლა, ამ გაცხოველებულ ფუსფუსში, წიწილების დევნამ დიდი ჟივილ-ხივილი და არეულობა შემოიტანა. ერთი ყვინჩილა მაინც გაგვექცა. ერთს კი ფეხზე მოგრძო ზონარი შევაბით და იქვე მოვნათლეთ. ჩვენმა მეთაურმა მას „ოტია“ უწოდა. ძველ ოტიას უხარია თანამოსახელის შეძენა და ჩვენი „გულისხმიერებით“ წაქეზებული სახლში მიდის ახალი „ნადავლის“ ჩამოსატანად.

სწრაფად გამოვნახეთ საერთო თვისებები ორივე ოტიას შორის და ჩვენი მეტისმეტად დამფრთხალი ახალი წევრი ღამის გასათევად მიშას შევუსვით ავტობუსში.

დღეს ბანაობა არ შეიძლება, მაგრამ იხტიბარს არ ვიტეხთ, ოპტიმისტურად ვართ განწყობილები: ხვალ ალბათ ამინდი გამოკეთდება, მზე ამოვა, ზღვაში ბანაობასაც შევძლებთ და კიდევაც დავისვენებთ ამდენი ხეტიალის შემდეგ.

დავბანაკდით. „ჩვენი" ეზოდან გავყარეთ უშველებელი, ცხვირწაგრძელებული ღორები. მაგრად ჩავკეტეთ ჭიშკარი; დავწვით ძეძვები, უწესრიგოდ რომ იყო მიმოფანტული და დავმარხეთ დამხრჩვალი ბაღლი; სწრაფად მოვძებნეთ ერთ-ერთ ზურგჩანთაში წითელი მაისური და მაგულიმ მისგან ოთხი მშვენიერი დროშა გამოჭრა. თითო მათგანი კარვებს დავაბნიეთ თავზე. მეოთხე, ყველაზე მოზრდილი კი საზეიმოდ აღვმართეთ სახელდახელოდ გამართულ ანძაზე. მთელმა ამ ცერემონიალმა საზეიმო და სახალისო ელფერი მისცა ჩვენს დღევანდელ საქმიანობას. ამ „საქმიანობაში" სიამოვნებით მონაწილეობს ჩვენი თოფიანი და სომბრეროიანი ხელმძღვანელიც და ეს აორმაგებს ჩვენს სიხარულს.

მოგზაურობის იდეის გაჩენისთანავე თბილისში გასაბერი ნავი ვიყიდეთ. და აი, ახლა, ჩვენმა ბიჭებმა ნავი გაბერეს, გაბედულად შეაცურეს მღვრიე ტალღებში და ნიჩბები მოუსვეს. რამდენჯერმე გასცურეს ნაპირის გასწვრივ და მალე ტალღებზე თავგამოდებული რწევის მერე ისევ ნაპირზე ამოათრიეს.

ჩვენს მენავეებს დღეს დიდი წარმატებები არ მოუპოვებიათ, მაგრამ მაინც გახარებული არიან — როცა კარგი ამინდი იქნება, ამ ნავით კუნძულზე გადასვლა შეიძლება, იქ ზღვა სუფთაა, პლაჟიც საუცხოოა და თოლიების გუნდიც სწორედ იქ იყრისო თავს.

ხვალისათვის ზღაპრული კუნძული გველოდება.

ჩვენი მენავეები ჯერ ისევ ცურვის შთაბეჭდილებებზე გვესაუბრებიან, რომ ჩაკეტილ ჭიშკარს ბრეზენტით გადახურული მანქანა მოადგა. მანქანიდან რამდენიმე მილიციელი გადმოვიდა. მათ გულდასმით გაგვისინჯეს საბუთები და ჩვენი ნავი უბოდიშოდ წამოიკიდეს ზურგზე.

მიშას არა ერთგზის გამოუცდია, რა მაგიური ძალით მოქმედებს ასეთ შემთხვევებში ჩვენი მეთაურის სახელი და გვარი და ახლაც ამ გზით ცდილობს შელახული თავმოყვარეობის აღდგენას.

მილიციელს წარბიც არ შეუხრია, ისე მოისმინა მიშას განცხადება, რაღაც კანონი ახსენა და შუბლშეკრულმა ჯიქურ გაარღვია ბიჭების ალყა. ჩვენი მეთაური ცდილობს გამართლება მოუძებნოს მოსულთა ქცევას, რადგან, რა თქმა უნდა, მილიციელებს ევალებათ ყოველი უცხო ჯგუფის ვინაობის დადგენაც და, მით უმეტეს, სანაოსნო საშუალებათა აღრიცხვაც.

— ხომ შეიძლებოდა გავეფრთხილებინეთ, ნავი კი არ წაელოთ? — ბუზღუნებს მიშა.

— ის, რასაც შენ მათგან მოითხოვ, ზნეობრივი მოვალეობაა და ზნეობის მთელი ღირსება თუ ნაკლი ისაა, რომ მასზე კანონი არ იწერება. იმ კაცმა დაწერილი კანონი შეასრულა. რაც შეეხება ნავს. დარდი ნუ გაქვს, მალე დააბრუნებენ...

ამ მოულოდნელმა უნდობლობამ საოცრად გაგვიფუჭა ხასიათი.

საღამოს ვეებერთელა კოცონი ავაბრიალეთ.

მაგრამ ჩაკეტილმა ჭიშკარმა ვერც ღორებისაგან დაგვიფარა და „სტუმრებმაც“ აღარ მოგვასვენეს: სამჯერ მოადგა ჩვენს ბანაკს სხვადასხვა პირი — ეზოში ჩადგმულ ჰატარა ფარდულს მოგაქირავებთო.

ფარდულის გისოსებიანი, ჭუჭყიანი ფანჯრიდან ჩახერგილი, დამტვრეული სკამები და პლაჟის სხვა მოწყობილობები მოჩანს. პირველ და მეორე გამქირავებლებს თავაზიანად ვუთხარით უარი, მესამეს კი საკმაოდ მკვახედ მივახალეთ — რად გვინდა თქვენი ბინძური გომური-თქო. მან ირონიულად აგვხედ-დაგვხედა, მერე ჩვენს ცისფერ, კოხტა კარვებს შეავლო დაეჭვებული მზერა და ყოველი შემთხვევისათვის მისამართი დაგვიტოვა — თუ დაგჭირდეთ, მომაკითხეთო.

ისევ ჭრიალით გაიღო ჩვენი ჭიშკარი. დათომ ინსტინქტურად ჯოხს სტაცა ხელი, მაგრამ ღორის მაგივრად ბანცალით მომავალი კაცი რომ დაინახა, ის ჯოხი კოცონს შეუკეთა.

კაცს ღვინის სუნი ასდის; ცდილობს, თავი მკაცრად მოგვაჩვენოს.

— ვინა ხართ, ან აქ რას აკეთებთ? — შუბლშეკრულმა იკითხა და ჩვენს ჭიქებს იმედიანად გადახედა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე მევალება ყველა აქ მოსული შევამოწმო!

— ვისაც შემოწმება ევალება, უკვე „შეგვამოწმეს“, და იციან კიდეც ვინცა ვართ. თქვენ რა გნებავთ? — თავაზიანობს დათო.

— ააარაფერი, მე თქვენს სადღეგრძელოს დაველევ და წავალ — მოლბა თვითმარქვია „შემმოწმებელი“.

— ჩვენ მხოლოდ რძით შეგვიძლია გაგიმასპინძლდეთ. ღვინოს არ გეახლებით. ხომ არ ინებებთ? კამეჩის ცხელი რძე გესიამოვნებათ ალბათ!

რძის გაგონებაზე ჩვენს სტუმარს ზიზღით ემანჭება სახე.

— აბა, წავიდეთ! ჩემთან გპატიჟებთ! ღვინოც ბევრი მაქვს და არაყიც. სტუმრებს რძეს კი არ ვასმევთ, ქალაქელებივით!

მან ჯერ ბევრი გვაცინა, მერე კი თავი მოგვაბეზრა მეტისმეტი პატიჟით. ბოლოს ბიჭებმა ისიც გააცილეს და ისევ მაგრამ ჩაჰკეტეს ჭიშკარი.

თანდათან მატულობს სიცივე. ვსვამთ სქელ, ნოყიერ რძეს და კოცონს ვეფიცხებით.

— ბავშვობის შემდეგ აღარც გამისინჯავს ნამდვილი რძის გემო!

— მე კი, პირველად ვსვამ კამეჩის რძეს. კამეჩი კი, პირველად პლასტუნკაში ვნახე, შარშან.

— პლასტუნკა რა არის?

— პლასტუნკა არ იცი? ქართული სოფელია სოჭიდან თერთმეტ კილომეტრზე. სოფელში ორასამდე ქართველი ოჯახი ცხოვრობს, ძირითადად რაჭველები. აქვთ კოლმეურნეობა, სკოლა...

— იცით, რა მდინარეა პლასტუნკაში? ყინულივით ცივი.

— ვიცით. მდინარე „სოჩინკა“.

— მაშინ ვალერიმ იქ ჩხართვები მოკლა... ამ მოგზაურობაში რომ ვერაფერი მოვკალით? აფსუს, რა თოფი გვიცდება!

— ჯერ სადაა... მოგზაურობა აწი იწყება!

— ნადირობაზე გამახსენდა, მოხევემ რომ იძერელი სტუმარი წაიყვანა დათვზე სანადიროდ... იცით ეს ანეკდოტი?

14 ივლისი. ანაკლია—გეგეჭკორი:

შუაღამისას ძილნარევი საუბრებისა და სიცილის ხმამ გამომაღვიძა. კარვიდან თავი გამოვყავი და ვხედავ, წვიმასა და ქარს ჩვენი გოგოების კარავი მოუგლეჯია. ბიჭები კარავს ასწორებენ და უმოწყალოდ იწუწებიან. ჩაფუშულ კარავში გახვეული გოგოები კისკისებენ და ბიჭებს ხელს უშლიან მუშაობაში.

დიდხანს გრძელდება ბუტბუტი, ჩურჩული და ისევ სამარისებური სიჩუმე ეუფლება არემარეს.

სისხამ დილით ღორების გნიასმა გამომაღვიძა. მათ ჩვენ მიერ გადამალული ვახშმის ნარჩენები მიუგნიათ და ახლა, წვიმასა და ქარში, გაშმაგებული ახრიგინებენ რძის ბიდონს, ჩაიდანს, ქვაბებს და ჩვენს ჯამ-ჭურჭელს.

— ამ გასაწყვეტ ღორებს პატრონი არა ჰყავთ? რამ გამოაშვებინათ ასე დილაუთენია!

დიდხანს ვებრძვი მადააშლილ, თითქმის გაველურებულ ცხოველებს. ძლივს შევაგროვე დაფანტული, დაჭყლეტილი და გატალახიანებული ჭურჭელი. ნელნელა ყველა იღვიძებს და ჩემზე ეცინებათ, ღორებს რომ დავდევ.

— სასწრაფოდ ავიბარგოთ აქედან! სანამდე უნდა ვუცქიროთ ჭუჭყიან ზღვას, სიცივეს, ღორებსა და ლოთებს...

, ერთსულოვნად გამოგვაქვს გადაწყვეტილება და სახელდახელო საუზმის შემდეგ ბარგის ჩალაგებით ვართ გართულნი.

წუთით თოფის გრიალმა შესძრა ჩვენი ბანაკის მიდამოები. შევშინდით. როცა ბოლი გაიფანტა, ჩვენ მიერ სახელდახელოდ აღმართულ ანძასთან ბატონი გელა დავინახეთ თავისი განუყრელი სომბრეროთი და კვამლიანი თოფით ხელში. მარჯვენაში ნანადირევი უჭირავს და ჩვენკენ გამარჯვებულის ღიმილით იცქირება... ერთხელ მაინც ხომ უნდა გვენადირა! სწრაფად ამუშავდნენ აპარატები. ...ნანადირევი ქორი გამოდგა. საწყალი! ალბათ ფეხზე ზონარმობმული ოტიას წითელმა ბიბილომ მოხიბლა და შეიწირა კიდევაც.

მეგრულმა სტუმართმოყვარეობამ რაკი ერთხელ დაარღვია ჩვენ მიერ მთაში შემუშავებული დამოუკიდებლობის ტრადიცია და ბადაც გაგვიხსნა, ვეღარც ახლა ვამბობთ უარს და გზად თალესის მამიდასთან მივდივართ საუზმისათვის.

ჩვენი ავტობუსი ხრიგინით მიჰქრის სოფელ დარჩელისაკენ. შხაპუნა წვიმის ცელქი შხეფები ზოგჯერ ჩვენამდე აღწევენ და მანქანის ფანჯრებს ეხურავთ.

ავტობუსის ბოლო სკამზე „ტყვეობიდან დახსნილი" ჩვენი რეზინის ნავია გადაფენილი. ჯერ ვერ გავიგეთ, გაფუჭებულია, თუ განგებ დაუშვეს. გული კი გვწყდება, რომ ნავით სეირნობის გეგმა ასე სამარცხვინოდ ჩაგვეშალა.

სოფელ დარჩელში მ ა ქ ა ც ა რ ი ე ბ მ ა ენით უთქმელი სიხარულით მიგვიღეს. მალე ხეხილით დახუნძულ ეზოში, შხაპუნა წვიმის ქვეშ, სახეგაბადრული მასპინძლები წინ და უკან დარბიან.

— ჩვენ რომ სტუმართმოყვარეობის ტრადიციები აგვეღო შესასწავლად, გაცილებით უფრო საიმედო დაკვირვებას ვაწარმოებდით....

— მომავალი წლისათვის უსათუოდ გავითვალისწინოთ...

მალე ხაჭაპურებით, მეგრული ჭვიშტარითა და ელარჯით*, ღომში ჩაწყობილი შებოლილი სულგუნითა და წკირზე შემწვარი გოჭით დამშვენებული სუფრა გაიშალა.

სუფრაზე აღარ ეტევა მსხალი და ვაშლი, ჭყინტი სიმინდი, კვახი და ლეღვი; ბატონი გელა შეწუხებულია, მაგრამ ამჯერად თავს იკავებს საყვედურებისაგან; თალესის მამიდა, ქალბატონი მ ა რ უ ს ი ა ცრემლიანი თვალებით უცქერის დიდი ხნის უნახავ ძმისშვილს და აღარ იცის მადლობა რით გადაგვიხადოს სტუმრობისათვის.

სუფრას ადგილობრივი მცხოვრებლებიც შემოემატნენ და საუზმემ საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო. ვიღაცამ სცადა ღვინო დაეძალებინა სტუმრებისათვის, მაგრამ მასპინძელმა, ბატონმა ლ ე ო ნ ტ ი მ, მფარველობა გაგვიწია და სრული თავისუფლება მოგვცა. არც წასვლისას დაგვაყოვნა, თუმცა გულწრფელად დაინანა ჩვენთან განშორება.

ამან საბოლოოდ მოხიბლა ჩვენი მეთაური და დღევანდელი მასპინძლობა ფრიადზე შეაფასა.

მაქაცარიების სტუმრთმოყვარეობით მოხიბლულები ვაგრძელებთ გზას გეგეჭკორისაკენ. თუ შევძლებთ, ხვალ ცნობილი მაღალმთიანი აგარაკის — ლებარდეს მონახულება გვაქვს გეგმაში. თბილისში გვითხრეს, რომ ულამაზესი ადგილები ყოფილა ლებარდეში. მხოლოდ, გზებიაო ცუდი, ცხენებით თუ მოახერხებთო წასვლას. ჩვენ გვაშინებს და კიდეც გვხიბლავს ცხენებით მოგზაურობა, ოღონდ, როგორ ვიშოვნით მათ? ვინ გვათხოვებს ან ვინ მოგვაქირავებს? კიდევაც რომ ვიშოვნოთ, ყველა შევძლებთ ამხედრებას?

მიუხედავად ამისა, წინსვლის ძლიერი აზარტითა ვართ შეპყრობილი. ო, წინააღმდეგობათა დაძლევის ძლიერო ცდუნებავ! რა ხშირად მიდიან ადამიანები რისკზე, რათა შემდგომ, თუნდაც მხოლოდ საკუთარ თავს უთხრან, „მე შევძელი“, „მე შემიძლია!“... და

---

* ჭვიშტარი სიმინდის ფქვილისა და ყველისაგან მზადდება. ჯერ კარგად აზელენ ცომს და ყველს ერთმანეთში, მერე მჭადივით გამოაცხობენ. ნამცხვრის გემო ყველის ხარისხზეა დამოკიდებული. ელარჯიც ყველისა და ფქვილის ნაწარმია. ჩვეულებრივად მოხარშულ ღომში ორჯერ მეტ ყველს ჩააზელენ და დიდხანს ურევენ ხის ჩოგნით, სანამ მოთუხთუხე მასა წელადი არ გახდება.

ეს არცაა გასაკვირი, რადგან საკუთარი ძალისა და ღირსების შეგნება ისევე სჭირდება ადამიანს, როგორც წყალი და ჰაერი.

დღემდე მიღწეული წარმატებებით წათამამებულები, ვედრებით შეეყურებთ ჩვენს მეთაურს და ვშიშობთ — ვაი თუ არ დაგვეთანხმოს.

— მე მაქვს ცხენზე ჯდომის გამოცდილება; ერთხელ, ბახმაროში რომ ვისვენებდი...

— მერე, ცხენმა რომ გადმოგაგდო, აღარ გახსოვს?

— ტყუილი, პატივცემულო...

დათოს ხარხარზე ვედროში ჩასმული „ოტია" კრიახით წამოფრთქიალდა და დაფეთებული, პირდაპირ საჭეს ეცა. მიშა ცალი ხელით „ოტიას" იგერიებს, მეორეთი საჭეს მართავს და დათოს ძირს ჩასმით ემუქრება — „ოტიასაც" მოგაყოლებო...

გულგახეთქილ „ოტიას" კალთაში ვისვამ და ძლივს ვაწყნარებ. როგორც ვატყობთ, მას ძალიან აღიზიანებს ჩვენი მხიარულება და ყოველთვის მზად არის პროტესტისათვის.

მაგულიმ „ჯან-სულო" წამოიწყო და მთელი ავტობუსი აიყოლია.

მზე გადაიხარა, როცა გეგეჭკორს მივუახლოვდით. ჰორიზონტზე თანდათან ამოიზარდა ჩამავალი მზის სხივებით განათებული ტაძარი.

მდინარე ცხენისწყალსა და აბაშის შუა მდებარე გორაკზე მეშვიდე-მერვე საუკუნეებში აღმართული ეკლესია ყელმოღერილი გედივით გადმოსცქერის დაბლობში გაშენებულ ქალაქ გეგეჭკორს, ანუ ძველ მარტვილს. მარტვილის მონასტერი საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ტაძარია. ჩვენმა მეთაურმა დღევანდელ გეგმაში მონასტრის დათვალიერებაც შეიტანა.

დიდი მუხებით დაჩრდილულ გორაკზე „სამოთხის ნიავი" აბიბინებს მწვანე ბალახს. აქედან ხელისგულივით მოჩანს იმერეთისა და სამეგრელოს ლამაზი ველები. უფრო შორს კი სვანეთის მთები გახვეულან მტრედისფერ ნისლში.

„მარტვილი", როგორც ცნობილია, წარმოსდგება ბერძნული

სიტყვისაგან და ნიშნავს „წამებულს“. ძველად ამ ადგილებს „ჭყონ-დიდი, ანუ „დიდი მუხა“ რქმევია. ამ მონასტრის მღვდელ-მთავრებსაც ჭყონდიდლებს უწოდებდნენ.

ტაძრის კედლები მთლიანად ჩამორეცხილია. მხოლოდ თაღები და გუმბათებიღაა შემორჩენილი. დახუთული, მძიმე ჰაერი და აკლდამების სიმრავლე მიგვანიშნებს, რომ აქ მეგრელ თავადთა საძვლე ყოფილა გამართული. აქვეა „სამეგრელოს მთავრინას“ ეკატერინე დადიანის ნეშტიც.

დიდხანს ვერ ვუძლებთ საუკუნოვან ძვალთა მზერას და გარეთ მივიჩქარით თვალწარმტაცი ხედების საცქერლად.

გეგეჭკორში რაიონის მაშინდელი თავკაცის — ნ ო დ ა რ ჩ ხ ო ლ ა რ ი ა ს „ტყვეები“ აღმოვჩნდით. საღამოთი პატარა რესტორნის აივანზე ვუსხედვართ სუფრას; საოცარი გულმოდგინებით შემზადებულ კერძებს მივირთმევთ და არომატს ვუსინჯავთ სურნელოვან იზაბელას.

რესტორნის გვერდით მოზრდილი წყალვარდნილის ჩქაფანი ფანტაზიას გვიღიზიანებს. ბატონი ნოდარი გვიამბობს, რომ თავის დროზე ამ ადგილზე ჭყონდიდელების წისქვილი ყოფილა; ახლა კი ვაკაცის მტკაველისოდენა კალმახებს იჭერენ აქ. სწორედ ამ წყალვარდნილში დაჭერილ კალმახებს გვთავაზობენ ახლა რესტორნის მზარეულები.

მასპინძელს გულწრფელად ვუქებთ მარტვილის მონასტერს და გულისტკივილს გამოვთქვამთ, რომ ასე ცოტა რამ ვიცით ამ მშვენიერი ძეგლის შესახებ. მას სიამოვნებს სტუმრების აღტაცება და ცდილობს, სხვა საინტერესო ცნობებიც მოგვაწოდოს;

თავდაპირველად, როცა მეგრელები ჯერ კიდევ წარმართები ყოფილან, იმ გორაზე, დიდი მუხის, ანუ „დიდი ჭყონის“ ძირში ხდებოდა მსხვერპლშეწირვა. გადმოცემის მიხედვით, დედებს აქ მოჰყავდათ ჩვილი ბავშვები მსხვერპლად შესაწირავად.

ეზოში შესასვლელთან პატარა ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი. სწორედ იმ ადგილზე ახარეს თურმე დედას — „ანდრია მოციქულმა მეგრელნი მოაქციაო“, ე. ი. მეგრელების გაქრისტიანება. ამ ამბის აღსანიშნავად აუგიათ ის პატარა ეკლესია. შემდეგ კი, VII—VIII საუკუნეებში ის დიდი მუხა, სადაც სამსხვერპლო ყოფილა გამართული, მოუჭრიათ და მის ადგილზე ლამაზი ეკლესია აუგიათ. ქამთა სვლას ეკლესიის თავდაპირველი სახე ბევრად შეუცვლია.

გაწბილებულები დავრჩით, როცა გავიგეთ, რომ ჩვენი მანქანით თავისუფლად შეგვიძლია ლებარდეში ასვლა. მართალია,

გზის კეთილმოწყობა ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს მგზავრობას. ე. ი. ხვალ დილით, ჩვენი ავტობუსით ვესტუმრებით ლებარდეს. იქაურ წეს-ჩვეულებებსაც გავეცნობით და მეავე წყალსაც დავლევთ. დღეს კი მასპინძელი კლუბში გვპატიჟებს თბილისიდან ჩამოსული საოპერო დასის კონცერტზე.

15 ივლისი. ლებარდე:

ღამე გეგეჭკორის ნახევრად კეთილმოწყობილ სასტუმროში გავათიეთ.

ღრუბლიანი დილა გათენდა. ასეთ ამინდში მოგზაურობა ცუდი არაა — გვამხნევებს მასპინძელი და ლებარდისაკენ მიგვიძღვის.

მდინარე აბაშაზე გადებულ ხიდთან შეგვაჩერეს. ხიდის ქვეშ აბაშის ციცი, მომწვანო წყალი მორევს ქმნის. ამ მორევში ხიდზე გადამდგარი, ანკესიანი კაცები თევზებს იჭერენ. ბატონი ნოდარი დანანებით ჩასცქერის მომწვანო მორევს და გვიხსნის, რომ მზიან ამინდში ანკარა მდინარის მოკენწილ ფსკერზე მკლავის სიგრძე თევზები დასცურავენ. ანკესით სათევზაოდ უკეთეს ადგილს კაცი ვერ ინატრებს, რადგან მეთევზე კიდევაც უცქერის, თუ როგორ უახლოვდება ან სცილდება თევზი ანკესს. ამის გამო თევზაობის აზარტი ყოველთვის ძლიერიაო.

მე მაგონდება თბილისში, უნივერმაღ „ბავშვთა სამყაროს“ ვიტრინაში ჩადგმული მეთევზის ბუტაფორია და ვიტრინას შემოხვეული ქალაქელების დაინტერესებული სახეები, სპორტული აზარტით რომ შესცქერიან — მოედება თუ არა ავტომატური მეთევზის ანკესი მავთულით დაბმულ და თავისუფლად მოტივტივე „ოქროს თევზს“? მაგონებდა და ჩემთვის გასაგები ხდება ხიდზე გადამდგარი მეთევზეების გატაცება.

უკან მოვიტოვეთ სოფელი დიდი ჭყონი. ახლა ტეხურის ხეობას მივყვებით.

ხეობები ჩვენთვის ჩვეული გარემოცვა გახდა; ისევ გადმოვეკიდეთ ავტობუსის ფანჯრებიდან, ისევ ჩავცქერით ხევში აქაფებული ტეხურის თეთრ-მოცისფრო ტალღებს და ცამდე აზიდულ, ერთმანეთში ჩაგრეხილ მთებს.

დროდადრო ბატონი ნოდარი მიშას მანქანის გაჩერებას სთხოვს. ჩვენც ვჩერდებით და საცრისოდენა თვალებით მთის მწვერვალიდან დაქანებული ჩანჩქერის შხეფებს მოჯადოებული შევსცქერით.

ტეხურის ხეობამ ჩანჩქერების სიმრავლით გაგვაოცა. ისინი ხან ფართო, ხანაც ვიწრო ზოლებად ჩამოსდევენ მუქმწვანე ქათიბს.

ერთგან კი, ალბათ მთელი კილომეტრის სიმაღლიდან დაქანებულმა ჩანჩქერმა ჩვენი მთელი ფოტო და კინოლენტების მარაგი შეიწირა..

გზებზე მართლაც თავისუფლად დაჰქრიან საბარგო და მსუბუქი ავტომანქანები.

გზის რამდენიმე უბანზე გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. ქოთქოთებენ ტრაქტორები და ბულდოზერები; ფუტკრებივით ირევიან გზის მშენებლები... ზოგან ზვავად ჩამოდის თოვლის დნობისაგან დამბალი მიწა. ასუფთავებენ. ისევ ჩამოდის და ასე, გაუთავებლად. ჭირვეული და თავნება ბუნება ებრძვის ადამიანის ნებისყოფას. ცდილობს, დაუსხლტეს არტახებს, მაგრამ ადამიანი თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდის ამ უთანასწორო ბრძოლაში.

ლებარდე ბუმბერაზ მთებში მომწყვდეული, ბორცვებიანი ადგილია. კურორტის ხელისგულისოდენა ცენტრი სავსეა დამსვენებლებით. უთვალავი ხელდოქიანი ქალი და ბავშვი, მოხუცი და ახალგაზრდა ირევა წყაროსთან. ქვითკირის საცავიდან რკინის მილებით ცივი და საოცრად გემრიელი მჟავე წყალი გადმოსჩქეფს.

— რამდენი წყალი იღვრება. აფსუს! — სწუხს ჩვენი მეთაური და გამოუყენებელი წყლის დანაკარგს აუნაზღაურებელ ზარალად მიიჩნევს.

მასპინძლის თქმით, უახლოეს პერიოდში აქ განზრახულია ჩამომსხმელი ქარხნის აგება, რაც ამ დანაკარგს მინიმუმამდე დაიყვანს.

ამასობაში ჩვენმა ბიჭებმა ქუჩაში ჩადგმული ლატარიის ჯიხური „აღმოაჩინეს". თავდაუზოგავად ატრიალებენ სანიშნე სარტყელს. თითო დატრიალებაში 50 კაპიკს იხდიან და 10-კაპიკიანი საჩუქრებით გახარებულები გოგოებს უხვად გვაჯილდოებენ.

არ ვიცი, ლატარიის გამგემ როგორ ააწყო ასე ეშმაკურად თავისი „მანქანა"; ბატონმა ნოდარმა სამჯერ სცადა ბედი; სამივეჯერ შამპანური მოიგო და მონაგები ჩვენ გადმოგვილოცა. წვერგაუპარსავი ბიჭი ვითომ სწუხს „გაკოტრებას", მაგრამ თვალებში სიხარული უბრწყინავს და ეჭვი გვეპარება — „განგებ ხომ არ მოაწყო წაგება"?

..მაგრამ ლატარიის პრინციპი იმდენად მარტივია, რომ ეს ეჭვი უმალ გვიქრება. შამპანურებით წაქეზებულები ახლა ჩვენ ვატრიალებთ სანიშნე სარტყელს; ...სულ მალე აინაზღაურა იმ ბიჭმა წეღანდელი წანაგების საფასური.

აქედან ადრე დაბრუნება გვქონდა გეგმაში, მაგრამ უკვე საღამოვდება და ჯერ ისევ ბატონი ნოდარის მოაგარაკე ოჯახში ვუსხედვართ სუფრას.

დღევანდელი დღე ისე სასიამოვნო გამოდგა, რომ წასვლას აღარ ეჩქარობთ; მასპინძლისა და ჩვენი მეთაურის საუბარს ტრადიციებზე ხალისით ვუსმენთ:

— მე წამიკითხავს ივანე ჯავახიშვილის ხელნაწერებში, რომ არქანჯელო ლამბერტის საქართველოში მოგზაურობისას ჩაუწერია: მეგრელები გლოვის ნიშნად თმას, წვერ-ულვაშსა და წამწამებსაც კი იპარსავენო. ამის შემდეგ კი მთელი წლის განმავლობაში სამართებელ-მაკრატელს აღარ მიეკარებიან; უხეში ქსოვილის თალხებს ატარებენ, თავზე თხის ტყავი ხურავთ, ფეხზე თხის ტყავი აცვიათ, ხელში წვრილი ჯოხი უჭირავთ და იმაზე დაყრდნობილი დადიანო. აცვიათ ჯერ შავი, მერე ჟანგისფერი ან მუქი ყვითელი ტანისამოსი და რამდენიმე ხნის შემდეგ შავ, თეთრ ზოლებიან ტანისამოსს იცვამენო.

— ეს ალბათ ძალიან ძველი ცნობებია, თორემ ასეთი რამ ახლა აღარსად შეგვხვედრია.

— ერთი რამ ცხადია: როგორც უწინდელი ტრადიციებიდან ჩანს, ადრე გასვენების დროს ადამიანები გასაჭირის დემონსტრირებას ახდენდნენ. გასვენების ცერემონიალი რაც უფრო გამოხატავდა გაჭირვებასა და უბედურებას, მით უფრო საპატიოდ ითვლებოდა დასაფლავება. ახლა კი პირიქით. გასვენებაში მგლოვიარე ოჯახი „ტყავს გაიძრობს", რათა ხალხს გაჭირვებულად არ ეჩვენოს.

— ისევ ივანე ჯავახიშვილის ხელნაწერებში მაქვს ამოკითხული, რომ აკად. გულდენშტენდს ჰქონია აღწერილი გლოვისა და დამარხვის წესი, რომელიც მას ხონში უნახავს: მიცვალებული ჯერ წყლით იყო განბანილი, შემდეგ ღვინით. ჭილოფზე იწვაო ტილოში გახვეული; ტილო ცვილში ყოფილა ამოვლებული; თავზეც ასეთივე ჩაჩი ეხურა და ზემოდან ჭრელი საბანი ჰქონდაო გადაფარებული. მნახველები ტიროდნენ სამგლოვიარო მოთქმით, კაცები სიმღერის მაგვარი ბანით, ხოლო ქალები გაჰკიოდნენო. მოტირლებს უმასპინძლდებოდნენ ღვინით და ფეტვის ფაფითო; ნათესავები ხორცს არ ჭამენ ნახევარი ან მთელი წლის განმავლობაში; ქვრივი კი მთელი სიცოცხლეო.

— ახლა? ფეტვის ფაფა კი არა, მრავალნაირი თევზეულით, ხიზილალითა და სამარკო ღვინოებით უმასპინძლდებიან ათასობით კაცს. ამასთან, ხშირად უარსაც ამბობენ დახმარებაზე, რადგან ოჯახს თავისუფლად შეუძლია ამხელა ხარჯების გაღება!

— კი, მაგრამ ჩვენ აღარ მივდივართ? თუ გზაში გაგვიწვიმდა, გაგვიჭირდება ჩასვლა.

უკან მობრუნებულებს წვიმის თქეშმა სოფელ სალხინოში მოგვისწრო. ამას ხელი არ შეუშლია დავმტკბარიყავით სოფლის ზღაპრული სილამაზით. ჭადრების დაბურული ხეივნით მიურატების ყოფილ აგარაკს მივადექით.

გრილი და ანკარაწყლიანი ჭალებით გარშემოვლებულ ბორცვზე ნაძვებით შემორკალული მინდორი ბიბინებს. გული გვწყდება, რომ ასე უღმერთოდ წვიმს და ამით ხელი ეშლება ჩვენს დაბანაკებას ამ ადგილზე.

მიურატების ყოფილ აგარაკს ერთ მხარეს მოზრდილი, გამჭვირვალე-მომწვანო ფერის სასმელი მდინარე „წაჩხურა“ ჩაუდის. მდინარე ატეხილ ჭალაში მიედინება. იგი ისე ცივია, რომ ნახევარ ჭიქასაც ვერ დალევს კაცი შეუსვენებლად. ჩვენ ვნახეთ, როგორ ამოჭყავდა ამ მდინარიდან აფართხალებული თევზები ვიღაც მეთევზეს.

სალხინოში აღარ გავჩერებულვართ, პირდაპირ ფოთისაკენ ავიღეთ გეზი. მალთაყვას იქეთ, ევკალიპტების ხეივანში ჩვენი მეთაურის მეგრელი მეგობრები გველოდნენ, უნივერსიტეტის თანაკურსელები — ე ო რ ე ი ზ ა ქ ა რ ა ი ა, ზუგდიდელი მასპინძელი ა მ ი რ ა ნ შ ე რ ო ზ ი ა და სხვები. მეგობრული ვახშმისა და საუბრის შემდეგ ჩვენმა დამბვდურებმა და გამცილებლებმა ტკბილი ძილი გვისურვეს და უკან გაბრუნდნენ. ჩვენ კი ღამე იქვე გავათიეთ.

17 ივლისი. ქობულეთი:

დილით წინა დღით შეგროვილი მასალა დავამუშავეთ და გავუყევით ქობულეთისაკენ მიმავალ გზას.

ერთი საათიც არ იყო გასული, ქობულეთში ამოვყავით თავი. დაებანაკდით ზღვის პირას ფიჭვნარში, „ინტურისტის“ მაღლივი კორპუსის მშენებლობის ტერიტორიაზე. კარვების გაშლისათვის არავის მოუცლია, ექსპედიციის ყველა წევრმა მაშინვე ზღვას მიაშურა. დიდხანს, დიდხანს ვიყავით ზღვაში და სილაში, სილაში და ზღვაში..

არავის გახსენებია არც სადილი და არც ვახშამი. ეს დღე მთლიანად შეიწირა მონატრებული ზღვის ხილვით აღძრულმა უსაზღვრო სიხარულმა. ჩვენი მეთაური იგონებს ლოს-ანჟელოსის განთქმულ პლაჟებს და ვერ მალავს ქობულეთის პლაჟის აშკარა უპირატესობით გამოწვეულ აღფრთოვანებას.

18 ივლისი. ქობულეთი-კვირიკე:

გვიან ვიღვიძებთ. კარვის გაშლილი კალთებიდან ნაძვების ხეივანში შემოჭრილი მზის ირიბი სხივების მიერ გაშლილი ოქროს მარაო მოსჩანს. ზღვის მშვიდ ზედაპირზე ასხლეტილმა შუქმა თვალები ამიცრემლა. ჩემს გვერდით მზია მოკუნტულა და ჯერ ღრმად სძინავს. გარედან კანტიკუნტად მოისმის უცხო და შორეული საუბრები.

...სადა ვართ? ...ჰო, ევკალიპტების ხეივნიდან ურეკის გავლით ქობულეთში გუშინ ჩამოვედით.

გუშინ ასე გვეგონა, აღარასოდეს ამოვიდოდით წყლიდან. დღეს კი ადგომა გვეზარება, რადგან წუხელ გვიან დავიძინეთ. მზის ჩასვლა ვნახეთ, მერე ისევ „ლეჟანკაზე“ ვივახშმეთ და დიდხანს, დიდხანს ვუსმენდით ჩვენი მეთაურის საუბრებს ვარსკვლავებზე, კოსმოსზე, გალაქტიკაზე...

უსასრულო სამყაროზე მსჯელობა მიშას მოულოდნელმა შეკითხვამ შეწყვიტა:

— ბატონო გელა, მთვარე რატომ გაჩნდა?

— ალბათ, შენ გაინტერესებს, როგორ გაჩნდა?

— არა, რატომ გაჩნდა?

ბატონი გელა დაიბნა.

— იმიტომ რომ... იმიტომ რომ, ადამიანებმა პლაცდარმად გამოიყენონ სხვა პლანეტებზე გასამგზავრებლად — დაასრულა ჩვენს სიცილ-ხარხარში.

მიშა ჩვენი არასერიოზულობით აღშფოთებულია და პასუხს აღარ უსმენს.

— ჰო, რა იყო, რატომ გაჩნდა... რაღაცისათვის ხომ გაჩნდა!

აქაურ ზღვასა და პლაჟს არაფერი შეედრება: ათასფერი, წვრილი და ჭრელი კენჭების მოზაიკა; მომწვანო-გამჭვირვალე წყლის მსუბუქი ლიელივი და თვალუწვდენელ სივრცეზე გადაჭიმულ პლაჟზე გამოფენილ ნარინჯისფერ სხეულთა სიმრავლე... ალბათ ამიტომ, ახლა, შუადღის მზეზე გაფიცხებულ კენჭებზე გაწოლილან ჩვენები და ჩრდილში ამოსვლას არ ჩქარობენ.

— არ გშიათ?

— გვშია!

— გვშია!

— ჰო და ამოდით!

ისინი მაინც იხვებივით ჭყუმპალაობენ და საუზმის დარდი არ აწუხებთ. მე ლანგარზე საუზმეს ვალაგებ; მკლავზე თეთრ ტილოს ვიფარებ და ვცდილობ, ცხელ ქვიშაზე დახელოვნებული „ოფიციანტივით“, თავს ზემოთ აწეული ცალი ხელით, მარჯვედ გავატარო მშრალი საუზმით დამძიმებული ლანგარი.

ალბათ ქრისტეს გამოცხადება არ გამოიწვევდა ამხელა გაოცებასა და სიხარულს. ხუთი ფოტოაპარატი ერთბაშად მიღებს სურათს და ორ-სამ წუთში ცარიელ ლანგარს ისევ კარვებისაკენ მივარბენინებ ახალი სანოვაგის მოსატანად.

— ამოდით, ხალხნო, დაიწვებით, არ შეიძლება ამდენ ხანს მზეზე გაჩერება!

— დაე! მზად ვართ ასეთ წყალში სიკვდილისათვის! შეხედეთ, ზღაპარს არა ჰგავს?

— აბა, ერთი ღელვის დროს ნახეთ.. სახლის სიმაღლე მღვრიე ტალღები... მოქუფრული ცა, ბოროტი, ქაფმორეული ზვირთები...

— „ერთბაშად მტვირთველი არის ქვეყნად კარგის და ავისა, მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისა“...

— ჩემი ფოსტლები ვინ დამალა? ჩქარა, წასვლას ვაპირებ!

— ვაიმე, აღარც ჩემებია...

მზია კენჭებს ქათამივით ჩხრეკს და რაღაცას დაეძებს. ბატონი გელა კი ელოდება, როდის მიუტანენ გადამალულ ქოშებს... მაგული განზე დგას და დროდადრო ჩვენსკენ ინტერესით იცქირება; თავი ისე უჭირავს, ვითომ არაფერი ესმის და არც არაფერი ეხება.

ჩვენი მეთაური შიშველი ფეხებით გარბის გავარვარებულ ქვიშაზე.

მაგული ამას არ მოელოდა. ჭრელი კენჭების გროვიდან სწრაფად ამოაძვრინა სველი და გრილი ქოშები და პატრონს დროზე მიაშველა.

ამ „მარცხის“ შემდეგ მაგულიმ ჯავრი სხვებზე იყარა; მზია ვერც ქოშებს პოულობს და ვერც ფეხშიშველა წასვლა გაუბედია. დათო საქმიანად დააბიჯებს, კენჭების ყოველ საეჭვო გროვას ჩხრეკს და დათვივით იღრინება.

...ცოტა ხნის შემდეგ, ხელფეხშეკრულ მაგულის ბიჭები წყალში აყურყუმალავებენ.

მძიმედ სუნთქავს შუადღის სიცხით გათანგული ქალაქი.

ჩვენ ფიჭვების ხეივანში გაშლილ „ლეჟანკებზე“ ვართ წამოწოლილი და ჩვენს მეთაურს ველოდებით. ხვალ სარფში წასვლა გა-

დავწყვიტეთ და ახლა რაიონის ხელმძღვანელებს უნდა შეუთანხმოს, როგორ და რა გზით მოხერხდება ამ გეგმის განხორციელება.

— მზია, ჩქარა, ჩქარა... მოდი, რა გიჩვენო!

მაგული ოდნავ მოხრილი, ხელით მზეს იჩრდილებს და პლაჟს ინტერესით გასცქერის.

ჩრდილში ნებიერად წამოწოლილი მზია ის-ისაა ძილის ბურუსში გაეხვია, რომ მაგულის მაცდუნებელმა წინადადებამ ფეხზე წამოახტუნა და უმალ მაგულის ამოუდგა გვერდში. იმავე წუთში, ძახილზე ნელიმაც მიირბინა. მაგულიმ მკლავი ლაღად გაშალა, ჰაერში წრე მოხაზა და...

— აგე, ზღვა!

შეცბუნებული გოგონები ჩვენს სიცილ-ხარხარში მოსცილდნენ გამარჯვებული ღიმილით დოინჯშემორტყმულ მაგულის და იძულებულნი არიან ჩვენთან ერთად თვითონაც იცინონ.

ბატონი გელა გახარებული დაბრუნდა.

— ხვალ, თორმეტი საათისათვის ბათუმში უნდა ვიყოთ, სარფის საქმე მოგვარებულია! დღეს კი სოფელ კვირიკეში ვართ მიწვეული, ხომ უნდა ვნახოთ აჭარის ტიპური სოფელი. თუ რამე იქნება ჩასაწერი, იმასაც ჩავიწერთ... — კმაყოფილი გეიამბობს და ახლადმოტანილ, შეორთქლილ ბორჯომის ბოთლებს ხსნის.

— თურმე ლებარდეს წყალს არაოფიციალურად ბეჭდავენ და ნაცნობ-მეგობრებს უგზავნიან. ქალაქკომში ჩემი ძველი მეგობარი ვნახე და სამი ბოთლი მაჩუქა. აბა, გასინჯეთ...

— ვა�ა... რა კარგია! ბორჯომს ჯობია!

— ვითომ?

— რა შედარებაა.

— ნახეთ რა მოუფიქრებიათ მეგრელებს?!

— ბევრად სჯობია ბორჯომს! — გამოვიტანეთ საერთო დასკვნა. ჩვენი მეთაური იცინის. კარგა ხანს ვერ გავიგეთ ამ სიცილის მიზეზი. როცა კარვის ძირში ცარიელი ბოთლები მივაწყვეთ, მაშინღა შევნიშნეთ „ბორჯომის“ იარლიყი. ბატონი გელას ავტორიტეტით დაბრმავებულებს აზრადაც არ მოგვსვლია იარლიყისათვის ადრევე შეგვეხედა.

ცოტა ხანში მიშა სოფელ კვირიკეში მიგვაქროლებს.

სამანქანო გზა ჩაის ბუჩქებითა და ნარინჯებით დამშვენებულ მთების კალთებზეა გაყვანილი. ჭრელ ბორცვებზე ქვითკირის, ორსართულიანი, აივნებიანი სასახლეები წამოუჭიმავთ აქაურ მცხოვ-

რებლებს. დასავლეთით, ოქროსფერ ნისლში მოლივლივე ზღვის ზედაპირზე ასხლეტილი სხივები ბრჭყვიალებენ...

ქობულეთელი მასპინძლის ვაჟიშვილი კალთაში მიზის და მოუსვენრად ტრიალებს...

გვახარებს მისი აჭარული აქცენტი და მგონი მეასედ ვეკითხებით:

— გოჩა, ახლა სად მივდივართ?

— ბაბუასთან, ბაბუასთან, ცავ! ოოოჰ!

ჩვენი მასპინძლის — მ ე მ ე დ მ ე ს ხ ი ძ ი ს ვეებერთელა სახლი ზღვას გადასცქერის. აღმოსავლეთით კი თვალწარმტაცი ფერებით აჭრელებული მთა-გორებია მჭიდროდ და უწესრიგოდ ჩალაგებული. გახარებული მასპინძელი ციტრუსების ბაღში .დაგვატარებს.

იდეალური წესრიგი და სისუფთავეა ირგვლივ. მიწის ყოველ მტკაველს მშრომელი მარჯვენის დაუღალავი ზრუნვა ეტყობა.

ფუტკრის სკასავით ფუსფუსებს ხალხმრავალი ოჯახი. მართალია, ოჯახის სამი ვაჟიშვილი დამოუკიდებელ კომლებად ცხოვრობენ, მაგრამ მათი შვილები თითქმის ერთად იზრდებიან ბებიასთან, ქალბატონ ა ი შ ე ს თ ა ნ. სტუმრებსაც რა გამოლევს და ამ ვეებერთელა სახლში ოთხი „სპალნა“ თითქმის ყოველთვის დაკავებულია და ზოგჯერ აღარც სასტუმრო ოთახში რჩება ადგილი.

გაზქურით გამართულ და „მოკაფელებულ“ სამზარეულოში ყოველთვის ტრიალებს გამრჯე დიასახლისი.

უნებურად ხევსურეთი გვაგონდება.

— დავუშვათ, არჩევანის წინაშე ვდგავართ და ხევსურეთსა და კვირიკეს შორის ერთ-ერთი უნდა ავირჩიოთ საცხოვრებლად; განსხვავება ხომ ძალზე დიდია! იქ არც გაზია, არც შხაპი, ზოგჯერ არც სინათლე, არც ტელევიზია, კინო, თეატრი... რაც ასე უხვად აქვთ აქაურებს. რომელს აირჩევდით?

— ალბათ ხევსურეთს.

— მეც. ასე მგონია, აქ რომ უცბად ვინმემ დამასახლოს, საინტერესო აღარაფერი იქნება, რადგან მისაღწევიც არაფერია. იქ კი...

— რა თქმა უნდა, თუკი „მიღწევად“ თქვენ ორსართულიან სახლს, კარგ ავეჯს, შხაპს და სხვა ნივთიერ სიმდიდრეს მიიჩნევთ.

— აბა სხვა რაღაა? დავსხდეთ და სულ ვიკითხოთ?

— რატომ, რატომ! ჯერ ერთი, მოპოვებულს შენარჩუნება, გამრავლება-გაუმჯობესება სჭირდება, თუნდაც ეს ნივთიერი სიმდიდრე იყოს; მერე: ათასგვარი პერსპექტივაა მეურნეობის წინაშე დასახული. მას შემსრულებელი სჭირდება; გარდა ამისა, თანამედროვე

საზოგადოებას სჭირდება უკეთესი ურთიერთობები ადამიანებს შორის. ამ უკეთესობისათვის ზრუნვა განა ცოტაა?

თუ საკუთარ თავს სრულყოფილად ჩათვლით (რაც ძნელი დასაჯერებელია, რადგან თვითსრულქმნის პროცესი უსასრულოა) — ახალგაზრდობის სულიერ სიმდიდრეზე ზრუნვა განა როდისმე დამთავრდება? და ეს ზრუნვა განა აქ არაა საჭირო?

მაგრამ საქმე იმაშია, რომ მატერიალური სიმდიდრის შეძენა — დაგროვება შედარებით ადვილი საქმეა; სულიერი სიმდიდრისა კი, — ძნელი. ამიტომ, თქვენ ადვილს ირჩევთ.

ასე, რომ, შრომა ნივთიერი სიმდიდრისათვის და ბრძოლა საკუთარი თავისა და სხვათა სრულყოფის მიზნით — უსასრულო პროცესია და ადამიანს, სადაც არ უნდა იყოს იგი, ყველგან ელოდება საჭირო და საგმირო საქმეები, თუკი აქტიური და მონდომებული იქნება...

— აქეთ მობრძანდით, თუ გინდათ ნახოთ, თაფლს როგორ იღებენ სკიდან!

მასპინძლის ვაჟს, ჭიჭიკოს ხელში აკვამლებული ხელსაწყო უჭირავს და გაბრუებულ ფუტკრებს სკიდან თაფლით სავსე, მოზრდილ ფიჭას ართმევს. ეზოში ჟივილ-ხივალით დაჰქრიან ყველა ასაკის გოგონები და ბიჭები.

— სამივე ვაჟი ცოლიანი გყავთ ბატონო მემედ?

— დიახ, სამივე.

— ქორწილი გადაიხადეთ?

— აბა ისე როგორ იქნებოდა!

— გვიამბეთ, როგორი ქორწილი იცით?

პატივცემული მემედის სიტყვით — აჭარლებმა ძალიან კარგი ქორწილი იციან.

ახალი ოჯახი, რა თქმა უნდა, სიყვარულის საფუძველზე იქმნება. ნიშნობაში ოქროს საათი, ბეჭედი და სხვა ძვირფასი ნივთები აუცილებლად იციან. მზითევზე წინასწარ არ ლაპარაკობენ, მაგრამ თავისთავად იგულისხმება. ახლა, მზითევიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია „სპალნა“.

ქორწილის დროს, როცა პატარძალი მოჰყავთ ოჯახში, სახლში შესვლისას კარების თაღს ხანჯლით ჩამოაჩეხავენ. ეს იმისათვის, რომ, თუ შურიანი თვალი, მტრის თვალი ან ავი სული არის ვინმე თავშეყრილ ხალხში, ან ჯადო გააკეთა ვინმემ — აღარ გასჭრის. შეიძლება მტერმა ისეთი „ჯადო“ გააკეთოს, რომ ახლად შეუღლებულებს შორის არაფერი ცოლ-ქმრული სიყვარული აღარ იყოს და ოჯახი დაიშალოს. ახლა „ჯადოს“ აღარ ეძახიან. ახლა „წამალს“ ამ-

ბობენ, მაგრამ რაც არ უნდა დაარქვა. თუ ეს წამალი გაკეთდა, ქალიც დაავადმყოფდება და კაციც, თუ ერთად დარჩებიან. აი, ეს რომ თავიდან იქნეს აცილებული, კარებს ამოაჩეხავენ ხოლმე.

იციან აგრეთვე „გზის შეცვლა". თუ ეჭვია, რომ თავშეყრილ ხალხში ვინმე ურევია ისეთი, ვინც რაიმეს გააკეთებს (ჯადოს), სხვა კარებით შეჰყავთ პატარძალი სახლში, რომ იმ ვიღაცამ ველარ მოასწროს ამ ახალი გზის „წამლობა".

ლხინი მთელი ღამე გრძელდება, დილამდე. ამ დროს იციან სმაში შეჯიბრი. თხუთმეტი-ოცი წლის წინათ ამ შეჯიბრის დროს „თუ წაიქცეოდა კაცი, თორე ისე სუფრიდან ვერ ადგებოდა და ვერც სადღეგრძელოს გამოტოვებდა დოულეველს". — გვიამბობს მასპინძელი. — ჩხუბიც ხშირი იყო. ახლა ღვინის დაძალება აღარ იციან და საჩხუბარიც რაღა დარჩა!

ასკაციან ქორწილს აქ „მოპარულ ქორწილს" უწოდებენ. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ ოჯახმა ქორწილი ჩუმად გადაიხადა ისე, რომ არავის შეატყობინა.

ქორწილის ჩვეულებრივ ფორმად მიაჩნიათ „მილოცვითი ქორწილი". მექორწილენი ნეფე-დედოფალს ულოცავენ ფულითა და საჩუქრებით. ახლობლები 200—300 მანეთით ასაჩუქრებენ; უფრო შორებლები 5—6 თუმნით. ღარიბი მეზობელი 10 მანეთს მაინც მოიტანს.

ფულსა და სხვა საჩუქრებს (საკოსტუმეებს, ბეჭდებს, და სხვა ძვირფასეულობას) ქალის დედას აძლევენ.

დიდ ქორწილებში ხდება ნაჩუქარი ფულის ჩაწერა — ვინ რამდენი მოიტანა. შემდეგში, როცა ამ ოჯახის წევრი სხვის ქორწილში წავა, საჩუქრად იმაზე მეტი უნდა წაუღოს, ვიდრე მან მოიტანა:

— მაგალითად, ჩვენს ქორწილში მოიტანეს 100 მანეთი, ახლა, მე რომ მივდივარ მასთან, 120 ან მეტი უნდა წავიღო. თუ 2—3 წლის მერე წავედი, — 150—160 მანეთი; თუ კიდევ უფრო გვიან იქორწინებენ, კიდევ უფრო მეტი და ა. შ.

— აბა, რა, ბანკში რომ გაქვს ფული შეტანილი, იმას ხომ ემატება პროცენტები! — იცინის პატივცემული მემედი.

— ვთქვათ ბევრგან ვარ ნამყოფი და ბევრი ფულია ოჯახიდან გატანილი საჩუქრად. მერე, თუ ჩემს ოჯახში ქორწილი იმართება, მეც ბევრს მოვიპატიჟებ და ერთიანად შემომიტანენ მთელი ეს „გავალებული" ფული.

— რითაა ცუდი ეს ჩვეულება! თუ მინდა, არ მოვიპატიჟებ სხვებს და არც მე ვივლი ქორწილებში! ლხინში წასვლა აუცილებელი კი არაა! ჭირის დღეზე ხომ არ ვიცით ასე!

— აბა, ჭირის დღე როგორი იცით?

— გასვენებაზე ჩვენთან ფულის მოტანა არ იციან! და ეს სწორიცაა: თუ კაცს ფული არა აქვს, არ უნდა მოვიდეს და არ მიტიროს? ქორწილში სხვა საქმეა. თუ საჩუქრის ფული არ გაქვს, არ იქეიფებ და ის იქნება.

„ჭირის დღე" კი აქ ასე იციან: მიცვალებულს მეოთხე-მეექვსე დღეს ასაფლავებენ. თუ მიცვალებული არ იყო „გამოსული", ე. ი. ცნობილი კაცი, მაშინ მას მეორე-მესამე დღეს დაასაფლავებენ. როცა „გამოსული" კაცი გარდაიცვლება, ჭირისუფლები ვარაუდობენ, რომ მანამ არ უნდა დაასაფლაონ, სანამ ნაცნობები არ გაიგებენ და არ მოვლენ. ამისათვის კი 4-5 დღე საკმარისია. თუ მიცვალებულს ცოტა ნაცნობები ჰყავდა, „ვის უნდა უცადონ, მეორე დღეზე გაასვენებენ".

დასაფლავების დღეს ბევრი სტუმარი იყრის თავს. უწინ ორმოცდაათიდან ასორმოცდაათ კაცამდე შეიკრიბებოდა. თუ „თავმომწონე" კაცი მოკვდებოდა, მაშინ ორასი-სამასი კაცი მაინც მოგროვდებოდა. ახლა, დასაფლავების დღეს 300—400 და მეტი კაცი იყრის თავს.

აქაურებს არ სცოდნიათ სპეციალური ბარათით — „კონვერტით დაპატიჟება". თუ მეზობელ სოფელში მოკვდა ვინმე, ერთი კაცი მოიტანს ამბავს სოფელში და ამისგან ყველა გაიგებს.

თუ ქალაქში გარდაიცვალა, ავტობუსების სადგურში მივა ვინმე და სოფლის ავტობუსის მგზავრებს შეატყობინებს. ასე გავრცელდება ხმა უბედური შემთხვევის გამო. მიცვალებულის ოჯახი გაზეთშიც აცხადებს და ნაცნობ-მეგობრები ამითაც შეიტყობენ მახლობლის გარდაცვალების ამბავს.

ბუნებრივია, რომ აქ დიდი ქელეხები იციან. პურის ჭამა დილით. იწყება. შორიდან მოსული სტუმრები მაშინვე დანაყრდებიან, წასვლის დროსაც აპურმარილებენ და ისე ისტუმრებენ შინ.

როგორც უკვე ითქვა, აქაურებს ჭირის დღეზე დახმარება არ სცოდნიათ. თუ ოჯახი დაზარალდა იმით, რომ წევრი გამოაკლდა (მოუკვდა), ეს ზარალი ეკონომიურადაც უნდა დაეტყოს ოჯახს. მას ან ახლო ნათესავები მიეხმარებიან ან ისესხებს ფულს და „როცა ხელს მოიბრუნებს", მაშინ გაისტუმრებს ვალს. ...თუმცა, ახლა ყველას აქვს ხარჯების საშუალებაო.

ამ სოფლებში სცოდნიათ დაქირავებული მოტირლები. 5—ნ დღეში ოჯახის წევრები იღლებიან ტირილისაგან. ამიტომ, გასვენების დღეს სამეგრელოდან მოჰყავთ ცნობილი მოტირლები. ოჯახი წინასწარ მოუსმენს დაქირავებულ ქალს და თუ მოეწონება, მაშინ

დაიქირავებს. ისიც, თავის მხრივ, ჯერ მიცვალებულის ჭირისუფლების ტირილს უსმენს — რას დაატირებენ, როგორი იყო მიცვალებული, და შემდეგ, „თუ კაი მოტირალია, ისე გააფორმებს დატირებს, რომ უცხო გამვლელიც კი ცრემლად დაიღვრება". მართალია, ხალხი რომ ტირის, ეს არც ოჯახს არგებს და არც მიცვალებულს, მაგრამ მაინც ნუგეშია ოჯახისათვის, როცა მის მიცვალებულს ბევრი ტირის.

განსაკუთრებით მძიმეა ახალგაზრდის გლოვის დღეები.

მოტირლებს დადგენილი ფასი ჰქონიათ. „კაი მოტირალი" ასი მანეთი ღირსო.

პანაშვიდებზე სცოდნიათ სამგლოვიარო მუსიკა მაგნიტოფონით ან სასულე ინსტრუმენტებით.

თუ მოხუცებული კვდება, ქელეხიდან დაუთრობელი კაცი არ წავა, ხოლო ახალგაზრდის ქელეხზე ასეთი რამ არ ხდება.

მასპინძლის სიტყვით, აქაურებს მოსწონთ თავიანთი სოფლების ეს ტრადიციები და სულაც არ სურთ, რაიმე შეიცვალოს მათში.

მიცვალებულს უხდიან „ორმოცს" ან „ორმოცდათორმეტს". ამ დღეს მოიწვევენ სტუმრებს, გავლენ საფლავზე, იტირებენ, მოიგონებენ მიცვალებულს და ა. შ. შემდეგ კი ოჯახი იხდის წლისთავს. თუ რატომ გადიან ორმოცდამეთორმეტე დღეზე, ამის შესახებ არაფერი იციან.

სულ მალე ვეებერთელა შუშაბანდში გაშლილ სუფრას ვუსხედვართ და აჭარული კერძებით მოხიბლული, ახალ-ახალ რეცეპტებს ვიწერთ უბის წიგნაკებში. გვიძნელდება სტუმართმოყვარე ოჯახთან განშორება.

საღამოთი სიცილით, სიმღერითა და ანეკდოტებით მივადექით ჩვენს ზღვისპირა ბანაკს.

ზღვის ჰორიზონტს ჩამავალი მზის წითელი დისკო უახლოვდება და ჩვენ ვჩქარობთ, რათა ერთხელ კიდევ მოვასწროთ ბანაობა.

დაღამდა.

კარვების წინ მყუდროდ მოკეცილები, საოცნებოდ ვართ განწყობილი. წყნარად ვადევნებთ თვალს ზღვის ყორნისფერ ზედაპირზე პროექტორების მიერ გავლებულ ნათელ ბილიკებს.

დათოს რაღაც ჩაუფიქრებია და ვეღარ ისვენებს, წრიალებს. ბოლოს, ჩუმად გაიხმო მზია და წუთით ორივენი დაიკარგნენ.

ცოტა ხანში მათაც ჩვენთან ერთად მოიკალათეს.

ისევ ზღვის იდუმალებით ვართ მოჯადოებული. მხოლოდ ზოგიერთებს გადაედოთ დათოს მოუსვენრობა და რაღაცას ელიან.

მალე კარვებიდან ისეთი ხვრინვა მოისმა, რომ ზღვაც გეავიწყდება და ჩვენი საფიქრალიც.

ბატონი გელა კარვებისაკენ გაოცებული იცქირება.

— ვის ძინავს?

ხარხარებენ. ხვრინვა თანდათან ძლიერდება.

— ბატონო გელა, ვერა სცნობთ?

მიშა დაბნეული ზის და ვერ გარკვეულა, რა ხდება ირგვლივ. ბატონი გელა — რაღაცაში დაეჭვებული, კარვისაკენ მიემართება...

— აი, თქვე მოღალატეებო... ამისათვის წამოიღეთ მაგნიტოფონი?

— ბატონო გელა არ გაგვიჯავრდეთ, რა!

— არავითარი ბოდიშები! ამის შემდეგ ყველანი ჩემთან ერთად დაიძინებთ! ვნახოთ, რაღას ჩაიწერთ მერე!

19 ივლისი. ქობულეთი-სარფი:

„ოტიას“ გახსენებამ უთენია წამომახტუნა: წუხანდელ ოროშტრიალში „ოტია“ მთლად გადაგვავიწყდა. ვაი თუ დავკარგეთ!

— მიშა, „ოტიას“ შენთან ძინავს? — მოვიკითხეთ ჩვეულ ადგილზე. ნამძინარევი მიშა თვალებს აცეცებს და „ოტიას“ ამაოდ ეძებს.

...ამ ხუთ დღეში „ოტია“ გალაღდა, მხრებში გაიშალა, გათამამდა და მგონი გათავხედდა კიდეც. ხრიგინით დაათრევდა ფეხზე შებმულ ქვაბის სახურავს; ამ ბოლო დროს სუფრაზე ჩვენთან ერთად სადილობდა და კერძების არჩევაშიც გვეჯიბრებოდა... თუ ხმამაღლა გავიცინებდით, თვალებს ბოროტად აბრიალებდა და კისერწაგრძელებული, კაკანით პროტესტს გამოხატავდა... უკვე ექსპედიციის ნამდვილ წევრად ვთვლიდით...

„ოტიას“ ძებნის ფაციფუცმა დათო სასწრაფოდ ფეხზე წამოახტუნა. უფრო სწორად, მოისურვა წამოხტომა, მაგრამ თავის „ლეჟანკიანად“ ყირამალა გადატრიალდა. საწოლზე დაბმული დათო ხლართებიდან თავის დაძვრენას ლამობს და თან აკისკისებულ მაგულის ემუქრება...

დანარჩენებს დათოც მალე ავიწყდებათ და დაკარგული „ოტიაც“. პლაჟზე ჩასულან და ამომავალ მზეს ეფიცხებიან.

ზღვა მშვიდია და საოცრად გამჭვირვალე. იქ, სადაც მოკენჭილი ფსკერი „მთავრდება“, თითისტოლა თევზები დასრიალებენ...

ჩვენი ექსპედიციის სპორტსმენი წევრები ისე შორს გასულან ზღვაში, რომ წერტილებივით, ძლივსღა მოსჩანან...

დათო ნაპირზე, ჭრელ კენჭებში ჩამჯდარა და წყალს პეშვით ისხამს მხრებზე; მზიას ტივტივამდე გაუცურია და გულს გვიწყალებს ნაპირზე დარჩენილებს — „შემხედეთო"; მაგული ახლოს ვეღარ გვეკარება და ჩვენგან მოშორებით, მარტო ბანაობს...

დღეს დიდხანს ბანაობის უფლება არა გვაქვს. თორმეტ საათზე ბათუმში უნდა ვიყოთ. ჩვენი ხელმძღვანელი უკვე გვაჩქარებს.

გვენანება ზღვასთან განშორება. ჩვენი მეთაური გვამშვიდებს — სარფში უკეთესი პლაჟია და შეიძლება იქ ვიბანაოთო.

ჩვენ ნაკლებად გვამშვიდებს ეს დაპირება, მაგრამ მაინც გამალებული ვემზადებით გასამგზავრებლად.

— კო, კო, კო, კოოკოოო... — მშვიდად გამოგვეცხადა ფეხზე ბაწარშეწყვეტილი „ოტია".

— „ოტია"!

— ვაა, „ოტია"!

„ოტია" თვალების ბრიალით ამაყად შეხტა ავტობუსში და პირველ სავარძელზე მოიკალათა.

სულ მალე მდინარე ჭოროხზე გადებულ გონიოს ცნობილ ხიდზე მიგვაქროლებს ავტობუსი. ხიდის სიგრძე საკმაოდ დიდიაო — გვიხსნის ჩვენი ბათუმელი მასპინძელი, პატივცემული გ რ ი გ ო ლ ი. მდინარე ჭოროხს, ასე მშვიდად და უწყინრად რომ მოედინება ახლა, ისეთი ადიდება სცოდნია, რომ წყალდიდობისას „მთლად მიაქვსო მთელი ქვეყანა".

აჭარის ულამაზეს რაიონში შევდივართ. სამანქანო გზა მთის ტყიან კალთაზეა გაჭრილი. მთის ძირი შიგ ზღვაშია „ჩადგმული" და შუადღის მზით გამთბარ და გასხივოსნებულ სანაპიროს ზემოდან ხარბად ჩავსცქერით.

თვალუწვდენელი სანაპირო უკაცურია. ჩვენ ისე შევეჩვიეთ ზღვისა და ყავისფერი სხეულების ერთად ჩილვას, რომ ახლა გვეჩოთირება ასეთ ამინდში, ასეთი ზღვის ცქერა ადამიანების გარეშე, მაგრამ რას იზამ, სასაზღვრო ზონაა!

— აქაური პლაჟი ქობულეთისას სჯობია. — ერთხმად გამოაქვთ დასკვნა ჩვენებს.

— ისევე სჯობია, როგორც ლებარდეს წყალი ბორჯომს!

ამ მარცხის მოგონებაზე ყველანი ვჩუმდებით და ისევ ზღვაში არეკლილ მთებს ჩავსცქერით.

გავიარეთ „ყანლი დერე", ანუ, როგორც მასპინძელი გვიხსნის „სისხლიანი ღელე". ეს სახელწოდება ხევს იმიტომ დარქმევია, რომ გაუთავებელი ბრძოლების დროს ამ ადგილზე სისხლის ღელეები მოედინებოდაო.

ვიგონებთ თედო სახოკიას ეთნოგრაფიულ გამოკვლევას, სადაც ავტორი „ყანლი დერეს" სახელწოდებაზე შემდეგს გადმოგვცემს: ეს ტყეები უწინ ფირალებისა და ყაჩაღების თავშესაფარ ადგილად ითვლებოდა. მოსახლეობა შორს ყოფილა ამ ადგილიდან და თავდამსხმელის მოგერიება თითქმის შეუძლებელი იყოო. ამიტომ, ხშირი ყოფილა ყაჩაღობა, ძარცვა, და მკვლელობები...

მალე სოფელ სარფსაც წავადექით თავს.

მოზრდილი სოფელი მაღალ მთებსა და ზღვას შორის არის მომწყვდეული. ფერდობებზე ვეებერთელა „სასახლეებია" შეფენილი.

მწვანეში ჩაძირულ სოფელში, ერთი შეხედვით არაფერია უჩვეულო.

სოფლის ცენტრში, ზღვის პირა დაბლობზე წოწოლა კოშკია აღმართული. მასპინძელი გვიხსნის, რომ ეს მინარეთი (მეჩეთი) ყოფილა, თურქების ზონაში.

— როგორ თუ თურქების ზონაში, თურქებს აქ რა უნდათ!

გამოირკვა, რომ სოფელი, რომელშიც უკვე შევედით, მავთულის ეკლიანი ხლართებით შუაზეა გადაღობილი. ერთ მხარეს საბჭოთა აჭარის სოფელი სარფი მდებარეობს. მეორე მხარეს — თურქეთის სოფელი სარფი.

სოფლის ცენტრში პატარა. თეთრი სახლია ჩადგმული. აქ თურმე სოფლის გაღმა-გამოღმა მცხოვრები ნათესავების შეხვედრის ადგილი ყოფილა. ორივე სარფის მცხოვრებლები ერთმანეთს კარგად იცნობენ, გასძახიან, იცინიან, ზოგჯერ კიდეც ლანძღავენ ერთმანეთს.

ჩრდილში თავშეყრილ სოფლელებს გავესაუბრეთ. მათ ჩვენი სტუმრობა არ გაჰკვირვებიათ.

სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, პატივცემული მ ე მ ი შ ი შ ა მ ი ა — ჩვენთვის საინტერესო საკითხზე გვიამბობს:

უწინ აქ, ისევე, როგორც აჭარის მეტ წილ რაიონებში, აკვანში დანიშვნა სცოდნიათ. თუ რა ცუდი იყო ეს წესი, ყველასათვის ცნობილია და პატივცემული მამია ამაზე აღარ აგრძელებს საუბარს. ახლა, ასეთი რამ, რა თქმა უნდა, აღარ იციან. ქორწინების საქმეში სიყვარული მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგრამ მშობლების გავლენა ძალზე დიდია. უწინ ხშირად იყო ისეთი ქორწინება, როცა ახალგაზრდებს ერთმანეთი ნანახიც არ ჰყავდათ და ახლობლების ნებით ქორწინდებოდნენ. ამ ბოლო ხანს გახშირდა „გაპარვები“. თუ მშობლები ქორწინების წინააღმდეგი არიან, ახალგაზრდები დაუკითხავადაც ქორწინდებიან. მშობლებს კი, „მეტი რა გზა აქვთ, ადრე თუ გვიან, მაინც ურიგდებიან ურჩ შვილებს“.

ჩვეულებრივ კი, იციან ქალის მშობლებთან შუამავლების მიგზავნა. თან ნიშანი მიაქვთ — ოქროულობა.

— თუ სასიძო ღარიბია?

— ახლა არავინ არაა ისე ღარიბი, რომ ოქროულობა ვერ შეიძინოს. თუ ქალის მხარე თანახმაა, ქალს დანიშნავენ და შეუთანხმდებიან ქორწილის დღეზე.

ქორწილის დღეს, დილით, ვაჟის ოჯახიდან ქალთან მიდიან მაყრები 20—30 კაცი. მექორწილეთა რაოდენობაზე წინასწარ არიან შეთანხმებულები. მექორწილენი ქალთან 2-3 საათს ქეიფობენ; მიჰყავთ ქალი და საღამოსათვის ვაჟთან იმართება 300—400-კაციანი ქორწილი. ამაზე ნაკლები ხალხი თუ შეიკრიბა, ამბობენ „კამპანია გადაიხადესო“, ე. ი. ქორწილად არ ითვლება.

საჩუქრებად ახლა ფული მოაქვთ. უწინ პატარძალს აჩუქებდნენ ათიდან თხუთმეტ მანეთამდე. თავის მხრივ, პატარძალიც ასაჩუქრებდა ნათესავებს. ახლა კი სუფრაზე იციან ფულის „აგროვება“. ოც მანეთზე მეტს არავინ დებს. ახლა იმის ჩაწერაც დაიწყეს, ვინ რამდენი მოიტანა. ე. ი. უკვე ოჯახის ვალად ითვლება ნაჩუქარი ფული. უწინ ასე არ ყოფილა და პატივცემულ მასპინძელს სამართლიანად სწყდება გული იმაზე, რომ ფულის სუფრაზე შეგროვებისა და ჩაწერის „ტრადიცია“ აქაც გავრცელდა.

ქორწილში ყოველგვარი საჭმელები იციან, ისევე, როგორც საქართველოს ყველა კუთხეში.

სმაში შეჯიბრი აქაც იციან, მაგრამ ეს შეჯიბრი ზომას იშვიათად გადასცდება, რადგან სუფრაზე უფროსებიც სხედან და ახალგაზრდები მორიდებულები არიან მათთანო.

სუფრაზე თამადას არ ირჩევენ. აქ არ ჰქონიათ თამადის კულტი, რადგან უწინ უალკოჰოლო სასმელებს სვამდნენ.

ერთ დროს ეს სოფელი სახელგანთქმული ყურძნის ჯიშის სამშობლო ყოფილა. ვეებერთელა ქვევრები აღმოუჩენიათ აქ. თურქობის შემდეგ კი, მუსლიმანური სარწმუნოება ხალხს ღვინის სმას უკრძალავდა და ვაზიც გადაშენებულა. ბუნებრივია, თამადის კულტი ვერ დამკვიდრდებოდა. ახლა, ქორწილში აქაც სცოდნიათ სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელები, ხოლო გასვენებაში არც ამჟამად სვამენ ღვინოს.

— ქელეხი თუ იციან თქვენთან?

— ქელეხი კი იციან.

— მერე, ქელეხი უღვინოდ იმართება?

— დიახ, უღვინოდ.

— თუ შეიძლება გვიამბეთ, როგორია თქვენთან მიცვალებულის დამარხვის წესები.

როგორც პატივცემული მემიშიში მამია გადმოგვცემს, მიცვალებულს მეორე-მესამე დღეს მარხავენ. გასვენებაში შედარებით ნაკლები ხალხი იყრის თავს — ხუთასი-ექვსასი კაცი. დაპატიჟება არ იციან. ნაცნობ-მეგობრები თავისით გებულობენ მახლობლის გარდაცვალებას.

უწინ მიცვალებულის ოჯახში პურ-მარილი არ მზადდებოდა. მეზობლები აკეთებდნენ და შორიდან მოსულ დაღლილ სტუმრებს ისინი უმასპინძლდებოდნენ. ახლა მეზობლებს მგლოვიარე ოჯახში მოაქვთ პროდუქტები და იქ მზადდება ქელეხის სუფრა.

გასვენების დღეს ჭამენ ძირითადად თევზეულს, კვერცხს, ლობიოს, სვამენ ლიმონათს.

საფლავთან მიცვალებულის შესახებ სიტყვას ამბობს ვინმე, „ჭკვიანი კაცი". გასვენებაში მუსიკა არ იციან. მიცვალებულს ტირიან მხოლოდ ახლობლები.

საფლავზე გადიან 52 დღის შემდეგ. ამ დღიდან მეზობლებს უფლება აქვთ იმხიარულონ. ზოგჯერ მგლოვიარე ოჯახის უფროსი მეზობელს უფრო ადრეც აძლევს ლხინის უფლებას — თუ ეს საჭიროა. ამ ნებართვის გარეშე მეზობელს არ შეუძლია წვეულების გამართვა (მაგალითად, გადადებული ქორწილის გადახდა).

თუ ქვრივი არ გათხოვდა, ის პატიოსნად ითვლება. საერთოდ, აქ იშვიათია ქვრივის გათხოვების შემთხვევები.

ჭირისუფლები შავებს ატარებენ ერთი კვირის განმავლობაში. წვერის მოშვება და მკერდით სურათის ტარება აქაური ხალხის „წესში" არ ყოფილა, მაგრამ ზოგჯერ მაინც ატარებენო.

პატივცემული მამიას აზრით, კარგი იყო უწინდელი წესი, როცა მეზობლები მასპინძლობდნენ გასვენებაში ჩამოსულ სტუმრებს. ახლა კი... სახლში ქალი თავის შვილს სტირის, ეზოში კი სტუმრები პურმარილობენ...

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ თუ კი ახალი არ მოგწონთ, რატომ არ აგრძელებთ იმ ძველ წესებს, ხომ არავინ გიშლით...

...დაშლით არავინ უშლით, მაგრამ ახლა „თავის შეწუხება აღარავის უნდა და რაკი ასეთი საშუალებები გამოჩნდა, ვიღა დაეძებს წესების სილამეზეს!“.

კიდევ გვინდა შეკითხვები მივცეთ პატივცემულ მასპინძელს, მაგრამ ვერიდებით მის ზედმეტად შეწუხებას. მადლობას ვუხდით და ჩვენც პლაჟზე თავშეყრილ ამხანაგებს ვუერთდებით.

დათოს ყველაზე პირველს გაუხდია. ახლა მას დასცინიან „პირველი მოცურავესავით რომ გამორბოდი, თავს რაზე იწუხებდი, წყალში მაინც ვერ ჩახვალ და ისე, ამ ცხელ ქვებზე სირბილი გეხალისებოდა? ვედროთი იქაც ამოგიტანდითო წყალს“.

მავთულს გადაღმა შავტუხა, ლაზი ბიჭები ბანაობენ.

აქ ზღვა მუქი მწვანეა. ალბათ ირგვლივ შემოჯარული, მაღალი მთების ანარეკლი თუ აძლევს მწვანე ელფერს.

ჩვენი მეთაური წასვლის ნიშანს გვაძლევს;

ადამიანის გული გაუმაძღარია. აღარც ბანაობა შეგვიძლია და წასვლაც გვენანება. აქ ყოფნაც გვინდა, ქობულეთში მალე დაბრუნებაც... ზოგჯერ ადამიანს საკუთარ სურვილებში გარკვევაც ისევე უჭირს, როგორც რთული მათემატიკური ამოცანის გადაჭრა. ამ დროს ისევე სჭირდება სხვისი დახმარება, როგორც გასაჭირში მყოფს...

ამ გაურკვევლობიდან ჩვენს მეთაურს გამოვყავართ და სარფში რამდენიმე საათის სტუმრობის შემდეგ უკან მიგვაქროლებს ჩვენი ცისფერი ავტობუსი.

ისევ კისერწაგრძელებულები ჩავსცქერით ზღვის ზურმუხტისფერ მშვიდ ზედაპირს, ალერსიანად რომ ელამუნება ცარიელ სანაპიროს.

— რა საინტერესო იქნება საზღვარზე ცხოვრება...

— ამას წინათ მთელი რაიონი შესძრა საზღვრის დარღვევის ცნობამ — გვიამბობს ჩვენი ბათუმელი მასპინძელი, პატივცემული გრიგოლი. — თურმე, შუადღისით, სოფლის ცენტრში თავშეყრილი ხალხი ხედავს, რომ საზღვარზე ვიღაც კაცი გადმოდის, მშვიდად და აუჩქარებლად. ატყდა ჩოჩქოლი. რაშია საქმე? საზღვრის დამრღვევი ასე აშკარად, მოურიდებლად, თამამად... მას მშვიდად გადმოუბიჯებია მავთულის ხლართებისათვის, და აინუნშიც არ ჩაუგდია

ამტყდარი ალიაქოთი. საზღვარს გადაღმა, ასევე ცენტრში თავშეყრილი ახალგაზრდების მხრიდან ერთ ხანს ხორხოცისა და სიცილის ხმა ისმოდა. მერე კი მათაც შეშფოთება დასტყობიათ. ...ბოლოს, აღმოჩნდა, რომ ის კაცი ვიღაც რიგითი თურქი უმუშევარი ყოფილა. სამუშაოს ძებნაში საზღვარს იქითა სოფლის ცენტრში თავშეყრილ ახალგაზრდებს მიადგა თურმე. მათ კი, ხუმრობით, აქეთ მოასწავლეს. საწყალ უმუშევარს, ეტყობა, პოლიტიკისა არაფერი გაეგებოდა და ახლა მავთულებს აქეთ დაუწყია დღიური ლუკმის ძებნა.

— იქნებ განგებ მოიშტერა თავი იმ კაცმა და სინამდვილეში რაიმე დავალებით იყო გადმოსული?

— ამის გამორკვევის სპეციალისტები არიან. დაახლოებით ერთ თვეს მიმდინარეობდა გამოძიება. ბოლოს კი, რახან მისი უდანაშაულობა დამტკიცდა, ჩააცვეს, დაახურეს, პატივი სცეს, ფულიც აჩუქეს და უკან დააბრუნეს.

ხელვაჩაურის რაიონულ ცენტრს შესანიშნავ ხეივანში ჩადგმული რესტორანი ამშვენებს. ჩვენმა მასპინძელმა დღევანდელი ღონისძიება სწორედ ამ რესტორანში დააგვირგვინა და მისგან ძალზე დავალებულებმა დავტოვეთ საქართველოს ეს ულამაზესი მხარე.

21 ივლისი. ჩაქვი—წყალთაშუა:

დილით „ოტიასა“ და მიშას ალიაქოთმა გამოგვაღვიძა. „ოტია“ ყველაზე ადრე იძინებს და ყველაზე ადრე ეღვიძება; მიშა ამ დროს შუა ძილშია.

„ოტია“ ჯერ პატარაა და ნორმალურად დაყივლებაც არ შეუძლია, მაგრამ ყველა მოზარდივით, ისიც დროზე ადრე ცდილობს თავისი ვაჟკაცობის გამოვლინებას და უთენია იწყებს ვარჯიშს.

თურმე რა „არაადამიანური შრომა“ სჭირდებათ მამლებს ხმის დასაყენებლად! ჩვენ კი გვგონია, რომ ეს მოხდენილი „ყიყლიყო“ ბუნების მადლია და მათ პირის გაღების გარდა აღარაფერი აქვთ საზრუნავი. უკაცრავად! თურმე, ეს ბუნებრივი მადლი რომ გამოამჟღავნონ, ისინი საკმაოდ დიდ ენერგიას ხარჯავენ.

და აი, ამ დილით მიშას მოთმინების ძაფი გაუწყდა და ცდილობს ავტობუსიდან „ოტიას“ გარეთ გამობრძანებას.

რა თქმა უნდა, „ოტიას“ გარეთ ყოფნა ურჩევნია, მაგრამ მიშას დამოკიდებულებას ისე აღუშფოთებია, რომ უარს ამბობს გარეთ გამოსვლის სიამოვნებაზე. ახლა ერთმანეთშია არეული „ოტია“,

ბიშა, „ოტიას“ ბუმბული, მტვერი, ჩვენი ნივთები და ათასგვარი დავიდარაბა.

ეს ომი „ოტიას“ სრული გამარჯვებით მთავრდება. ძილგატეხილი და თმაში „ოტიას“ ბუმბულგაჩრილი მიშა პირველი ტოვებს ავტობუსს და მდინარეზე საბანაოდ მიეშურება.

ჩვენი დაბანაკების ადგილზე მდინარე ჩაქვის წყალი უერთდება ზღვას. მდინარე პატარაა და სუფთა. ჩვენ ხან ცივ მდინარეში ვბანაობთ, ხან ზომაზე მეტად თბილ ზღვაში და ხან ორივეში ერთად. პლაჟი ქვიანია და მტვრიანი. ვიგონებთ ქობულეთისა და სარფის ზღვას, ხვინჭკნარ ნაპირს და ქობულეთის ერთხელ კიდევ მონახულება შეგვაქვს გეგმაში.

მაგულიმ განზე გამიხმო. ეტყობა, რაღაც ახალი ოინი ჩაუფიქრებია და ჩემი სახით თავის ეშმაკობაში თანამგრძნობი უნდა იპოვნოს.

— ნელის და მარიტას „კუპალნიკები“ გამოვკერე და ახლა ნახე, რა დღეში ჩავარდებიან...

მოუთმენლად ველოდებით პლაჟზე მათ გამოჩენას.

აი ისინიც. მაგული შეცბა.

მარიტას, როგორც ჩანს, ამოკერილი „კუპალნიკის“ ჩაცმა ჭკუაში არ დაუჯდა და სხვა აცვია. ნელის საბანაო კოსტუმი კი, აქამდე რომ ტანზე სრულად ადგა, ისე კოხტად აქვს შემოსხეპილი, თვალს ვერ ვაცილებთ.

გულდაწყვეტილი მაგული თავს ინუგეშებს;

— არაუშავს. მარიტას სეირს მაინც ვნახავთ. დღეს თუ არა, ხვალ ხომ ჩაიცვამს...

— ხვალ ზღვა უკვე შორს დაგვრჩება. გუშინ რომ გამოგეკერა, ნელის ხომ ეშველებოდა, ნახე, რა ლამაზი ტანი ჰქონია...

— გუშინ ვერ მოვიგონე. — გული წყდება მაგულის.

აქ დიდხანს დარჩენა არ ღირს, მით უმეტეს, რომ საუზმე არა გვაქვს და სადმე, გზაში ვაპირებთ დანაყრებას. მერე ქობულეთში შევივლით. „ჩვენს პლაჟს“ ერთხელ კიდევ მოვინახულებთ და საირმისაკენ ავიღებთ გეზს. თუ მიშა იმარჯვებს, ჩვენი ავტობუსით ზეკარის უღელტეხილს გადავლახავთ და აბასთუმანში ჩავალთ. იქედან კი ასპინძას, ვარძიას და ბოლოს თბილისს ვეწვევით.

ვემშვიდობებით ჩაქვის წყალს და მივდივართ.

მაგული წასვლას არ ჩქარობს და ზღვის ნაპირზე, ვითომ, სხვათაშორის, ტრიალებს.

— ტუფლები დავუმალე; ნახეთ, არც კი იმჩნევს, არც კითხულობს... — ჩურჩულებს დათო.

მაგული პლაჟიდან ფეხშიშველა ბრუნდება.

ბატონ გელას ისევ ახსოვს ქობულეთის ცხელ ქვიშაზე დამწვარი ფეხისგულები და მაგულის შეთქმულივით ეჩურჩულება — შენი ტუფლები ქვიშაში ჩამალეს. აბა, ჩქარა, იპოვნე და შემოგვიერთდი.

მაგული გაუბედავად მიდის, მაგრამ გრძნობს ცნობისმოყვარე თვალების გამოხედვას და ისევ უკან ბრუნდება.

ავტობუსში ვსხდებით.

— გოგო, შენ ფეხშიშველა მოდიხარ?

— დიახ, ბატონო გელა, ტუფლები პლაჟზე დავტოვე. ძველები იყო.

გზის პირას ჩადგმულ სასაუზმეში ახალი მაწვნით მსუბუქად ვისაუზმეთ. მაგული აქაც ფეხშიშველა შემოგვყვა.

მიშამ იფიქრა „ახლა კი დადგა შურისძიების დროო“ და ავტობუსიდან გვეძახის — თუ იცით, ეს ვისი ტუფლებია? აგერ, ჩემი სკამის ქვეშ ყრია!

მაგულიმ ყურები ცქვიტა, მაგრამ მაინც ფრთხილობს.

— არიქა, მაგული, შენი ტუფლები იქნება.

— როგორებია?

— თეთრები!

— მაგ ტუფლებს წითელი ბანტები აქვს?

— აქვს!

— ჰო, და ეგენი ჩემები არ ყოფილა. ჩემსას ბანტები არ ჰქონდა...

მაწვნის გამყიდველი ქერა ქალი გააოცა ჩვენმა თავშეუკავებელმა ხარხარმა. გამარჯვებული მაგული თვალებგაბრწყინებული კისკისებს; შეცბუნებული მიშა კი დაბნეული დგას და უხერხულობის დასაფარავად ავტობუსის ქვეშ მიძვრება, ვითომ მის შესაკეთებლად.

ქობულეთში „ჩვენი პლაჟი“ შეცვლილი დაგვიხდა: ამღვრეული ტალღები გაჯავრებით ეხეთქებიან ნაპირს; უზარმაზარი, ლურჯ და ვარდისფერარშიიანი მედუზები ნარნარად ირწევიან წყლის ზედაპირზე; სამხრეთიდან ცივი ქარი უბერავს; ტორტმანებს ზღვის მოშავო-მოლურჯო ზედაპირი და შავი ღრუბლებით დაფარული ცა აედარს გვპირდება. ქობულეთს გულდაწყვეტილები ვტოვებთ.

გეზი საირმისაკენ გვაქვს აღებული. გვინდა გზად ნაბეღლავშიც შევიაროთ. ჩვენმა მეთაურმა დღეის გეგმა ასე მოხაზა: მახარა-

ძეში ვისადილოთ, ნაბეღლავში წყალი დავლიოთ და სანამ მეორედ მოგვწყურდებოდეს, ვეცადოთ, საირმემდე მივაღწიოთო.

...მერე ზურმუხტისფერი კონტურებით მოხაზული ვაკე და მთაგორიანი ჰორიზონტები; ტყეები, ტყეები...

— ახლა კი მესმის, რატომ გარბოდნენ გურულები ფირალად; ასეთ მთებში და ტყეებში მეც კი გავიქცეოდი!

ვიგონებთ თედო სახოკიას „მოგზაურობანს". აქ იგი ასეთ თქმულებას გადმოგვცემს: ინდოეთის მეფეს ედემი გაუშენებია და მოუსურვებია ამ ქვეყნის დასახლება ულამაზესი ადამიანებით — „გურიებით". ინდურად „გურია" ულამაზესს ნიშნავსო. როცა ქვეყნის ულამაზესი ადამიანები შეჰკრიბეს და ინდოეთში მიჰყავდათ, სწორედ ამ ადგილას შეიტყვეს ინდოეთის მეფის გარდაცვალებაო. „გურიებს" ინდოეთის ედემისათვის ეს კუთხე უმჯობინებიათ და სამუდამოდ დარჩენილან საცხოვრებლად ამ ტურფა მხარეში; „გურიაც" ამიტომ დარქმევიაო.

— კი, აბა! იგივე თედო სახოკიას ვარიანტია ესეც: მეგრულად თურმე „გური" გულს ნიშნავს. გურამი — ბრაზიანს, გულიანს. გურულები სიფიცხით არიანო ცნობილნი. მეგრელისათვის გურული და გულფიცხი ერთი და იგივეაო!

— აბა, ვნახოთ ამ ორი ვარიანტიდან რომელია სწორი...

მახარაძე პატარა ლამაზი ქალაქია. შუადღის მზით გამლღვალ ასფალტს ალმური ასდის; ქალაქის ცენტრში თეატრის ვეებერთელა შენობაა, რომლის მოპირისპირე მხარეს კეთილმოწყობილი რესტორანი „აღმოვაჩინეთ". საკმაოდ მოშივებულები და დაღლილები ვართ და ვჩქარობთ, რომ სუფთა დარბაზში, პალმების ჩრდილში ჩადგმულ სავარძელში დავისვენოთ გემრიელი კერძების მოლოდინში.

უარით გამოგვისტუმრეს — გაყინული ხორცით მომზადებული და უგემური კერძები გვაქვსო. ამ სიცხეში გახურებულ ასფალტზე საჭმლის საძებნელად სიარული აუტანელ ტანჯვად გვეჩვენება და მზად ვართ გაყინული ხორცით ვისადილოთ, მაგრამ რატომღაც არ სურთ, თუნდაც უგემურად გაგვიმასპინძლდნენ. ალბათ ფულშემოლეული ტურისტები თუ ვგონივართ. დაყინებით მიგვასწავლიან სადგურის რესტორანში, იქ ყოველთვის ახალი ხორცი აქვთო.

იქედანაც უარით გამოგვისტუმრეს. ორი-სამი სასადილოც მოვინახულეთ და ბოლოს ერთ პავილიონში შევჩერდით. მსუქანი დახლიდარი გულუხვად გვპირდება: ხბოს მწვადებიც გვაქვს, შნიცელიც, ხარშოც, ცხელი მჭადიც, ყველიც და ციცი ლუდიც.

ჩვენი ექსპედიცია ახლა იმ პავილიონში გადაბარგდა.

მაგიდა სწრაფად გაავსეს ციცი საუზმითა და ღვინის ბოთლებით. ღვინო ვიუარეთ და თითო კათხა ლუდი შევუკვეთეთ.

ალბათ ჩვენმა არჩევანმა განსაზღვრა სადილის შემდგომი მსვლელობა: ხბოს მწვადები გათავებულა; შნიცელი და ჩაცივებული ლუდიც აღარაა, მჭადები გუშინდელია და თუ გინდათ, გაგიცხელებთო... მეტი რა გზაა, უნდა მშვიდად ავიტანოთ, რასაც შემოგვთავაზებენ...

უხმოდ შევჭამეთ ჩვენი ულუფა უგემური ხარშო და უკმაყოფილოებმა დავტოვეთ ხალხითა და თამბაქოს ბოლით სავსე პავილიონი.

— აბა როგორ გეგონათ, აქამდე რაიკომის მდივნების ხათრით გვიმასპინძლდებოდნენ, ახლა კი ისიც ნახეთ, როგორ ეპყრობიან რიგით ადამიანებს...

ქალაქიდან ისევ გავედით, რომ ხუმრობის ხასიათზე აღარა ვართ. მალე ბუნებამ და მაგულის სიმღერებმა თავისი გაიტანა...

ნაბეღლავისაკენ გადავუხვიეთ. მდინარე გუბაზოულის ხეობა ლამაზი ყოფილა, მაგრამ ცუდმა გზებმა გაგვაწამა. ასე რომ გვცოდნოდა, არ წამოვიდოდით. არ მოველოდით გურულებისაგან ასეთ უყურადღებობას ერთ-ერთი მთავარი გზატკეცილის შიმართ*.

დაღლილ-დაქანცულები და საშინლად დასიცხულები დავეყარეთ კურორტის ეზოში პატარა მინდორზე. მანქანიდან გადმოვათრიეთ რამდენიმე დღის წინ ნაყიდი ვეებერთელა „ბუხანკა“ პური და შემორჩენილი კონსერვები. წანწკარით მომდინარე წყალთან შეგროვილი გურულები ინტერესითა დ თანაგრძნობით გვიცქერიან, მადიანად რომ ვილუკმებით. „ოტიამ“ რატომღაც სხვების მხრებზე ძილი მოისურვა და როცა უდიერად ექცევიან, თვალებს გაოცებული აცეცებს...

აქვე ცოტა ხნით ჩავთვლიმეთ. შემდეგ საჩქაროდ ავიბარგეთ და უკან გავბრუნდით, იქნებ საირმემდე მივაღწიოთ.... გზად ერთი გურული ქალი წამოვიყვანეთ. იგი ძალიან აქებს გურულ წეს-ჩვეულებებს ძირითადად სწორედ იმის გამო, რაც ჩვენ არ მოგვწონს ამ ჩვეულებებში: „დიდ ქორწილს კაცი საჩუქრებიზა იხთის, აბა რაი!“, „დახმარება სახლის ხურვაზეც ვიცით და ეს კაია, აბა რაი!“...

— იქნებ მართალია ეს ქალი და გამართლებულია ხალხში შექმნილი ტრადიცია?

ხუთას-ექვსასკაციანი ქორწილები სცოდნიათ. საჩუქრები — ფულად. ყველაზე მცირე — თხუთმეტი მანეთი. ახლა ვიანგარიშოთ: ხუთასმა კაცმა რომ ყველამ თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი მოიტანოს

---

[1] რა თქმა უნდა, ახლა ეს გზაც შეკეთებულია (რედ.).

საჩუქრად, გამოდის 7500 მანეთი. ამით, ახალშექმნილი ოჯახი „წელგამართული“ ჩაებმება ცხოვრების ფერხულში. იქნებ მართლაც ასე ჯობია?

ცუდია, რომ იწერენ და ეს ოჯახის ვალად ითვლება?

იქნებ არც ესაა ცუდი? ახლად შექმნილ ოჯახს თუკი იმის შეგნებაც ექნება, რომ ხალხისაგან არის დავალებული, რომ თავიანთ კეთილდღეობას სხვებს უნდა უმადლოდეს და, თავის მხრივ, თავის დროზე ისიც დაეხმარება სხვებს... რით უნდა იყოს ცუდი ხალხის წინაშე მოვალეობის ეს შეგნება?

იქნებ სჯობია, ადამიანი თავისუფალი იყოს? „არც არავის დახმარება მაქვს მიღებული და არც მე ვარ მოვალე სხვებს დავეხმაროო“ — იტყვის ასეთი კაცი და თავისუფლად ამოისუნთქავს. თუ შეეძლება და მოისურვებს, სიკეთესაც ჩაიდენს ისე, რომ სამაგიეროს არავისაგან დაელოდება.

მაგრამ ასეთი კაცი, განა მოვალეობისაგან თავისუფლებასთან ერთად მარტოობასაც არ იგრძნობს? განა გასაჭირში მყოფს ექნება იმის იმედი, რომ თანასოფლელები მოვალენი არიან დაეხმარონ? სხვებიც ხომ თავისუფალნი არიან მოვალეობისაგან? განა ასეთი კაცი თანდათან არ ჩაიკეტება ინდივიდუალურ ნაჭუჭში და არ გაწყვეტს ნათესაურ თუ მეგობრულ ურთიერთობებს?

იქნებ სწორედ ის „არათავისუფლება“ სჯობია, როცა გრძნობ, რომ ბევრისაგან ხარ დავალებული და ბევრიც შენა გყავს დავალებული; ბევრის წინაშე პასუხისმგებელი ხარ და ბევრიც შენს წინაშეა პასუხისმგებელი? ალბათ ცხოვრების ასეთ ფერხულში ჩაბმული კაცი თავს მარტო აღარ იგრძნობს.

— ყოველგვარი ტრადიციის აღმოცენებას გონივრული საფუძველი აქვს, მაგრამ გზადაგზა იგი უარყოფით ელემენტებსაც იძენს; სამწუხაროდ, ზოგიერთ ტრადიციაში დღეს უარყოფითი მომენტები ბევრად მეტია, ვიდრე დადებითი: თავი რომ დავანებოთ უამრავ გაცდენილ მუშახელს, მათ მიერ ამაოდ დახარჯულ ენერგიასა და ჯანმრთელობას, ინერგება და ვრცელდება მომხვეჭელობისა და ანგარების კულტი. ასეთი მიზნებით გადახდილ ქორწილში ვიღას ახსოვს ლხინისათვის აუცილებელი რიტუალები: ნათესავების მიერ ერთმანეთის გაცნობა-დამეგობრება; ცეკვა-სიმღერებში შეჯიბრება... და ყოველივე ის, რასაც „მოლხენას“ უწოდებდნენ ჩვენი წინაპრები. აქ დაქირავებული მუსიკოსები უკრავენ და დაქირავებული მომღერლები მღერიან; სტუმრები კი უსმენენ და ჭამა-სმით არიან დაკავებულნი. ერთმანეთს ცნობისმოყვარეობით თუ შეავლებენ თვალს; ურთიერთგაცნობაზე ლაპარაკი ზედმეტია. მასპინძლის ფიქრები

ფულს დასტრიალებს: ვაი თუ ცოტა ხალხი მოგროვდეს და დანახარჯიც ვერ ანაზღაურდესო ...დასასრულს კი, ან მცირე შემოსავლით გულდაწყვეტილი და სტუმრებზე გაბრაზებული მასპინძელი, ან დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი, დიდი შემოსავლის გამო, მოგროვილი ფულის გადათვლა-განაწილებაში რომაა გართული. ხშირად ეს „განაწილება“ უკმაყოფილებას იწვევს ოჯახის წევრებს შორის.

ყველაზე ცუდი ისაა, თუ ახალი ოჯახი ამ ფულის იმედით იქმნება. ასე შექმნილი ოჯახი შეიძლება მატერიალურად უზრუნველყოფილი იყოს, მაგრამ ანგარებითა და მომხვეჭელური ინტერესებით დაწყებული „საქმე“ ასევე გრძელდება და ოჯახის მავნე ტრადიციად იქცევა. იკარგება საკუთარი გარჯით გამოწვეული სიხარული; უცხო ხდება საკუთარი ნაშრომისა და ნაოფლარის გემო და იოლ შემოსავალს გამოდევნებული ადამიანი დანაშაულამდეც იოლად მიდის.

ასე, რომ ტრადიციის აღმოცენებას შეიძლება გონივრული საფუძველი ჰქონდეს, მაგრამ თუ ზომიერების გრძნობა გვიღალატებს, იგი უფრო ცუდ შედეგებს მოგვცემს, ვიდრე დადებითს. ზომიერების დაცვას კი მუდმივი კონტროლი სჭირდება საზოგადოების მხრივ.

ნაბეღლავიდან ჩოხატაურის გაელით ვანში ამოვყავით თავი.

მთელ გზაზე გულს სიამით გვივსებდა ასფალტზე თანაბარი ქროლვა და კოპწია ეზო-კარმიდამოიანი სოფლების ცქერა.

ვანმა თანამედროვე არქიტექტურულ ძეგლთა სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გაგვაოცა. რაიონულ ცენტრში ქანდაკებებით დამშვენებული გზით შევსრიალდით, ქალაქის ცენტრი ხომ თანამედროვე ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა გეგონებათ! ოღონდ, აქვე, „გამოფენის“ საპირისპირო მხარეს, ქუჩისაკენ ზურგით ჩადგმულმა სველმა წერტილმა მთელი ეს შთაბეჭდილება გააქარწყლა. ამ „დაწესებულებიდან“ უკმაყოფილო ბურდღუნით, ფეხის ცერებზე გამოდის დათო და გულმოსული მიშას ეჩურჩულება — მიშა, ქალაქს რომ გავცდებით, სადმე, ბუჩქებთან გააჩერე მანქანა, რა! ამ გამოფენების მოწყობას ერთი სველი წერტილი ჩაედგათ, არ.ერჩიათ?

მაიაკოვსკში ღამით შევედით. უამრავი ნაოურების ციმციმზე შევატყვეთ, რომ ესეც საკმაოდ მოზრდილი ქალაქი უნდა იყოს. აღმართ-დაღმართებიც გამოვიარეთ და ჩვენი მეთაურის მეგზურობით საირმის გზატკეცილს დავადექით.

დაღლილ-დაქანცულები „წყალთაშუაში“ დავბანაკდით. როგორც ბატონი გელა გვეუბნება, აქ მდინარე ხანისწყალი საირმის

წყალს — წაბლნარას უერთდება. ეს ადგილი ძალიან ლამაზი ყოფილა. ახლა ღამეა და მეტი გზა არა გვაქვს, უნდა ვირწმუნოთ.

მანქანის შუქზე მოვძებნეთ მდინარის პირას მინდორი და ფიჩხი. სწრაფად ავანთეთ კოცონი და ახლა ამ მინდორზე, კოცონისა და სანათურების შუქზე ქვებისაგან ვასუფთავებთ მინდორს; ვშლით კარვებს; ვბერავთ ლეიბებს, ვაჩხარუნებთ ქვაბებს, მდინარიდან მოვარბენინებთ წყალს... და ვახშმისათვის ვემზადებით...

22 ივლისი. წყალთაშუა—საირმე; ზეკარი—ასპინძა:

ხმაურმა გამოგვაღვიძა. კარვიდან თავი გამოვყავი და გარემო დაკვირვებით მოვათვალიერე: სოფლის ბოლოში, მდინარეზე გადებული ხიდის ძირში გაგვიშლია კარავი.

ამ ხიდთან სოფლელები იყრიან თავს და გამვლელ მანქანებს ან საირმისაკენ მიჰყვებიან, ან ვანისა და მაიაკოვსკის მიმართულებით. ახლა კი ისინი მოაჯირზე გადმომდგარან, დაკვირვებით გვათვალიერებენ და მხიარულად ყაყანებენ: გამვლელი მანქანები ჩერდებიან, მძღოლები გვიცქერიან და მრავალმნიშვნელოვნად იღიმებიან. ალბათ მართლაც უცნაურად გამოვიყურებით: მინდორი, სადაც წუხელ კარვები გავშალეთ, ქვიანია და მტვრიანი. მდინარე — ჭუჭყიანი. ჩვენი ჭრელ-ჭრელი საძილე ტომრები მოხეტიალე ბოშების გემოვნებითაა შეფერადებული. გასაკვირალი არაა სოფლის მცხოვრებთა ეს ინტერესი, მაგრამ მაინც გული მოგვდის მათზე ამ მოურიდებელი თვალთვალისათვის.

ჩვენი მეთაური სისხამ დილით ამდგარა და მდინარეს აჰყოლია ტყისაკენ. უბანავნია და უკან კარგ ხასიათზე ბრუნდება. ახლა ჩვენ გვიჯავრდება — გაუკვირდებათ, აბა რა! სოფლელ კაცს უკვე მთელი საქმეები მოლეული აქვს. თქვენ კი ახლა იღვიძებთ! ვერა ხედავთ, მეათე საათია?

მალე საირმის ხეობას მივყვებით. ერთმანეთს ენაცვლება ატეხილ ჭალებში მჩქეფარე, ქაფქაფა წყაროები და ტანაშოლტილი ნაძვებით თავმომწონედ ცამდე აზიდული მთები; სხვადასხვა ფორმის შიშველი სალი კლდეები და მის თავზე ჯანღად წამომდგარი ქულა ღრუბლები. ხეობის ფსკერზე კი ზვიადად გაწოლილა გველივით დაკლაკნილი გზატკეცილი.

მერე, ჭალასა და გზატკეცილს შორის, განმარტოებით აწოწილ კლდესთან ვჩერდებით. კლდე თითქოს განგებ გამოუკვეთავთ კონუსისებურად. კონუსის წაკვეთილ, ვიწრო წვეროზე კი ერთადერთი,

ტანკენარი, მკლავებგაშლილი ნაძვი წამოსკუპულა. იგი თითქოს თავისკენ მოუხმობს გაღმა-გამოღმა, მთების კალთებზე შეფენილ თანამოძმეებს...

კურორტი საირმე პატარა და სუფთა, ხმაურიანი მდინარის პირასაა გაშენებული. სამკურნალო წყლები ფართო ფანჯრებიანი მარმარილოს ჯიხურებშია გამომწყვდეული. შილიფად ჩაცმული მოაგარაკენი, ჭრელი თერმოსებითა და სურებით ხელში, წყლის რიგში ჩამდგარან და თან რაღაცაზე გაცხარებული დავობენ.

მდინარის ნაპირზე მრავალსართულიანი, ჭრელი სასტუმრო კოტეჯები და სხვა საცხოვრებლებია ჩადგმული.

აქედან სამანქანო გზა ზეკარის უღელტეხილის გავლით აბასთუმანში გადადის. სწორედ ამ გზას მიუყვება ახლა ჩვენი ავტობუსი.

სულ მალე თვალს მიეფარა ადამიანის ყოველგვარი ნამოქმედარი. აქაური ტყის სილამაზით ვტკბებით. გზას ორსავე მხარეს ტანაყრილი წიფლნარი მისდევს. სიღრმიდან საამო, სურნელოვანი ჰაერი შოაქვს გრილ ნიავს.

გზის პირას მთის ყვავილები და მარჯნისფერი მარწყვის ბუჩქები მომრავლებულა; ერთგან ძროხა თუ ხარი დაუგლეჯია ნადირს და ქარწვიმისაგან დამპალი ტყავი და ჩლიქები ჩაშავებულა ძვლების მიმოფანტულ გროვასთან.

მივიწევთ მაღლა და ახლა გაღმა, ხევის თავზე აზავთებული, ოქროსფრად მოვარაყებული ღრუბლები და მის საბურველში გახვეული მწვერვალები გვაჯადოვებს.

ტყის დასასრულს, ვეებერთელა, სათიბ მინდორში, წითელი, ველური ყვავილები ისე მომრავლებულა, რომ ამ ადგილისათვის „წითელი მინდორი“ დაურქმევიათ. მინდორი რომ ავათავეთ, უნაგირივით მოშიშვლებულ, უზარმაზარ ქედზე შევდექით. ჩვენს ფეხქვეშ ახლა სამხრეთ საქართველოს ბებერი, დანაოჭებული ქედია გადაჭიმული.

უნაგირა ქედის ტალღოვან კალთებზე შარშანდელი თოვლის ლაქებია შემორჩენილი; აქვე უამრავი ხარ-ძროხა ძოვს ბალახს.

სვანეთის გზების შემდეგ მიშას აქაურობა მოასფალტებულ ვაკედ ეჩვენება და წინ დაუბრკოლებლად მივიწევთ.

ესეც უღელტეხილი. ვჩერდებით.

გზის ქვემოთ, ტაფობში, თაფლისფერი და შავწინწკლებიანი ფრინველი ქვაზე წამომჯდარა და მშვიდად გასცქერის ცის სილურ-

ჯეში ამოზრდილ მწვერვალებს. ავტობუსის ხმაურმა იგი ჩვენკენ მოახედა; დინჯად შეგვათვალიერა თავისი მრისხანე თვალებით. ნაბდიანი ვაუკაცივით გაშლილი, ვეებერთელა მხრები ოდნავ შეათამაშა და ვითომც აქ არაფერიო, ზანტად მიაბრუნა პატარა თავი.

ჩვენმა მეთაურმა თოფი დროზე შემართა, მაგრამ არ უსროლია. ირწივმა უზარმაზარი ფრთები გაშალა და ხევს გაღმა, რუხ ლოდებს შეერია.

— რატომ არ ესროლეთ, ბატონო გელა?

— აჰ, რას ამბობ, ვერ ნახეთ, რა ამაყად გადასცქეროდა ქვეყანას?

— საცოდავი, სუსტი რომ ყოფილიყო, მოკლაედით?

— არა. ძლიერი და ამაყი დასანანია. სუსტი — ცოდვა.

— აბა, ქორი რომ მოკალით?

— ქორი ხომ არც დასანანია და არც ცოდვა...

— იქნებ პატარა ბარტყები ჰყავდა, ისინი ცოდვანი არ იყვნენ?

— რას ჩამაციედი... შენ ჩემი მეგობარი ხარ, თუ იმ ქორისა?

ამწვანებულ, ჯუჯა ბუჩქებიან მწვერვალზე ავდივართ; ვისვენებთ და გაღმა-გამოღმა ხევ-ხუვებს ვათვალიერებთ. ისეთ სიმსუბუქეს ვგრძნობთ, რომ გვეჩვენება — სულ ადვილია აქედან ხევს გაღმა გადაფრენა. ვაუები წელს ზემოთ გაშიშვლებულან და აქაურ მზეს ეფიცხებიან; თვალებდახუჭული გოგონები მავთულზე ჩამომსხდარა ბეღურებივით ჩამწკრივებულან გზის პირას და გარუჯული სახეები მზისათვის მიუშვერიათ...

მხოლოდ მაშინ წამოვიშალეთ, საღამოს გრილმა ნიავმა რომ დაუბერა. აქ ყოფნა ოცნებასავით გაგვიტკბა, მაგრამ შიმშილმა თავი შეგვახსენა და ღამის გასათევი ადგილიც ხომ უნდა მოვძებნოთ!

აბასთუმნისაკენ მიმავალი გზა ტყე-ტყე მიიკლაკნება ცამდე აწვდილ წიფლნარს შორის. ჭრელი ყვავილებით ამოქარგული მინდორი ირგვლივ გამაბრუებელ სურნელებას აფრქვევს; ფოთლებში შემოჭრილ მზის სხივებს ოქროსფრად მოუვარაყებიათ ცისკენ გაწვდილი ტოტები...

აბასთუმანში არ ვჩერდებით. მხოლოდ შორიდან ვათვალიერებთ ნაძვნარში ჩაფლულ ობსერვატორიასა და სანატორიუმებს, ჩამავალი მზის შუქზე მოწყენილად რომ გამოიყურებიან.

ვჩქარობთ. გვინდა, ასპინძის გავლით დღესვე მივაღწიოთ ვარ-ძიას. ხვალ კი თბილისისაკენ ავიღებთ გეზს.

ვარძიაში ყველა ვართ ნამყოფი, მაგრამ ამ მარშრუტიდან მისი გამოტოვება დიდ ცოდვად მიგვაჩნია და რაკი წინ დიდი გზა გვაქვს გასავლელი, მიშა თავდაუზოგავად მიაქროლებს მანქანას.

ახლა ჩვენს გასწვრივ შიშველი მთა-გორები მიჰქრიან. გაღმა ფერდობს ხალხმრავალი სოფლები შეჰფენია. სოფლები თითქმის ერთმანეთზეა გადაბმული. ძნელად გაარკვევ, ბოლო მოსახლე რო-მელ სოფელს ეკუთვნის.

სოფლებს ბაღ-ვენახები ეკვრის გარს. ბაღების ქვემოთ მდინა-რე ქვაბლიანი მიედინება და ახალციხესთან ახლოს მტკვარს უერთ-დება. ახლა ამ მდინარის გასწვრივ მივქრიეართ და თვალი გვრჩება გრილი ჩრდილებიანი ბაღებისაკენ.

გადავწყვიტეთ აქ დავისვენოთ; შემორჩენილი სურსათით დავ-ნაყრდეთ, მდინარეში ცოტა ვიჟუუმპალაოთ, მანქანაც გავრეცხოთ და მერე გზა გავაგრძელოთ.

მალე ვიპოვნეთ მდინარეზე ჩასასვლელი საურმე გზა. მიშამ მან-ქანა შუაგულ წყალში გააჩერა — გაღმა ვეღარ გავალო...

ჟრიამულით ჩავცვივდით წყალში და გაღმა გავზიდეთ ჩვენი სურსათი.

გოგონები კივიან და წყალს დგაფუნით მიაპობენ; აშხეფებული წყლის ჭავლი სანახევროდ გვასველებს და ნაპირზე გაწუწული ქათ-მებივით გავდივართ. მერე კი, ვაშლების ჩრდილში მიწოლილები ვთვლემთ...

მალე ეს ბაღები და შორეული სოფლები უკან მოვიტოვეთ და ახალციხეში შევსრიალდით. ცოტა ხნით ქალაქში ვჩერდებით. სურ-სათს ვიმარაგებთ და საჩუქრებს ვეძებთ ჩვენი მახლობლებისათვის.

გოგონებმა გადავწყვიტეთ, ვაჟებს საჩუქრები მოვუმზადოთ ექ-სპედიციის თანხებიდან. ხაზინადარი მე ვარ და ფულიც მე მაბარია. ერთხმად შევთანხმდით: ბატონი გელას პატარა დათოს და მიშას გოგიტას ველოსიპედები ვუყიდოთ; თალესის მარინას — თოჯინა, დათოს ვაჟს კი, სამი თვის მერე რომ შეეძინება — რაიმე, შესაფე-რისი.

დაახლოებით ერთი საათი წაგვართვა მაღაზიებში ამაო ხეტი-ალმა. ჩვენი ვაჟები კარგა ხანია მანქანაში გველოდებიან; საყვედუ-რებით აგვავსეს დაგვიანებისათვის. ჩვენ გული გვწყდება, რომ ასე-

თი კარგი განზრახვა ჩაგვეშალა და უმადურთა საყვედურიც კი დავიმსახურეთ.

ზედ გზის პირას, მდორედ მოედინება მტკვარი. მდინარის გალმა-გამოღმა, ტერასებად ამოშენებული, დიდი ხნის წინათ მიტოვებული სავარგულები ხავსსა და ჯუჯა ბალახს დაუფარავს; ირგვლივ ერთიანად ჩამორეცხილი მთების ჩონჩხებიღა დარჩენილან; ისინი მზეზე გამოხუნებული კლდის მასივებად გასდევენ ხეობას.

ასპინძაში რომ შემოვედით, მზემ თავისი უკანასკნელი სხივები აიკრიფა.

აქაური უნივერმაღი კარგად მარაგდება. გოგონებს საჩუქრების ცთუნება არ გვასვენებს, მაგრამ ვეღარ ვბედავთ მაღაზიის ხსენებას და გულდაწყვეტილნი ვაგრძელებთ გზას.

როგორც ყოველთვის, ბატონი გელა ახლაც უსიტყვოდ გრძნობს ჩვენს გულისწუხილს და გვამხნევებს:

— გოგონებო, ნუ გეშინიათ, უნივერმაღში ხვალ, აქეთობას გამოვიაროთ.

ასპინძა-ვარძიის გზაზე, წუნდის ტბასთან შევჩერდით. იგი ისლის სქელი ბუჩქებითაა შემოჯარული და მთლიანად მუქმწვანედ გამოიყურება. ტბის გვერდით მომცრო რესტორანია წამოსკუპული; რესტორნის ეზოში წვრილი წკნელებით მოწნული ფაცხა დგას. ჩვენი მეთაურის ასპინძელმა მეგობრებმა ამ ფაცხაში ვახშამი შემოგვთავაზეს.

ავტობუსიდან „ოტიაც“ გადმოვსვეთ და რადგან უკვე საკმაოდ შეგვეჩვია, რესტორნის ეზოში გავუშვით და ტბისკენ მივდივართ პატარა ბიჭების ჯგუფთან ერთად.

ტბის სიღრმეში პატარა მოღერებული კისერი და ნიჩაბა ნისკარტი ყელყელაობს.

— იხვი, იხვი! — ვყვირით და ტბას გარშემო ვუვლით.

მალე ჩვენთან ბატონი გელაც მოდის თოფით ხელში.

— კინაღამ „ოტია“ არ დაგვიკლეს?

— ააა? როგორ?

— მზარეულს დაუჭერია და უკანა ეზოში გაუყვანია დასაკლავად, სხვა ქათმებთან ერთად. დათო კრიჭაშეკრული უყურებდა და ხმას ვერ იღებდა „მომერიდაო“. ისევ „ოტიამ“ იმარჯვა და ისეთი კრიახი ასტეხა, ყველას ყურადღება მიიქცია. კიდეც გადაირჩინა თავი.

პატარა, გარუჯულმა და გამხდარმა ბიჭმა თოფი რომ დაინახა, თვალები გაუბრწყინდა. ნავში ჩახტა, აუშვა და გასეირნება შემოგვთავაზა.

ნიჩბებს მაგული მიუჯდა.

— ბატონო გელა, მითხარით და საითაც გიხდათ, წაგიყვანთ.

ტბის მეორე ბოლოში ისევ მოსჩანან წყლიდან კითხვის ნიშნებივით ამოწვდილი თავები. ჩვენმა მეთაურმა თოფი შემართა და იქით წაყვანა მოითხოვა.

ნადირობის აზარტმა გოგონებიც შეგვიპყრო და სიბრალული გადაგვავიწყა.

.მაგული ნიჩბებს აცოდვილებს და ნავი წრიულად ტრიალებს... ყანყალებს... ცოტაც და გადაბრუნდება...

ვკივით.

ბიჭი ვეღარ ითმენს, მაგულის ნიჩბებს ხელიდან სტაცებს და ნავი ისარივით მიაპობს წყალს „კითხვის ნიშნებისაკენ“.

იჭექა თოფმა.

— მოხვდა!

— მართლა? რა იცით?

— დავინახე, მოხვდა!

ამასობაში ნავი სწორედ იმ ადგილს მიადგა, სადაც წეღან იხვები ჭყუმპალაობდნენ.

ხშირ ლელიანში, ჯერ კიდევ მოყვითალო ბუსუსებით შეგუნგლული იხვი ფრთებს უსუსურად აფართხალებს.

ჩემი სიკვდილი, პატარა ყოფილა, ჩემი სიკვდილი! — დანანებით ჩასცქერის ტბის ნაპირთან მოფართხალე ფრინველს ბატონი გელა და მის ამოყვანას ამაოდ ლამობს. ტბის ბუჩქნარში ნავი ვეღარ აღწევს და ჩვენგან ორ ნაბიჯზე მოფარფატე ფრინველს ვერა და ვერ მივწვდით.

ცოტაც და იგი აღარ ჩანს

— ვაიმე, ჩაიძირა!

— არა, კი არ ჩაიძირა, ჩაყვინთა. — გვიხსნის ბიჭი. — მყვინთავი იხვების ჯიშს ეკუთვნის და მისი დაჭერა ძნელია. მიუახლოვდები სათოფე მანძილზე და აღარაა. გიკვირს, სად უნდა წასულიყო? არ გაფრენილა... ცოტა ხნის მერე სხვაგან ამოჰყოფს თავს და ასე, დაუსრულებლად...

— წესით ახლა ნადირობა აკრძალული უნდა იყოს, ბარტყობის პერიოდი ყოფილა.

— დიახ, აკრძალულია.

— მერე? თუ აკრძალული იყო, რატომ არ დაგვიშალე?
ბიჭი ილიმება.
— თქვენ ვინ დაგიშლით, სტუმრები ხართ...

ცოტა ხანში რესტორნის ეზოში თავშეყრილ, ტანმორჩილ, გაჩუჯულ ბიჭებს ჩვენი საჩუქრების უკანასკნელ მარაგს ვთავაზობთ.
თვალებგაბრწყინვებულ პატარებს ორივე ხელით ჩაუბღუჯავთ სურათებიანი წიგნები და შინ წასვლას არ ჩქარობენ.
— ბავშვებო, ხომ ხედავთ, დაღამდა, თქვენს სოფლამდე კი, ალბათ შორი მანძილია, სიბნელეში არ გეშინიათ?
— რისა უნდა გვეშინოდეს? — უკვირთ პატარებს და ფაცხის კარებთან ჩამოსკუპულნი ერთმანეთის წიგნებს ინტერესით ათვალიერებენ.

სანთლებით განათებულ ფაცხაში ასპინძური მადლიანი პურმარილი იმართება აქაური თავკაცის ლევან ისაკაძის თამადობით და თიხის ფიალებით იშვიათი ჯიშის „ხიხვის“ ღვინო ისმება. მერე კი ავტობუსში ვსხდებით ჩვენს „ოტიასთან“ ერთად და მასპინძლები ვარძიაში მიგვაცილებენ.
სადღაც ვჩერდებით. ვიღაც ნამძინარევი კაცები რაღაცას დიდხანს თათბირობენ, მერე კოტეჯში შევყავართ და ქათქათა თეთრეულიან საწოლებს გვთავაზობენ. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევს. მხოლოდ მეზობელი კოტეჯების აივნებზე ბეუტავენ რულმორეული ნათურები.
ასპინძელი მასპინძლები გვემშვიდობებიან და ჩვენ, შთაბეჭდილებებით დამძიმებულები, ღრმად ვიძირებით ღამის მყუდროებაში.

23 ივლისი ვარძია-თბილისი:

უცნაურმა ჭყიპინმა გამომაღვიძა. წუთით „წყალთაშუაში“ იმერლებით გარშემორტყმული ჩვენი ბანაკი მომაგონდა. წამოვჯექი. ქათქათა საწოლმა და ფიცრის კედლებმა წუხანდელი ღამე მომაგონა. სწრაფად ჩავიცვი და ფანჯარასთან მივედი. სახტად დავრჩი: გაღმიდან თავს წამოგვდგომია მოყვითალო კლდეში სართულებად ნაკვეთი ქალაქი. ამომავალ მზეს ოქროსფრად მოუვარაყებია კლდის რბილი კონტურები. სართულებიდან კი საიდუმლოებით მოცული, შავი ხვრელები ჩვენკენ იცქირებიან.
— ჩქარა, ჩქარა, ადექით, წავიდეთ...

ჩვენს გვერდითა კოტეჯში კახეთის რომელიღაც სკოლის მოსწავლებს გაუთევიათ ღამე, უთენია ამდგარან და ახლა ეზოში ერთი ჟივილ-ხივილია.

ჩვენ რამდენჯერმე ვყოფილვართ აქ, მაგრამ მაშინ ეს კოტეჯები არ ყოფილა. თურმე ახლა ჩაუდგამთ, იმ ურიცხვი ტურისტებისათვის, აქ რომ ყოველ დღე მოდიან. არ მოველოდით, თუ ახლადგამოღვიძებულები ძველი ქალაქის ნაშთის პირისპირ აღმოვჩნდებოდით.

კლდეში ნაკვეთ მთავარ დარბაზში მაგნიტოფონი დაუდგამთ და ძველი ქართული საგალობლები აქვთ შემონახული, რომელსაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ჩართავენ ხოლმე. ახლა, ჩვენ რომ შევდივართ, ამღერებული კლდე გვეგებება და აღელვებულებს თვალებში ჩამდგარი ცრემლები მზერას გვიბინდავს. კედლებიდან „ინტერესით“ და სევდიანად იცქირებიან წინაპართა ჭკვიანი ლანდები. გვაჯადოებს საოცარი ოსტატობით შეზავებული საღებავებით შესრულებული ფრესკები და კლდის სიღრმიდან მობერილი გრილი ნიავი ცივი წყლის აუზისაკენ მიგვიძღვის. მოწიწებით ვათვალიერებთ სხვადასხვა დანიშნულების ოთახებს, ასე რაციონალურად და საოცარი სიზუსტით რომ არის განლაგებული ერთმანეთის გვერდით და ერთიმეორის თავზე.

საუკუნეების განმავლობაში გამოფიტულ, ჩაშვავებულ კლდეს ნახევარი ქალაქი დაბლა ჩაუტანია, მაგრამ რაც დარჩა, ალბათ მსოფლიოს საოცრებათა საგანძურში საპატიო ადგილს დაიჭერდა. ზაფხულში, კლდეში ნაკვეთი ქალაქი საოცრად გრილი და საამო ყოფილა. ზამთარში კი მთელი ზაფხულის განმავლობაში სითბოგამჯდარი კლდე ნელ-ნელა უზოგავდა სითბოს ციხე-ქალაქის მესვეურებსო.

აქაურ ეკლესიას ხომ არაჩვეულებრივი რეზონანსი აქვს! ერთი კაციც რომ მღეროდეს, გეგონება მთელი კაპელა მღერისო...

ვიწრო გვირაბში დატანებული, მარაოსებურად გაშლილ ქვის ბნელ კიბეებს მტკვრისპირას ჩავყავართ. აქ ხიდქვეშა წყლიდან ქერა ტურისტების მხიარული სახეები შემოგვცქერიან; აქვე ვიღაცეების ავტობუსი შეჩერებულა; გადმოაქვთ გაზეთებში შეხვეული საწოვაგე, ტიკით ღვინო და ხუჭუჭა ბატკანი. შავგვრემანი, წვერგაუპარსავი კაცი ქალაქის დასათვალიერებლად ასულებს მოუთმენლად და ცოტა გაჯავრებითაც მოუხმობს და აბღავლებულ ბატკანს განზე მიათრევს. ცოტა ხანში უკანა ფეხით თავდაყირა დაკიდებულ, გაშიშვლებულ, ნაზ სხეულს ნელ-ნელა აქუცმაცებენ და გრძელ შამფურებზე ანაწილებენ...

კოტეჯებთან სამგზავროდ გამზადებული ავტობუსი გველოდება. ვსხდებით, ერთხელ კიდევ შორიდან ვეთხოვებით ძველი ყოფის ამ დიდებულ ნაშთს და ასპინძისაკენ მივყვებით ბებერი კაკლისა და თუთის ხეების გასწვრივ შავად მოლაპლაპე გზატკეცილს.

— საღამოთი თბილისში ვიქნებით!

— რამდენი დღის წამოსულები ვართ?

— თვრამეტი. ერთი წლის შთაბეჭდილებები კი დაგვიგროვდა.

— თბილისს რომ მივუახლოვდებით, შევჩერდეთ. ექსპედიციაც შევაფასოთ, თითოეული მონაწილეც და ბოლოს მთელი ჩვენი ქონებაც გავანაწილოთ.

— ბატონო გელა, ექსპედიციას ალბათ „ხუთიანზე" შეაფასებთ?

— რატომ „ხუთზე" და „არა „სამზე"?

— რას ამბობთ, ბატონო გელა!

— „ხუთზე", ბატონო გელა!

— მოიცათ, მოიცათ, მეგობრებო! ჯერ მოვიგონოთ, რა მიზანი ჰქონდა ექსპედიციას. მერე, იმის მიხედვით შევაფასოთ, განვახორციელეთ თუ არა ეს მიზანი.

მაშ, რა მიზანი გვქონდა?

— საქართველოს ულამაზესი ადგილების მონახულება...

— მასალების შეგროვება ეროვნულ ტრადიციებზე...

— ღიახ, მართლაც საუკეთესო ადგილები მოვინახულეთ. ამის გამო ექსპედიციაც „ოთხიანზე" შევაფასოთ.

— რატომ „ოთხიანზე"?

— თუნდაც იმიტომ, რომ რამდენიმე შეცდომა დაეუშვით. მაგალითად: ანაკლია, წყალთაშუა, ნაბეღლავი — არ იყო საჭირო. ახლა ექსპედიციის მეორე და მთავარი ნაწილი — მასალების შეგროვება ეროვნულ ტრადიციებზე: ამხანაგ გაფრინდაშვილს, როგორც ამ ღონისძიების ფორმალურ ხელმძღვანელს, ხათრითა და ნაცნობობით, შეიძლება „სამიანი" დაეუწეროთ. მაგრამ რადგან მისი საქმიანობა ჩვენით იყო განსაზღვრული, ეს სამიანი ყველამ უნდა გავინაწილოთ.

— ბატონო გელა, რა მკაცრი ყოფილხართ, ცოდოა ამხანაგი გაფრინდაშვილი...

— ჩვენი ამოცანა იყო, თვითონვე დავსწრებოდით და დაკვირვებოდით ქორწილებს, დასაფლავებებს; გამოგვეკითხა მცხოვრებლები — რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ ამ წესებიდან; რა აზრი აქვს ამა თუ იმ ცერემონიალს; ახლა კი ალბათ რამდენი რამ ვერ გვითხრეს, რამდენი რამ გამორჩათ, ჩვენთვის საინტერესო, მთხრობელებს... ჩვენ ცოტა გვაქვს ამა თუ იმ კუთხის ჩვეულებების

დასახასიათებლად მასალა. ის როდი კმარა, რომ ხევსურებმა დოლი იციან დასაფლავებისას; აჭარლებმა დაქირავებული მოტირლები, მეგრელებმა მაწვნიანი ქორწილები...

— ისიც ხომ ვიცით, როგორი ქორწილები იციან ლენინგორში: ვთქვათ, აცეკვეს ქალი ან ქალიშვილი. მას ნათესავები, მეგობრები ან თაყვანისმცემლები ფულს აწვდიან. ქალი თან ცეკვავს, თან ფულს აგროვებს. მერე ეს ფული მუსიკოსებს უნდა დაუყაროს წინ. თუ მოცეკვავეს ბევრი ფული უჭირავს ხელში, ესე იგი, შეძლებული ნათესავ-მეგობრების პატრონია და ასეთი ქალი დიდი პატივით სარგებლობს, ხოლო ქალიშვილი სახარბიელო სარძლოდ ითვლება.

— აი, ჩვენ სწორედ ასეთი ხასიათის ჩვეულებები უნდა ჩაგვეწერა, რადგან გვაინტერესებდა ამ ტრადიციების ეთიკური შეფასება და გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება. ეთიკოსებს ევალებათ ცვლილებები შეიტანონ ამ წესებში; რაც კარგია მოიწონონ, რაც ცუდია, დაიწუნონ და უკეთესი ვარიანტები შესთავაზონ ხალხს. ეს სამუშაო კვლავ უნდა გაგრძელდეს. ეთიკოსების მუშაობის შემდგომი ეტაპი კი იქნება ამ ტრადიციების შეფასება და სათანადო რეკომენდაციების შედგენა, რათა რაც შეიძლება ჯანსაღი ტრადიციები დაინერგოს.

— აი, სასაფლაოების მოწყობის შესახებაც ხომ უნდა გამოითქვას აზრი? სიკვდილი ყველას ათანასწორებსო... გაიარეთ ვაკის ან საბურთალოს სასაფლაოზე და ნახავთ თუ ათანასწორებს. არსად ისე არ იგრძნობა ქონებრივი უთანასწორობა, როგორც აქ.

— რა კარგი იქნება, წესად რომ შემოიღონ სასაფლაოზე მცენარეების დარგვა-გახარება... არ ჯობია, რომ გარდაცვალებულის „სახელზე“ მუხა, ნაძვი ან ტირიფი ხარობდეს, ვიდრე მარმარილოს მძიმე ფილებით იყოს მოფენილი სასაფლაო? მცენარის დარგვა უფრო ეკონომიურიცაა, ლამაზიც და საშვილიშვილო საქმეც გაკეთდება — მწვანე საფარველით დაიფარება თბილისის შემოგარენი...

მე, მაგალითად, ანდერძს დავტოვებ, რომ ჩემს საფლავზე მუხა დარგონ. თითქოს მსიამოვნებს იმის წარმოდგენა, რომ ჩემი სხეულით ამ კეთილშობილ მცენარეს გამოკვებავ და თუ შვილიშვილები ამ ხეს ჩემს სახელს დაუკავშირებენ, ამას რაღა აჯობებს, თითქოს შეც მათთან ვიცოცხლებო...

— ამ კეთილი სურვილების მიუხედავად, მაინც „სამიანი“ უნდა დაგიწეროთ, მაგრამ იგივე „სამიანს“ შენთან ერთად ყველანი ვინაწილებთ. რაც შეეხება ექსპედიციის წევრების პიროვნულ შეფასებას, ეს დღის ბოლოს, თბილისს რომ მივუახლოვდებით, მაშინ.

— „ოტიაც“ შევაფასოთ?

— რასაკვირველია. „ოტიაც“ ხომ ჩვენი წევრია!

„ოტია“ საჭესთან ზის და გზას მშვიდად გასცქერის. სახელის ხსენებაზე კისერწაგრძელებული ჩვენკენ ინტერესით იცქირება და ყოველი შემთხვევისათვის მზადაა პროტესტისათვის.

შოთა რუსთაველის მშობლიურ სოფელ — რუსთავში შევდივართ. აქ ყოველი წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში სახალხო ზეიმი იმართება. ამ ზეიმზე, რომელსაც ხალხმა „შოთაობა“ უწოდა, ჩამოდიან სტუმრები საქართველოს ყველა კუთხიდან. მასპინძლობს მესხეთის ყველა კოლმეურნეობა, ოჯახი. მოზღვავებულ ხალხს ხეობა ვეღარ იტევს; ბაღებში და ეზოებში პურმარილია გაშლილი; უკრავს მუსიკა, გაჩაღებულია ცეკვა-თამაში და სიმღერები. ერთი სიტყვით, აქ ნახავთ სახალხო დღესასწაულებისათვის დამახასიათებელ ყოველგვარ მხიარულებას. „თუ გვეწვევით, უსათუოდ კმაყოფილები დარჩებითო“. გვეპატიჟება ნ ო დ ა რ გ ა ვ ა შ ე ლ ი — ერთ-ერთი აქაური თავკაცი.

მასპინძლებს ვემშვიდობებით და სევდანარევი სიხარულით ვტოვებთ ასპინძას.

ეს გაურკვეველი სევდა ალბათ ამ ზღაპრული დღეების დასრულებამ გამოიწვია, შინ დაბრუნების სიხარულთან ერთად.

...ისევ მხიარულება, სიცილი, სიმღერები და ჩვენი სიცილით გაბოროტებული „ოტია“; ფანჯრებიდან შემოჭრილი გრილი ნიავი, გვალვისაგან გადამწვარი მთები, მტკვარი და ჰორიზონტზე გამკრთალი შორეული სოფლები...

შეუჩერებლად ჩავუქროლეთ ბორჯომის სამხრეთ-აღმოსავლეთით „სიქაჩლე“ შეპარულ მთებს.

— ახლა დიდი მუშაობა მიმდინარეობს ლაფნიჭამიისაგან ამ ტყეების გადასარჩენად.

— თუ ვერ უშველეს?

— მაშინ ალბათ ადამიანებს ხელიდან გამოეცლებათ ტყეცა და მკურნალი წყალიც. მაშინ ალბათ ეს მთებიც გაშიშვლდებიან და დაჩიავდებიან. ამ ხეობაშიც სიცხე და მტვერი დაისადგურებს... მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მეცნიერება მიაგნებს ტყის მკურნალობის ეფექტურ საშუალებებს. მოსახლეობა აღსდგება ამ სიმდიდრის დასაცავად და ერთობლივი ღონისძიებებით შეინარჩუნებენ ამ დაუფასებელ საგანძურს. აქაურებს, დიდსა და პატარას შეგნებული აქვთ ტყის სიკეთე. ყველას აწუხებს მისი ბედი და ყვე-

ლა უფრთხილდება. ასეთი პირობებში უბედურებასთან ბრძოლა ადვილია.

— ბორჯომის ტყეებზე მეტი საფრთხე იქ ემუქრებათ, სადაც ტყისა და მცენარეთა საფარველის სიკეთე ვერ შეუგნიათ და ადამიანები გამეტებით ანადგურებენ მას.

— აბა, დავიწყოთ ექსპედიციის მონაწილეთა შეფასება! მიშას რა ნიშანი დავუწეროთ?

— ხუუუთი!

— ავტობუსის გაჩერება რომ არ იცის? სადაც ტალახია, ქვა, ხე ან კარების გასაღები ადგილი არაა, სწორედ იქ აჩერებს მანქანას.

— გამოასწორებს!

ქრება მიშას თვალებისათვის ჩვეული კეთილი ღიმილი. იგი გაფითრებული და დაძაბული უსმენს „განაჩენს“.

— ჯერ თბილისში ჩაგვიყვანოს და ნიშანი მერე დავუწეროთ, თორემ ვაი თუ სადღაც გადაგვყაროს, ხომ ტყუილად შერჩება ხუთიანი!

— არა, გული ახლავე დაიმშვიდოს, თორემ ისე აღელდა, მართლა გადაგვყრის სადღაც...

— მეგობრებო, მიშა მართლაც იმსახურებს ხუთიანს. გარდა იმისა, რომ იგი კარგი მძღოლია და თავისი საქმე ჩინებულად ესმის, კარგი ადამიანიცაა. ის ფაქტი, რომ მან ჩვენთან, ექსპედიციაში წამოსვლა ისურვა ბევრის მთქმელია. ამით მან დაამტკიცა თავისი უანგარობა, კოლექტიურობა, მეგობრულობა, შრომისმოყვარეობა... თანაც, ჩვენთვის მარტო მძღოლი ხომ არ იყო, ყველაფერს ერთგულად აკეთებდა, რაც შეხვდებოდა.

მიშა ყურებამდე იღიმება და ჩვეული სიმშვიდე უბრუნდება.

— თალესს რა ნიშანი დავუწეროთ? მე მგონი, თალესიც თავდაუზოგავად ემსახურებოდა ექსპედიციას. სამგზავრო სამზადისშიც დიდი წვლილი მიუძღვის. კინო და ფოტო ხომ არ გაჩერებულა ამ დღეების განმავლობაში.

ახლა საქმე ფირების გამეღავნება და სურათების დაბეჭდვაა; გარდა ამისა, კარვების გაშლა-აკეცვის მძიმე მოვალეობაც მას ეკისრებოდა. სიტყვაძვირი იყო, მაგრამ როცა მხიარულების დრო დადგებოდა, მისი მსუბუქი იუმორი არასოდეს მოგვკლებია. ამხანაგი თალესი თავის დროზე საქმიანიცაა, სერიოზულიც, მხიარულიც, ჯიუტიც, მორჩილიც... ყველა თვისება კარგია, თუ ადამიანმა იცის, როდის რა სჯობია. აი, სწორედ ასეთია ჩვენი თალესი.

ხუთიანი!

ყურის ბიბილოებამდე გაწითლებული თალესი უხერხულობის დასაფარავად „ოტიას“ ეფერება.

— ახლა. დათოოოო! აბა, დათოზე ვინ რა აზრისა ხართ?

— მეტისმეტად მაღალია და ღონიერი, თუ არ მოვეფერეთ, მანქანას გადააბრუნებს...

— სულ მხიარულია, სულ შია და სულ წერილების წერაში იყო...

— რაც ჩამოთვალეთ, ეს ყველაფერი კარგია. გარდა ამისა, ივი ბავშვივით კეთილი და გულღიაა. ძნელად მოიძებნება ასე საყვარელი ახალგაზრდა. მალე შვილიც შეეძინება! ამიტომ, „ოთხიანი“.

— საწყალი დათო!

— რას ჰქვია საწყალი! ოთხიანი ცუდია? — კმაყოფილია დათო.

— ყველას თანაშემწე მაგი იყო, ოთხიანისათვის იწვალა?

— დათო ძალიან გვიყვარს, მაგრამ ჯანმრთელობას არ უფრთხილდება და ეს მისი დიდი ნაკლია. თუ პირობას მოგვცემს, რომ კუპს უმკურნალებს, ნიშანს გამოუსწორებთ. ამჟამად კი მხოლოდ „ოთხიანი“.

— მარიტა? მარიტას რა ვუყოთ?

— ფანჯრიდან გადავაგდოთ!

— მარიტა, ჩვენი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, კარგი დიასახლისი აღმოჩნდა.

— რატომ, საწინააღმდეგოდ, ბატონო გელა, ზარმაცი გეგონეთ?

— კი. აქამდე რატომღაც მოდებსა და მეგობრებს გადაყოლილი, ენების მცოდნე, წუნიაობის გამო გაუთხოვარი ქალიშვილის შთაბეჭდილებას ტოვებდი. ახლა, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ საქმიანი ყოფილხარ. ოჯახობაც გეხერხება, გართობაც... დრო და დრო გულჩათხრობილობა ალბათ იმის ბრალი იყო, რომ ვიღაცაზე ფიქრობდი. ესეც შენი ღირსებაა. ამიტომ, შენც „ოთხიანი“.

— გმადლობთ, ბატონო გელა! ისე კარგად დამახასიათეთ, რომ ნიშანს აღარაფერი მნიშვნელობა არა აქვს ჩემთვის.

— ლუბა? ლუბაზე რა აზრის არიან ამხანაგები?

— ლუბასთვის მაშინ უნდა დაგვეწერა ნიშანი, „კუპალნიკში“ როცა იყო, ახლა რა...

— არაუშავს, გავითვალისწინოთ.

— ისეთ გემრიელ სადილებს ამზადებდა, რომ ზომაზე მეტს ვჭამდით და წონაში მოვიმატეთ!

— მეტისმეტად წუნარი იყო...

— სწორედ ამ უკანასკნელი თვისების გამო, ულაპარაკოდ დავუწეროთ ლუბას ხუთიანი, მით უმეტეს, რომ ყოველთვის საქმიანი იყო.

— მზია, რა გიყოთ ახლა შენ? რა ნიშანზე შეგაფასოთ?

— მე არა ვარ პრეტენზიული ცხოვრებაში, პატივცემულო, რა ნიშანიც გინდათ დამიწერეთ, ოღონდ, ექსპედიციის ნივთებს რომ გაანაწილებთ, ქოლგა მე მარგუნეთ, წვიმაში თმები მიხუპუპდება ხოლმე.

— ხო, მართლა. მზიას მთავარი ღირსება ისაა, რომ მას არასოდეს არ ტოვებს იუმორის გრძნობა. ამიტომ იშვიათადაა ცუდ ხასიათზე და ამიტომ უყვარს ყველას, დიდსა და პატარას, ჭკვიანსა და უჭკუოს, ქალსა და კაცს... მაგრამ, თქვენ თუ იცით, რომ ოჯახის წევრებს არ სცოდნიათ, მზია რომ ექსპედიციაში წამოვიდა? მომეჩიდა, დედაჩემს ვერ შევუთვალეო! წარმოგიდგენიათ? სწორედ ამიტომ, „სამიანი“ მზიას!

— ნელი?

— ნელი ხომ ექსპედიციის ჰიგიენურ ღონისძიებებს უძღვებოდა ვაქკაცურად! გარდა ამისა, მას განსაკუთრებით აქვს განვითარებული მეგობრობისა და ერთგულების გრძნობები. კეთილსინდისიერია, ჭკვიანია. ოღონდ ეგაა, რომ ძილი უყვარს და ყველგან ყოველთვის აგვიანებს. თუ მოგვცემს პირობას, რომ ჭამას მაინც ისწავლის, დავუწეროთ პირობით „ოთხიანი“.

— დავუწეროთ.

— ახლა დაგვრჩა მაგული!

— მაგული არ გამაგონოთ, ბატონო გელა!

— „უაჩალია!“

— მაგან მადლობა გვითხრას თბილისამდე თუ ჩავიყვანეთ, კიდევ ნიშანი უნდა?

— მაგულის დავუწეროთ „ხუთიანი“.

— ეეეე...

— მაგული, მეგობრებო, მომღერალიც იყო, „უაჩალიც“, მაგრამ არასოდეს წრეგადასული. მისი ხუმრობა თითქმის ყოველთვის ყველასათვის სასიამოვნო იყო, თვით „დაზარალებულისთვისაც“ კი. საქმეში ხომ... ცეცხლივით ქალიაო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთია. მაგული რომ არ ყოფილიყო ჩვენთან, ექსპედიციას ვერც მზიას იუმორი უშველიდა და ვერც დათოს როხროხი, ყურებჩამოყრილები ვიქნებოდით. ჰო, ხინკლის გაკეთებაც სცოდნია. დავუწეროთ „ხუთიანი“?

— დავუწეროთ. და ის იქნება. რაც მე ნიშანი დამაკელით, მაგულის მივუმატოთ...

— როზას რა ნიშანი ეკუთვნის?

— მე ხომ „სამიანი“ დამიწერეთ...

— არა, ის „სამიანი“ ექსპედიციამ მიიღო და ყველამ დავინაწილეთ. ახლა შენ, როგორც ექსპედიციის ერთ-ერთ მონაწილეს, რა გიყოთ?

— „ხუთიანი“ დავუწეროთ.

— რატომ?

— საქმიანი იყო.

— რაკი ვერ დაასაბუთეთ როზას „ხუთიანი“, ამიტომ „ოთხიანი“! გაწყობს „ოთხიანი“? თუ ეცდები, გამოასწორებ კიდეც.

— ნიშანზე არ გეკამათებით, მაგრამ, არ დაგავიწყდეთ, რომ მე ექსპედიციის სანიმუშო ხელმძღვანელი ვიყავი.

— სანიმუშოს რას ეძახი შენ, ხელმძღვანელის ფუნქციას ხომ სხვა ასრულებდა!

— სწორედ ამიტომ ვიყავი სანიმუშო.

— შენი ირონია ცოტა მოგვიანებულია. ახლა სხვა დრო დგება.

— ვნახოთ, რას მოიტანს ხვალინდელი დღე.

— თვითონ არაფერს არ მოიტანს, ისევ ჩვენ უნდა მივიტანოთ კარგიც და ცუდიც...

— კარგია იმედი, ოცნებას ჰგავს...

— ვინღა დაგვრჩა შესაფასებელი?

— თქვენ, ბატონო გელა!

— აბა, მე! გისმენთ...

...და თბილისმა ღამის თბილი სუნთქვა შემოგვაგება.

ბოლოთქმა

უკვე ახალი სასწავლო წელი დაიწყო. ყველანი ჩავებით ყოველდღიურ საქმიანობაში. შემოვირიგეთ აქ დარჩენილი „განაწყენებული“ ამხანაგები და მეგობრები.

ზაფხულის ექსპედიცია ჩვენს მეხსიერებაში დარჩა როგორც წარმტაცი ზღაპარი, ბავშვობისას მრავალჯერ მოსმენილი.

„ოტია“ ლუბას ვაჩუქეთ, რადგან მას დიდი, ვენახიანი ეზო აქვს, ქათმებიც ბევრი ჰყავს. დაე ირბინოს „ოტიამ“ მათთან ერთად და „ვაზიანის“ ქუჩას განთიადი ახაროს. ჩვენც ხშირად მივალთ „ოტიას“ სანახავად, ერთმანეთთან შეხვედრის საბაბიც გვექნება!

ექსპედიციის ნივთები, ხაშურს რომ გამოვცდით, მაშინ გავანაწილეთ. ქოლგა მზიას ვარგუნეთ. დანარჩენი ნივთები იმ იმედით წავიღეთ შინ, რომ მალე ისევ გამოგვადგება, შემდგომი ექსპედიციის დროს.

...სხვათა შორის, იმ ძველი გობელენის მოპირდაპირე კედელზე კიდევ არის ერთი, გამოხუნებული გობელენი გაკრული. აქ ვენეციაა გამოხატული, წყალშემომდგარი შენობებითა და ალაგ-ალაგ მზისაგან განათებული ღრუბლებით. ქუჩებს შორის თეთრაფრებიანი ნავები და ფართო მხარ-ბეჭიანი გონდოლიორები დასცურავენ. შენობებისა და ღრუბლების ანარეკლით ალაპლაპებული, წყლიანი ქუჩა კი თანდათანობით ვიწროვდება და უსასრულობას უერთდება.

ადამიანის ოცნებასაც არა აქვს საზღვარი, და ისიც სადღაც, უსასრულობაში იკარგება...

თბილისი

18 დეკემბერი, 1971 წელი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ	3
წ ი ნ ა თ ქ მ ა	6
6 ივლისი. თბილისი-ჩარგალი-თრუსოს ხეობა	7
7 ივლისი. შატილი .	17
8 ივლისი. თრუსოს ხეობა—ჯავა . . .	24
9 ივლისი. ფაშა—ონი—შოვი: მამისონი—შაორი:	33
10 ივლისი.—ნიკორწმინდა—ცაგერი—ლენტეხი	43
11ივლისი. მოაში—მესტია .	49
12 ივლისი. მესტია—ჯვარი—ზუგდიდი	56
13 ივლისი. ოქტომბერი—ანაკლია	64
14 ივლისი. ანაკლია—გეგეჭკორი	76
15 ივლისი. ლებარდე	81
17 ივლისი. ქობულეთი . .	84
18 ივლისი. ქობულეთი—კვირიკე	85
19 ივლისი. ქობულეთი—სარფი	93
21 ივლისი. ჩაქვი—წყალთაშუა	99
22 ივლისი. წყალთაშუა—საირმე—ზეკარი—ასპინძა	106
23 ივლისი. ვარძია—თბილისი	112
ბ ო ლ ო თ ქ მ ა	121